

ლიტერატურული გაზეთი

აბო იაშალაშვილი

დიდრიხსონის ინდაურები ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

ნაწილი პირველი
ჰამლეტი

I
ცეპელინი ევროპის ცაზე

სარაევოს ქვაფენილზე გაისმა შვიდი გასროლა და როცა ეტლიდან ერც-ჰერცოგ ფერდინანდი გადმოვარდა, ამ დროს ტფილისში ქურდი კურკალა „დურაკს“ თამაშობდა სარქისიანცის დუქანში და ამერიკული კლეონკებით გადაფარებულ მაგიდაზე შვიდიანი კოზირით ვალეტს ჭრიდა.

რამდენიმე საათში კი ტელეგრაფით გადმოსცეს და ტელეგრაფისტს, დეპეშის მიღებისას, ელდა ეცა და მეტად მოუნდა ლიმონათის დაღვევა. გამოვიდა გარეთ, დუქანში ჩავიდა და მიტროფანე ლალიძის ლიმონათი სულმოუთქმელად გადაკრა.

— ვსომ, ვსომ და პირი მაინც მიშრება.

— შაქარი ხო არა გაქ, ოქრო-ჯან? დოქტორ კირშენბლატი ამბობს, ასე იცისო, — გახედა ლიმონათის ჩამომსხმელმა არტემამ.

— შაქარი გექნება, აბა, რა გექნება, ომი იწყება, ომი!

— სადა, კაცო?

— ერც-ჰერცოგი მოუკლავთ ავსტრო-ვენგრიისა, — აღელვებულზე გათქვა ტელეგრაფისტმა.

— სავესემ მოუკლავთ?

— გულში მოხვედრია.

— ზნაჩიტ ბაშმანი რიადში მართალს ამბობდნენ, კარაბადინში წერია, კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდაო.

— ეჰ, — მეტად გასაგებად ჩამოაყალიბა ტელეგრაფისტმა და მეორე ჭიქა გამოცალა.

ამას წარმოიდგენდი? ომი იწყება. არადა, არტემამ იმას ფიქრობდა, რა კარგი იქნებოდა ახლა საქეიფოდ წასვლა, წაეყვანა ქორ-პეპანა მედუდუკე, ქლესა მედოლე და ხლაპუზა მედაირე, მომღერალიც და კარგი თარფი, თეთრი თუთა, სადილად ცოცხალი, ჭანარი... აი, ცხოვრება ეს იქნება! თუმცა დუქნიდან სახლში წავიდა, ახალუხში ჩამძვრალ რწყილებს ჭყლეტდა და გზად ახალ ფრანცუზკებში დიდი მაზოლი გაილიზინა. ყლორთაღს გასცდა, კლდის უბანს შეუყვავა, გადმოსხმული ტაშტის წყლით გაიწუნა, აქედან შეჰყვირა, იქიდან ჩამოჰყვირეს და ეკლესიის ძირას ერთ ფარღალალა სახლში შეძვრა. იქ კედლიდან დაკიდებული თოფი ჩამოიღო, დიდი მცოდნესავით ჩახმახი შეუმონმა, მერე განჯინა, თახჩა და შკაფის უჯრა კარგად გასინჯა და სამი ტყვია მოძებნა. ოღონდ არც ერთი მოერგო თოფს და ვერ გატენა. ამდენი არ იცოდა და ერთი პატრონა იყო მოსინის კარაბინის, ერთი — ბერდენის და ერთიც — მონტე-კრისტოს სისტემის თოფისა. აბა, საიდან მოხვედრილიყო ეს არტემას სახლში? თუმცა ამას გაიგებ? იმდენი ბოლინო ხალხი ყოფილიყო, გაუთენებია და შეუფარებია თავი იმის ოთახში, იქნებ იმათ ჯიბის განჯინებიდან და პატრონტაშებიდან გადმოვარდნილიყო ეს ავლა-დიდება და ვართანუშასაც გამოხვეტვისას ეპოვა და შეენახა.

II-III

გიორგი ბალახაშვილი

აპრილის აუქციონი

ჩემი ცხოვრების დღეთა ლოტებო, ხომ არ მოგვეწყო აუქციონი? ტყემალიც მალე გაიტოტება, ტყეს გვერდი ველარ აუქციონო! მოვიდეს სახლად ვინმე ეგერი, სანამ აპრილი კარავს გაშლიდეს, ელვამ და ჭექამ, მეხის ზებგერამ გამოუჩინოს სახე თავშლიდან, შორითვე ვიცნო იგი. ტყის მცველი, მანვე მახაროს ხეთა კვირტობა, აპრილის მოსვლა. სუნი. სისველე, რასაც გარედან არ ვაკვირდები, ტყის გულიდან რომ ისე ცხადია, იფიქრებ, ხელისგულიდან მოჩანს, ხანდახან წვიმა ცრემლზე მჩატეა, ეს გააჩნია რამდენად ოჩან და ზარმაც კაცთან დაიჭერ საქმეს, რომ მოიკვლიო წვიმის სიმძიმე, აპრილი მაინც საკმეველს აკმევს, აპრილი მაინც გვიან იძინებს, აპრილი მაინც გიჟურად მოვა, აპრილი მოგვეცემს მაისის მიზეზს, აპრილი აშრობს პერანგებს მოვის და იშვიათად გამოდის ბისზე, აპრილს არ უყვარს ოვაციები, ყრუ შეძახილი, ყალბი ტაშისკვრა, აპრილი მაინც მოვა ციებით, აიღებს განჯას, მერე ტაშისკარს, შენ კი, ცხოვრების დღეთა ლოტებო, ხომ არ მოგვეწყო აუქციონი? ტყემალიც მალე გაიტოტება, ტყეს გვერდი ველარ აუქციონო!

IV



დასაწყისი პირველ გვერდზე

ბოლოს რომ ვერც ერთი ტყვია მოარ- გო, ჯაპრუ-დოზანა დასძახა, ყამა აიღო, შავტარიანი, პაპამისი ღორებს რითაც კო- დავდა და ის ქამარში გაიკეთა.

ასე გაემზადა დიდი ომისათვის. მერე უბანში ჩავიდა, ბიჭები დადგა და მთელი პანტომიმა გააჩინა, როცა ჰყვებოდა ერც- ჰერცოგის ეტილიდან გადმოვარდნას.

— კარგადა ჰყვები, თითქოს მიერხო- ლდის ტრუპაა, — მოუწონა ნარმოდგენა ძალის უბნელმა ჩიჟიკამ.

— ეხა რა იქნება?

— რა იქნება და ტანცების ვერჩერი ხარ- ფუხის კლუბში.

— ომს დაუწყებ?

— არა, „კონჩინას“ ეთამაშება. თან გე- ონია, მარტო ავსტრო-ვენგრია? საცა ომი- ია, გერმანიაც იქაა. ნახე თუ არა. ჯერ ვიდი გამოადგეს ალბანიიდან, ეხა ესა მოკლეს ძალღივით, ამას შეირჩენს გერმანია? ბეტ- მან-პოლვეგი ავე კბილებს ილესავს, — გა- დმოყარა ევროპული პოლიტიკა კლდის უბნის ქუჩებზე ჩიჟიკამ.

— მანონი, მანონი! — ყვიროდა წყნე- თელი მემანვენი.

— ბეტმან-პოლვეგი? — იკითხა არტე- მამ, ვინაც სულ რამდენიმე დღეში ტფილის- ში მეორე მანიფესტაციაში მიიღებდა მო- ნაწილეობას. ხელმწიფის სურათით ხელში სერგის ქუჩაზე მივიდოდა ავსტრიის საკო- ნსულოსთან და ავეგუსტ-გუმბირტ-კორო- სარჩს ჩაჰყვებოდა — დიდება სერბეთს — და ტფილისის პოლიცმანისტერის მისვლაც კი დასჭირდებოდა, რომ მანიფესტაცია დაშლილიყო.

— გაჩაღდება ცეცხლი უეჭველი ავსტ- რიასა და სერბეთს შუა, როგორც ჭიაკო- კონა დიდ ოთხშაბათს, — დადასტურა ძა- ლლის უბნელმა ჩიჟიკამ.

— ვა, — პირი დაელო არტემას.

— ავსტრია აჯობებს. რაც სერბეთს ჯა- რი ჰყავს, მაგდენი ავსტრო-ვენგრიას მარ- ტო ლანდშტურმი ყავს, — ასეთებიც სცოდ- ნოდა ჩიჟიკას.

— სერბეთს ჩვენ ამოვუდგებით.

— ხო, ძალის უბანი და ომპიტლის უბ- ანი.

— მთელი რუსეთის იმპერია ფურაჟკას დაიხურავს.

— იმას კი გერმანია დაუდგება. ჯერ მა- რტო იმნაირი ცეპელინი ყავთ, „ვიქტორია ლუიზა“ ტყვიას ტყვიაში აჯენს.

— ტყვიას ტყვიამ?

— შენ რო კავალერიით შეუტევე, მოგიჩ- რდილავს რალაც მზეს, აიხვდავ და ცეპელ- ინი დაგყურებს. მერე და განა ბატი-ბუტს ყრინა იქიდან, — ჩაიცილა ჩიჟიკამ.

არტემას კი ისევ დაელო პირი.

— შენ რო ხმალს აქნე, ან მაგ ყამას, — თვალებით აჩვენა ქამარში გარჭობილ ლო- რების დასაკოდ ყამაზე, — დაგეცემა ზევი- იდან ბომბი. დაგეცემა და ითვალე პირში ჩამსხვრეული კბილები. მე შენ გეტყვი, ნი- ახური ხარ, მეორედ მოხვდი, — ჩაიცილა ისევ მცოდნეს ღიმლით.

— ზნაჩიტ ომი?

— ხო, ომი. ზაკონებით ასეა. იქით ავს- ტრო-ვენგრია, გერმანია და ოსმალეთიც ავე ხელებს იკაპინებს, მაკედონია დავიბრ- უნო.

ბევრი დრო არ გასულა და მართლაც დაიწყო ომი და ოსმალეთიც ჩაერთო და როცა დასავლეთის ასპარეზზე, პირველ ჰაერის ომში, ავიატორ გარრომ გერმანე- ლთა ჰაერის ცეპელინი დაღუპა, ჯავშნოს- ან „გასკონს“ თორმეტ დიუმინი ზარბა- ზნები სამხედრო მზადყოფნაში მოჰყავდა და ბელგიელების ციხე ნამიური, შიგ ქეთე- ვან ნამებულის საფლავით, ემზადებოდა თავდაცვისთვის, აღმოსავლეთის ფრონტ- ზე თითქოს გარდასული დრო დაბრუნე- ბულიყო, შევარდენტა კლუბების სამხედრო გიმნასტიკით გაფოლადებული ოსმალე ბაში-ბუზუკები მოიწვედნენ ტფილისისა კ- ენ.

II ტომატის ამფითატრის პრესტიჟიტაცია

— ალე ჰოპ! — დასძახა დიდუბეში ცი- რკის ვაგონებს შორის გაჭიმულ თოკზე აკ- რობატმა და სალტო-მორტალე გააკეთა.

ტამიც მოსწყვიტა, თუმცა არა ცირკის მაცქერალი პუბლიკისა, არამედ სხვა ცირ-

კაჩებისა. ასეთები კი ბლომად მოკრებილი- ყვნენ დიდუბის მინდორზე.

ჟონგლიორი კიუბის წრეზე ჭენებისას აყრიდა ცაში ფერად ბურთულებს, ჩექმე- ბზე მიეხრახნნ დაჟანგული დეზები და იმას მალიმალ შეარჭობდა გალეულ ცხენს. სა- პირისპირო მხარეს კი ტრიო ჰამილტონი უორუ ესიკოსკის ცირკიდან ველოსიპედის პედლებს ატრიალებდა და თან ყირაზე დგ- ებოდა.

ჩანდნენ კიდევ ეკვილიბრისტები, ვო- ლტიჟორები, მუცელმეტყველები, პრესტი- ჟიტატორები, ბოლონიის პროფესორი გუ- ასკო, ვინაც სინამდვილეში რუმინელი შა- რლატანი იყო და ბესარაბიაში დაეჭირათ



ქათმის ქურდობაზე. ტადეის აფრიკული ცირკუსი, თავისი ანაკონდათი, მუცელმე- ტყველი შტრაუსი, ირმა არბაზანი თავისი თუთიყუშებით, უნმანურობები რომ დაეს- ნავლათ და ჭარხალდებოდა ნარმოდგენის დროს არბაზანი გაგონილი იდიომებით. აქ ბლომად სხვადასხვა ცირკი მისდევდა ვა- რჯიშობას. დიდუბის წრის იქითა მხარეს ცირკაჩების კაჩევიო ვაგონები გაშლილი- ყო.

ტფილისში მყოფი ყველა შაპიტო ომის გამო აღმოჩნდა მონყვეტილი თავის ქალა- ქსა და ქვეყანას. ეს მოხეტიალე აკრობატ- ები სულ სხვადასხვა ხმელეთიდან უცვბ- აღმოჩნდნენ მტრული ქვეყნის მინაზე და რაკი საზღვრები დაიკეტა, მათი ბედიც იყო ნიკაზე. კარლ ბეკერის ცირკი ჰამბურგიდ- ან იყო. ტომატის ამფითეატრი მილანიდან, შტრაუსის ცირკი ვენიდან, ეგვიპტური ბო- ჩოლიათი, ორი თავი რომ ჰქონდა და სწორ- ედ იმ ერც ჰერცოგის საყვარელი ცირკი იყო, ვისაც ბოსნიაში დააჭედეს ტყვია. ბრა- ზილიის ცირკის მომთვინიერებელი კიაპა- რა კი არ იყო რიო ჯანეიროდან, არამედ ოდესის მალდავანკის უბანში აედგა ფეხი, სანამ გაერეოდა საციკო მარაქაში და ოდესის მთავარ რაბინს ჰპარავდა მტრე- დებს. ასლა, ომი შეჭრებულ იყო, ის ცხოვ- ელებს ყიდდა დიდუბელებს თუ ნახალოვ- კელებს და ნაირგვარი კენგურუ და ზებრა თუ გარეული ძალი დინგო დარბოდა ლო- ტკის გორაზე, რაკი ვერ აკავებდნენ პატ- რონები ტყრულ ლობებში და ისინი გა- რბოდნენ სახელდახლოდ შემოლობილი ეზოებიდან. ღრმა ლელემდე ჩადიოდნენ, საცა საპოლიციო ძალების თავშესაფარი იყო და ახლა ისინი ატეხდნენ ყფას მხე- ცის სუნზე.

აგარაკების პატრონები ჩიოდნენ უძი- ლო ლამებლის გამო.

— ამდენი ფული რაში გადავყარე, ღრ- მა ლელეში ვიყიდე ასაბნიაკი თუ ვაკეში თავლა? — მოთქვამდა სოვდაგრების უს- ტაბაში მილოვი.

ხუდადოვის ბაღში კი დათვსაც ნახავ- დი, ფოსტალიონის შიშისაგან მოსროლილ ველოსიპედზე რომ იჯდა და შუა ბაღში მოგარუხუნებდა.

ღამე ლიანდაგს იქით გადასვლა სახი- ფათოც კი გამხდარიყო, რათა ზოლებიან ჰიენას არ ეკბინა შენთვის კოჭზე და მეფის ნაცვალის კანცელარია აიგოს საჩივრები- თა და წყევლა-კრულვით. იყო კიდევ გოდ- ფრუას ცირკი და ის საფრანგეთიდან კი იყო, მაგრამ მისთვისაც დაიკეტა საზღვ- რები და ასეთ დროს, აბა, რას გააღწევდა ასე იოლად მშობლიურ ილ-დე-ფრანსამ- დე. ჩაიკეტა საზღვრები და მოხეტიალე აკრობატები ტფილისს შერჩნენ. იმათი ბა- შპორტები, შიგ უამრავი დამოყნის ბეჭდ-

ით, გახდა გამოკეტილი დიდუბესა და მუშ- თაიდს შორის და ახლა მათ თავს ფრად უჩვეულო რამ დასტრიალებულიყო. გამე- ლელთა გასართობად მოფიქრებული ახ- ლა მტრის ბანაკების ჯაშუშებდად თუ ითვ- ლებოდნენ და ყოველ დღე მოელოდნენ, რომ „ობრანკის“ სისკარები მოაკაკუნებდ- ნენ იმათ ვაგონების კარზე. მოხეტიალე ბოშებდა ქვეულიყვენ, პერსონა ნონ გრა- ტად გადაქცეულიყვენ.

დიდუბის მინდორზე კი სხვა ამბებიც ტრიალებდა.

ალექსანდრდორფიდან შემოვილიდ- ნენ კოლონისტები და ჩხუბობდნენ, რაკი მათი ქათმები კრებოდნენ.

მათი გლიცინებით სავსე მოვლილი ეზოებიდან კრებოდნენ ფრინველები და ქორი სწორედ აქ ეგულვებოდათ. ჩექმებს გაიპრილებდნენ და პრისტავს მიაღებოდნენ, უთვლიდნენ თითებით გა- მქრალ ბატებს და მოპარულ კვერცხებს მერე ცირკის ვაგონებს უკან ტაფებზე რომ ააშიშინებდნენ დამუშული აკრობატები. ყველასაგან მიტოვებული ცირკაჩები მართვდნენ ნარმოდგენებს და სალაშობებს კი გარმონიკის აკომპანემენტის ქვეშ ატა- რებდნენ.

აქ სხვადასხვა მელოდია შერეოდა ერ- თი მეორეს და ჰაიდელბერგის სიმღერები პროვანსალურ მელოდებით იცვლებოდა, უნგრული ჩარდაში, ოდესელი ებრაელებ- ის ვიოლინოს სევდით.

ამის მოსასმენად ჩამოვიდოდნენ ნახა- ლოვიდან უნებართვოდ აშენებულ ქობე- ბიდან გამომძვრალები და უსმენდნენ უც- ხო ხმელეთის დამწვრისთვის და უბნის აკალ- ადჩიკი, ვისაც სამი თვალს უნდა გამოსხ- მოდა ამათ ცქერაში, ამ თვალებზე მომდგ- არ ცრემლებს იწმენდა და დამწვარი გუ- ლით ისხენებდა მეორე გილდის ვაჭრის შვილისთვის მითხრებულ მის პირველ სიყ- ვარულს.

— უკან დაჰყვება თურმე ვილჰელმს ორი ფანჩატური და როცა დაძინების დრო მოვა, უმალ აანყობენ, — ჩამოსახა შტრა- უსმა სპირტის ბოლო წვეთები ჟაკ გოდფრ- უას ჭიქაში კოლბიდან, ორთავიანი კუ რომ ჩადო, — სამზარეულო კი მოთავსებულია განსაკუთრებულ ავტომობილში, პლიტით და საცივებლით.

— მაგას რა ენალვლება, იმხელა მამუ- ლები უყიდია ჩრდილოეთ ამერიკაში, დაკ- რავს ფეხს და როცა უნდა, ნავა, — გახედა მისი ქვეყნის მტერს გოდფრუამ.

— ვითომ?

— ის ბარო ალვენსლებენის სახელზე აფორმებს ამ მინებს, — გამოცალა გოდფ- რუამ ჭიქა.

— ეხა ტალახადის დუქანში თუ გაგვეგ- ზავნება მადმუაზელ სლივიცკაია, — დახე- და გამოცლილ კოლბას შტრაუსმა, — რა უჭირს ჭანჭურის არყით რო გავაგრძელ- თით?

— მაგის ჭანჭურის არაყმა ძმარვა კი იცის, მარა რას გახდები, ბრეტანი არაა, რომ კალვადოსი მოგთავაზოთ.

— უთხარი, პორცია ჩიჭი-ჰიჟიც გამო- აყოლოს, — გახედა მან მადმუაზელ სლივი- ცკაიას, — და შეუძლია ამაში მაიმუნი ნა- იყვანოს, — შტრაუსიც ყიდდა ცირკის ავ- ლა-დიდებს.

— გარიბალდის ბულვარზე პანტერა მომთვინიერებულს ეცა ნარმოდგენის დროს და დაგლიჯა, — აგრძელებდა გოდფ- რუა.

— პანტერა? — მთელი პარიზი ამაზე ლაპარაკობს.

III ნიკოლოზ მეორეს აჩრდილი

მატარებლის ვაგონი გაჩერდა ტფილ- ისის სადგურზე და იქიდან გამოვიდა იმ- პერატორი და თვითმპყრობელი სრული- ად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლანდიის და სხვათა და სხვა- თა და სხვათა.

ვოგზლის რესტორნის ლაქია სევასტო- პულოს არ ენახა ცოცხლად იმპერატორი, ისევე როგორც ყველა იქ მყოფს და ამაღ- შესძახა.

— ე, ეს რა პუჭურა ყოფილა. ამას კის- რულზე რო წამოვიდებ.

— ტანანან ნაინა, — მიამღერა მეორ- ემ საჭიდაო.

— არა, ეს როგორ მართავს ამოდენა იმპერიას? — აგრძელებდა სევასტოპულო თეფშების მშრალებას.

ვაგზალი კი დებრაკადერის წითელი მა- უდით დაფარული დაუხვდა ნიკოლოზს. მის დასახვედრად გამზადებულ უამრავ გენერალსა და ტაინი სავეტნიკს შორის ნა- მესნიკის თანაშემწე გოფმისტერი პეტერ- სონი იყო, ვინაც მიესალმა მას პირველი და სტატს დამა ვორანცოვა-დაშკოვაც გა- ხლდათ თავისი ტიურნურიანი კაბით.

გადმოიტანეს იმპერატორის ჩემოდნე- ბიც და მათი ტვირთვა ტფილისელ მუშებს არ დაანებეს, ამისათვის სავეტნიკს მივადნ თავისი ჩემოდნების მთრეველები ჩამოყ- ოლილიყვენ და არც ვოგზლის ქურდები გააკარეს იმ ადგილს. ისინი ოდენ შორიდ- ან შეჰყურებდნენ და ოხრავდნენ ამათ შემ- ხედვარე. ჩემოდნები კი მართლაც მეტად თვალში საცემი იყო და ჩამოყოლილმა მუ- შებმა იმპერატორის ბარგის შემყურე ჯერ ქუდები მოიხადეს და ისე დაავლეს მას ხე- ლი.

ნიკოლოზი კი ყუბანის კაზაკის ფორმა- ში გამოწყობილი გამოვიდა მატარებლიდ- ან. ის არ ჩამოსულა იმისთვის, რომ ლენ- ქორანში კოლტიარევსკის თვგლის გახსნა ეხილა. ეს არ იყო ზემის ვიზიტი. იმპერა- ტორს ტფილისიდან ოსმალეთის ფრონტი- სთვის უნდა დაეხედა. სწორედ იმ ფრონ- ტისათვის, საცა ბაში-ბუზუკები მოიწვედ- ნენ და ტფილისის გუბერნატორად ნამყო- ფი ჩერნიაშკის სეგროვებული ფულით ფრონტზე გაგზავნილი თვითმფრინავი „ტფილისი“ დასტრიალებდა თავზე ფრანც იოსების დაჯილდოებულ ენვერ-ფაშას, ვიცე-ადმირალ უსედონ-ფაშას და გენერ- ალ ჯავად-ფაშას. მეტიც მარშალ ლიმან ფონ ზანდერსაც, დარდანელის არმიის მთავარსარდალს.

შემდეგ ნიკოლოზი ავტომობილში ჩაჯ- და და გაუყვა ელისაბედის ქუჩით, მერე ოლდენბურგელის სასახლის გავლით მიხე- ილის პროსპექტზე ჩაუხვია, ჩაუარა ძმები ზურკოვების ახელ, ზამთრის სინემატოგრა- აფ „ამოლოს“ რომ აგებდნენ კუთხეში და იარა ნემენცების პროტესტანტულ ტაძრა- მდე, აქ ჩაუხვია და ვერის ხიდი თ წამოვიდა. გაიარა გალაკინსკის, სასახლის ქუჩები, ერივანსკი პლოშადიც, საცა არკა დაედ- გათ მის პატივსაცემად. აქედან ის შუა ბა- ზარს ჩაუყვია და სიონის ტაძარში შევიდა.

მთელი გზა მოფენილი იყო ხალიჩები- თა და დროშებით. მის დასახვედრად კი ვინ აღარ გამოფენილიყო ტფილისის ქუჩებზე, აღმოსავლეთის ნაირგვარი სამოსები გარ- ეულიყო ცივილურ პიჯაკებსა და სერთუკ- ებში.

ტაძარში ის წმინდა ნინოს ჯვარს ემთხ- ვია.

მერე შიტიების მეჩეთი მოინახულა, სა- ცა სპარსელი პრინციები ერია. შესასვლე- ლში შეიხ ულ ისლამმა არაბულად ილოცა და მერე სუნიტების მეჩეთიც მოინახულა ნიკოლოზ მეორემ. აქაც ხალიჩებით მოე- ფინათ ქუჩა და მეჩეთში შესასვლელი. მუფ- ტი შეეგება მას და სალამ აღიქეში მოახ- სენა. აქედან ნიკოლოზი ლაზარეთში წავი- და და დაჭრილებს მედლებს კიდებდა.

შემდეგ მოინახულა რა ყველაფერი, რაც საზეიმო პროგრამით გაენერათ, ის მთავარმართებლის სასახლისკენ დაიძრა. ნიკოლოზ მეორე იჯდა ახლა მეფისნა- ცვლის სასახლის სპარსულ ოთახში და ჩა- ის და კაკლის მურაბას გეხლებოდათ.

თან უცქერდა მის წინ მაგდალე დადგ- მულ აკვარიუმს შიგ ოქროს თევზებით და კიდევ პუშკინის „მოგზაურობას არბრუმი-

ში“ იხსენებდა. მას ხომ ტფილისშიც გამოვე-
ვლო და მოაგონდა იქ ნახსენები აბანოს
მექისე უცხვირო ჰასანაც. იქ უთუოდ ჩასა-
სვლეელია. გუსტავ რადე უყვებოდა, ჯერ
კიდევ ცესარევიჩი რომ გახლდათ და ინდ-
ოეთში იყვნენ და ის უამბობდა ტფილისის
აბანოებზე და იქ ნახულ სვირინგებზე.
სწორედ რადემ ასწავლა ეს ტანისამოსის
გამოცვლა, იერის შეცვლა და ღამის ქალა-
ქებში ხეტიალი. თვითონაც ასე დადიოდა
და მასაც დაასწავლა. მაშინ ცვილონზეც
ხომ იყვნენ. იქაც იარეს, ბუდას კბილი,
იმის მოსაძებნადაც გაიქაჩნენ. თან რადე
უყვებოდა ცხოველებზე, მცენარეებზე. მა-
შინ რადე კიბოლინგის ნაიკითხა. „ჯუნგ-
ლების ნიგნი“. ოჰ, როგორ უნდოდა იმ ლი-
ანებს შუა შეძრომა და დამეგობრება ავაზა
ბაგირასთან. რადე კი უყვებოდა, ნაირგვა-
რობებს, თითქოს ნიკოლოზი მაუგლი იყო,
რადე კიდევ ბალუ ან ბაგირა. მაშინ სპილ-
ოს კალათაში მოსკუბეულებმა ვეფხვებ-
ზეც ინადირეს. იასაულის შტუცერს ვერ
გაექცა „შერ-ხანი“ და ის დასცა განგის ნა-
პირას. ეს როდის იყო. ოჰ, რამდენს მისცე-
მდა, რომ ახლაც ისევ იმ კრეისერ „აზოვზე“
მოკოტრიალებული იმ ჯადოსნურ ნიგნს
კითხულობდეს.

მაგრამ ეს რა არის? აჩრდილი? თითქოს
აჩრდილი. სწორედ ისე, როგორც მაშინ,
ჰელსინგფორში.

თითქოს მის დანიელ პრინცესას იყო გა-
მოყოლილი, მზითვად გამოეტანათ ნიგნე-
ბთან და სამკაულებთან ერთად.

ოღონდ ეს არ არის მამამისი. ეს რაღაც
სხვა არის. ოფლმა გამოასხა.

აჩრდილის ბრიალა თვალებს და მონი-
თალო წვერს ხედავდა.

როგორ არ წამოიყვანა გრიშა.

იქვე ტუმბოზე ბოთლი დადგმული
მიტროფანე ლაილის ლიონთან ჩამოასხა
და მოსვა. აჩრდილი გაქრა.

თუმცა ის სხვენზე გადაბარგებულიყო.
იმის ბრაგუნე კაი ხანს ისმოდა, თითქოს
ზედ რაღაც თამაშობას მისდევდა და არ
კი ისვენებდა. შემდეგ სხვენიდან სახურავ-
ზე გადავიდა და ნიკოლოზს ესმოდა თუნუ-
ქზე ბრაგუნეების ხმა და ბოლოს იმას ფეხი
დაუცდა და ნიკოლოზის ფანჯრებს ქვეშ
ხმაურით ჩამოვარდა.

— ააა, — გაისმა სულისშემძვრელი ყვი-
რილი და ნიკოლოზმა ფანჯრიდან გადა-
იხედა და დანახა იასამნის ბუჩქებში ჩა-
ვარდნილი ვიდაც.

იასამანი ერთიანად დაელენა და ჩანს
ფეხიც მოსტეხოდა, რაკი ის გაუჩერებლივ
ყვიროდა.

ბუჩქთან მივარდნილი დაცვის ოფიცრ-
ები კი თავზე წამოადგნენ ვილაც ტუზემც-
ურ სამოსში გამოწყობილ კაცს, სპარსულ-
ად რომ ილანძღვებდა და დაკითხვის შემ-
დეგ დადგინდა, რომ ის იყო ამქრის ქიანქი-
ნჩი, ანუ წვიმის მიღების დამგრეხავი მეთუ-
ნუქე. იმპერატორის ჩამოსვლით ისე აღტ-
ყინებულიყო, გაეხსენებინა შარშან მთავა-
რმართებლის სასახლის სახურავზე რომ
გაესწორებინა წვიმის მიღები და ახლაც
უკვე ნაცნობი გზებით ზედ აცოცებულიყო
და სახურავიდან ჯერ სხვენში შეძვრა, მაგ-
რამ რაკი იქიდან სასახლეში ჩაღწევის გზა
ვერ იპოვა, ისევ მრგვალი ფანჯრიდან სახ-
ურავზე გავიდა, საცა ფეხი დაუცდა და მთ-
ავარმართებლის ბაღის იასამანზეც დაენ-
არცხა. როცა იმპერატორმა მისი გარეგნ-
ობისა იკითხა, აღმოჩნდა, რომ ის შავგვრ-
ემანი, ნითელწვერა კაცი იყო. წვერი კი ინ-
ით შეეღება მას მერე, რაც მექა მოელოცა.

IV

ალბრეს დივერტისმენტი

დილით ლუი ალბრეს ტელეფონზე სა-
კონსულოდან დაურეკა პიერ ბერჟერონ-
მა, საფრანგეთის კონსულმა და ალღევე-
ბულმა გააგებინა, რომ გოდფრუას ცირკი
გაქურდეს, ხლო გოდფრუა კონსულამდე
მისულა და სთხოვდა ამ საქმის უთუოდ გა-
მოძიებას.

ალბრეს სულ სხვა გეგმები ჰქონდა, მას
თახნაში ეგულებოდა ორი ბოთლი ანჭუ-
ლემის ღვინო და სურდა, დღე იმის დაგეგმ-
ონებში გაეტარებინა, თუმცა გადადო ეს
და ხრისპლისთან წავიდა საპოლიციო განყ-
ოფილებამი.

— არაა, პრისტავი წავიდა მისი უდიდე-
ბულესობა იმპერატორის დასახვედრად,
— უპასუხა მორიგე.

— როდის დაბრუნდება, რასაკვირველ-
ია, არ იცი?!

— რატო არ ვიცი? ვიცი. იმპერატორი
ჩამოვა და დაბრუნდება, — გაეპასუხა პო-
ლიციის ჩინი.

ასეთი ღრმა პასუხის მერე ალბრემ და-
პირა წასვლა, თუმცა ცოტა დაახანა, მებ-
რუნდა და პოლიციელს მიუგო:

— როცა მოვა, უთხარით, რომ დიდუბე-
ში გოდფრუას ცირკში მნახოს.

მერე გარეთ გავიდა, იზვოსჩიკი დაიჭი-
რა და გაემართა დიდუბეში, საცა იდგნენ
ცირკაჩეები და სადაც მომხდარიყო ეს სუ-
ლის შემძვრელი ავაზაკობა, თუმცა ალბ-
რემ ხათრი ვერ გაუტეხა ბერჟერონს, მის-
გან ბუერი სიკეთე ახსოვდა და საქმეებიც
გადასლო და ამ დანაშაულის გახსნით დაინ-
ტერესდა. მას მოუწევდა ახლა მოპარული
პალტოს მოძებნა, ჯიბეში ოცი მანეთით,
ან გატეხილი არღნის, ან სპილენძის სამოვ-
რის, სხვა რა უნდა წაეღოთ ცირკაჩის ვაგო-
ნიდან, საცა ყრია ოდენ ჟონგლიორების
ბურთები, კლოუნების ნითელი შარვლები
და ლომის მომთვინიერებლის მათრახები.
ხო, შეიძლება კიდევ ძველი ლამპა შიგ ჯინ-
ით და ალბათ ის თუ მოიპარეს, გაიფიქრა
ალბრემ და სანამ ადგილზე მივიდოდნენ,
თვალები დახუჭა.

იზვოსჩიკი კი მიაქროლებდა ცხენებს.
ეტლს უკნიდან ვედრო მიება თოკით და ის
ყოველ ორმოში ჩარტყმისას გასცემდა
თუნუქის მირტყმის ხმას და ალბრემ დაატ-
ყო, რომ თვალების დახუჭვით ფიქრებს
ვერ მიეტყვობდა და ისევ გაალო და იზვოს-
ჩიკს გახედა.

— პანლური და პანჩური უნდა ეხა ოს-
მალეობს, — ამბობდა მეეტლე და ასეთ
ტყბილ საუბარში დიდუბესაც მიადგნენ.

— ცოტა იქით მიდი, რა ტლაპოსთან
გააჩერე?

— კნიაზ-ჯან მაგაზე განყენინებ? აჩუ,
— მოჰქაჩა ალვირი ცხენს და ისიც ალბ-
რესთვის მშრალ ალაგას გაჩერდა.

— ასე, — თქვა ალბრემ, ვისაც კნიაზ-
ობა ეგრემც ვერ ეღიროს, რაკი მის ბაბუას
ჩამორთმეოდა, მას მერე რაც რობესპიერს
მკლავეები დაეკაპინებინა.

ცირკის ვაგონები მოჩანდა უკვე კარგ-
ად და ის მიმდვრისკენ გაუყვა და ზედ
დანიხა კაცი, რომელიც ბურთების სროლ-
ას თამაშობდა.

თუმცა თავის თავს ეთამაშებოდა, რაკი
ვერ ენახა ვერავინ დიდუბის მიმდვრზე პე-
ტანით რომ გაეტაცა.

— დალაზეროს ეშმაკმა! — ბრაზობდა
ის ამ ბურთების გადადგებისას და ჩანს, რა-
ღაც სხვა ანუხებდა, ვინემ მარტივად ბურ-
თის ბურთზე გარტყმა.

ალბრეს გაახსენდა თავის ჩრდილთან
ფარეკაობა და ცირკის კაცის გულშიგან
ჩამოვლოდასაც მიუხედა.

მისკენ წავიდა და სხვა დაკვირვებების
მერე გადაწყვიტა, რომ ეს ალღევებული
კაცი სწორედაც უკა გოდფრუა უნდა ყოფი-
ლიყო.

— როგორც ვხვდები, პატივი მაქვს, ბა-
ტონ უკა გოდფრუას ვესაუბრო, — მიუგო
მან.

— დიას, მე გახლავართ, — თავი დაუკ-
რა ცირკაჩმა.

— მე კი ვარ ლუი ალბრემ და მაქვს ტფი-
ლისის პოლიცმანისტერის განკარგულება,
რომელიც უფლებას მაძლევს, პოლიციის
სახელით ვიმოქმედო და რაკი პიერ ბერჟე-
რონმა მთხოვა, გადაეყვიტე თქვენი საქმ-
ით დაინტერესება.

— ოჰ, მოხვედით, ეს, ეს, მე როგორც
კანონმორჩილ ბურჟუას აღმფოთება მახრ-
ჩობს, მაშინ როცა ჩვენი მეომრები იქ სისხ-
ლს ღვრიან, აქ, აქ, აქეთ წამოდი, — გამო-
იხმო გოდფრუამ თავისი ვაგონისკენ ალბ-
რე.

ის მაღალი მამაკაცი იყო, ანკეპილი
ულავაშებით და მომხდარით თავის უკმაყო-
ფილებას არ მალავდა.

გოდფრუას თავისი პირველი საცირკო
წარმოდგენები პერ ლაშევის სასაფლაოზე
დაეწყო და საფლავის ქვაზე ჩამომდგარი
ყრია ცაში ბურთებს. მისი პირველი მაყ-
ურებლები პარიჟელი მკვდრები იყვნენ.

მერე ამას მიემატა ორიოდ მესაფლა-
ვეც, თავის საქმეს რომ მოიღვედნენ და
ბოთლი ღვინოს მონრუპკისას გოდფრუას
მუცელმეტყველებასა თუ პანტომიმას უც-
ქერდნენ.

თავიდან შეშინებოდათ კიდევაც, რაკი
მათ წინ მდგარი კაცი პირს არ ადებდა, ხმა
კი გაისმოდა. როცა სასაფლაოზე ხარ და
ხმები გესმის, მოგხსენებათ, ვერ იფიქრებ,
ეს ქარის მოტანილი იყოს, თანაც გოდფ-

რუას ოინებიც არ აკლდა და ხშირად ისეთ
რამებს იხახდა მუცლით, ამ პატიოსან პა-
რიჟელ მესაფლავეებს თმები ყალყზე უდ-
გებოდათ.

ასე იხვენებოდა მისი ხელოვნება, შემდ-
ევ პარიჟის გარეუბნებს რომ მოედო და მე-
რე მის საზღვრებსაც გასცდა, საფრანგეთ-
საც და ნაირგვარი ქალაქების მოხეტია-
ლების მერე რუსეთის იმპერიასაც მოსდ-
გომოდა.

აქ თუ რა გადახდენოდა, ეს ცალკე საამ-
ბობია. ახლა კი გასტროლით ის ტფილისს
სწვოდა.

ალბრემ და ცირკის პატრონი წინ მიინე-
ვდნენ და გაიარეს რამდენიმე ცირკის ვა-
გონი და იქიდან გამოფენილი ცირკაჩები
და ზოგი სარეცხს ფენდა, ზოგი ცაში ბუ-
რთებს აყრიდა, ზოგი ჯირითობდა და ზო-
გი ველოსიპედს უცვლიდა ჯაჭვს. მათ თვა-
ლწინ დაუდგათ ცირკაჩების ცხოვრების
სხვადასხვა სურათი და აქ დიდუბის მიმდო-
რზე ყოფნა არ ნიშნავდა ოდენ ატრაქციო-
ნისთვის მზადებასა და საღამოობით იმის
გამართვას. აქ ხდებოდა დაბადების დღეე-
ბიც, ქორწილებიც კი. ახლა ესიკოვსკის ცი-
რკის ვოლტიჟორს ცოლად მოჰყავდა ტა-
დეის ცირკის დანის მსროლებელი ქალი და
მაგიდებიც გაშვალა და ღვინის ბოთლე-
ბი აქაც დაეხსნათ. კი, ღვინის ბოთლები.
ოჰ, ანჭულემის ღვინის ბოთლები მოაგონ-
და ისევ ალბრეს, თახჩაში შენახული და
იმის საცობის ამოღების სურვილიც გაუჩნ-
და, თუმცა ეს ფიქრი სადაც შორს გადა-
ისროლა და ისევ გოდფრუასთან ერთად
სიარულს მიჰყვა. მიჰყვა და ხედავდა, ვილა-
ცას აკორდეონი გაეშალა, ვილაც თევშს
ტეხდა ბენდირების მისალოცად, პატარძ-
ლის საქორწინე თავსაბურავი კი ფრიალე-
ბდა დიდუბის ნიავს ქვეშ. ტანზე ჩვეულად
ეცვა, ეს თავზე დასახური საპატარძლო
მოსასხამი კი სადაც ეპოვათ და ქორწი-
ლისთვის ნამდვილი სახე მიეცათ. ოღონდ
ჩანს, ყველა არ მიეპატიჟათ, რაკი იქით
დანიხა ალბრემ, ვილაც შარვალს კერავ-
და „ზინგერის“ მანქანაზე და იმის პირდაპ-
ირ ერთ ვაგონთან შესასვლელში კუბოს
თავიც კი აუყუდებინათ, ჩანს ვილაც მიჰკვ-
დარიყო ამ ომის გასრულების მოლოდინ-
ში და ერთ პატარა მიმდვრზე მთელი ცხო-
ვრების უსასრულობა დატულებულიყო. ერთი
მსუქანა ტრომბონზე ტონალობის აღებას
ცდილობდა და უცებ ვერ მიხვდებოდა, ის
ქორწილისთვის ემზადებოდა თუ დასაფ-
ლავეებისთვის და უზურში უნდა გაჰყოლო-
და იმ კუბოს თავსახურს თუ ქორწილის
ცეკვა-თამაშს.

— ვატიყო, თავი შინაურად გიგრძენი-
ათ?! — თქვა გზად ალბრემ.

— ჯანდაბა ასეთ შინაურობას, ჯანდა-
ბა იმ ერც-ჰერცოგებს, ამხელა აურზაურს
რომ შეგვყარა, — გადასწვდა გოდფრუა
მოკლულ სარაევოს ფაეტენის მგზავრს,
თითქოს იმას უნდოდა, რომ ასე დანარცხ-
ებულიყო ქვაფენილზე შვიდი ტყვიით გუ-
ლში.

მაღე ვაგონსაც მიადგნენ, რომელზე-
დაც ნითელი საღებავით დაენერათ „მსოფ-
ლიოს მერვე საოცრება, გოდფრუას ცირ-
კი“.

— აი, ეს გაქურდეს, — თქვა მან და ხე-
ლი გაიშვირა ვაგონისკენ და არტემიდას
ტაძრის განძისა, ან პირამიდებში ჩამალუ-
ლი ოქროს სარკოფაგების გაძარცვის და-
რი შესტით აჩვენა ალბრეს თავისი სამყო-
ფი, — მე ეჭვი დიხახც მაქვს, რომ ეს შტრა-
უსის ნამოქმედარია და ამაღ ჩემი აღშფო-
თება. როცა ჩვენი მეომრები დასავლეთის
ფრონტზე სისხლს ღვრიან, აქ ტფილისში
ავსტრო-ვენგრიის ქვეშევრდომი არ უნდა
მქურდავდეს.

პირველი მსოფლიო ომი დიდუბის კი-
დეზეც გაჩაღებულიყო.

— ავსტრო-ვენგრიის ქვეშევრდომი! —
გაიმეორა გოდფრუამ.

— რა ნაიღეს? — იკითხა ალბრემ.

— აკვარიუმიდან ოქროს თევზები.

— როგორ?

— ოქროს თევზები!

V

ოსი მევე

მეორე დილით ნიკოლოზი ადგა, გიმნა-
სტიკა გააკეთა, ბენედიქტელების ფხენილ-
ით კბილები გაიხეხა და საუზნეზე გამოცხ-
ადდა.

საუზმე ტუზემცური გაეშალა და ელ-
არჯი მიართვეს და ის კინალამ გადასცდა

და დაახრჩო ნიკოლოზი.

— ეს რეცეპტი ჩვენ მტრებს უნდა გავუ-
გზავნოთ და ომიც დასრულდება, — ხვე-
ლებით ჩაიციხა და გილდენსტერმა და
როზენკრაცმაც ჩაიხიხითეს საპასუხოდა.

სასახლის წინ კი უკვე მანქანებით და
ეკიპაჟებით გაივსო.

ყვითელ სასადილოში იმპერატორის
მოლოდინში იდგნენ ბლომად გენერლები,
მათ შორის, კავკასიის არმიის გენერალი
იუდენიჩი, გენერალ კვორტირმეისტერ
ბოლხოვიტინოვი, პოლკოვნიკი ესაქე, პრ-
ინცი ოლდენბურგელის წარმომადგენელი,
ბარონ ფონ-კნორინგი, კამერგერი ბაგრა-
ტიონ-დავიდოვი, კიდევ ნითელი ჯვრის
წარმომადგენელი პროფესორი ოპპელი.

თეთრ დარბაზში კი იდგნენ გოფმეის-
ტერი პეტერსონი, გუბერნიის წინამძღვარი
აბხაზი. კნიაზები — დადიანი, ნერეთელი,
ერისთავი, ნიჟარაძე, ბაგრატიონ-მუხრან-
სკი, ჭავჭავაძე, ანდრონიკაშვილი, გელო-
ვანი, ჯავაზიძე. ქალაქის თავი ხატისოვი.

ნიკოლოზი ყვითელ სასადილოში შეე-
იდა ობერ-გოფმარშალი ბენკენდორფის
თანხლებით. ემოსა ნიჟეგოროდის დრა-
გუნთა პოლკის ფორმა. მერე ლაზარეთებ-
ში წავიდა. ყოველ დღე სარეკამშიდან ეშ-
ელონი ჩამოდიოდა დაჭრილებით ნეტ-
ელის სადგურზე. ეხლა გამორჩევი ბლ-
ომად ჩამოეყვანათ, რაკი ბოლო ბრძოლი-
სას სახმელეთო ჯარები მოწინააღმდეგის
ავიაციას შესტაკებოდა. დაჭრილებს გარ-
და მსხვერპლიც დიდი იყო, თან ბევრს სახ-
ეში მოხვედროდა „რუმულ-ტაუბეს“
ჩამოგდებული ბომბების ნამსხვრევები,
ერთიანად დაეფლითა სახე, ენა მოეწყვი-
ტა. მოკავშირეები ერთმანეთს ამარაგებდ-
ნენ იარაღით და საბრძოლო მანქანებით
და ასე მოხვედრილიყო გერმანული თვით-
მფრინავები კავკასიის ფრონტზეც. თუმცა
ნიკოლოზს არამარტო კავკასიაში უნებდა
ომი. ფრონტი დიდი იყო, რამდენიმე ათას
კილომეტრს ითვლიდა.

კარგია, რომ შლიფენის გეგმა ჩავარ-
და — ფიქრობდა ის — და პარიჟი ვერ აიდ-
ეს. არტილერიამ კი აყარა ბლომად ჭურვე-
ბი პარიზის ახლო მახლო სოფლებს და გლ-
ეხებიც გარბოდნენ, მიჰქონდათ რა ახლად
დამნიფებული ნითელი გოგრები და ბოთ-
ლებით ანჭულემის ღვინო. აქეთ, ჩვენკენ
კი ეს ჰინდენბურგი გვიტეხს. ის კიდევ ბევრ
თავის ტკივილს გაგვიჩენს. თუმცა კარგია,
რომ ვარშავა დავიციავთ, ლგოვი ავიდეთ.

მართალია, გერმანელებმა ბელგია კი დაი-
კავეს მაგრამ პარიჟს ვერაფერი დააკლეს.
ოღონდ ოსმალეობმა ამასობაში ჯიჰადი
გამოგვიცხადეს — ახსოვდა მათთან ბო-
ლო ომი, მაშინ ბავშვი იყო, ასე ათი წლის
და ეგონა, გენერლები როცა სასახლეში
მამამისს ეახლებოდნენ, უთუოდ ამოღებუ-
ლი ხმლებით შემოვიდოდნენ. ოსმალეობ-
ის ბაში ბუზუკების ამბებიც იცოდა, მოჭ-
რილ თავებს ცხენებზე რომ მიიბამდნენ,
ზუსტად როგორც ფენიმორ კუპერის ნიგნ-
ებში ინდიელები. მაშინ ნახა სურათებიან
ნიგნში ოსმან-ფაშას პორტრეტი თავზე
მოგდებული ფესით და მერე კაი ხანი მისი
ძმა მამამისს სთხოვდა, მისთვის ასეთი ქუ-
დი ეყიდათ.

ახლა კი მას უწევდა ომი, ცალკე ოსმა-
ლეთის მეჭმედ სულთანთან, ვინაც ნაკლე-
ბად რომ წყვედდეს იქ რამეს და სპარსული
პოეზიით უფროა გატაცებული. თალათი
ფაშა, აჰმედ ჯემალ ფაშა და ენვერ ფაშა
— აი, ეს ტრიუმფარატი მართავს ოსმალე-
ოს.

უნევდა ომი ვილკლემ მეორესთანაც,
ვინაც კორფუზე, იახტა „ჰოპონტოლონ-
ზე“, გატაცებული იყო სპირიტუზმის სენა-
სებით. ცალი ხელით დახეობრებულს მთე-
ლი ბავშვობა ამით გატანჯულს გაეტარე-
ბინა, ვერც ცხენზე შეჯდომა შეეძლო, ვერც
ნადირობა, ხელოს გამწელავი საზარელი
აპარატები, ცივი შხაპები, ელექტროთერ-
აპია, ასეთი იყო მისი ბავშვობა. ახლა კი ამ
ჯარების გაგზავნით თუ იამებს იარებს.

კიდევ ფრანც იოსები იყო, ჰაბსბურგი.
ორდენებით რომ გაეცხო მკერდი, თითქოს
ცირკის მოჭიდავეა. ის ჯერ კიდევ ნიკოლო-
ზ პირველს მოეწონა. ბებერი მელა, ბებე-
რი ვითარცა მათუსალა.

იყო კიდევ მეოთხე მეფეც და მასთანაც
უნევდა ომი. რისი მეფე იყო ის? აი, გამოჩნ-
და ისევ. რა უნდა? სამოსიც როგორი უც-
ნაურია. თათრული. თან გუსარული, მის
კავალერგარდებს რომ აცვიათ.



გიორგი ბალახაშვილი

ჯარისკაცები

ძმაცაცი შემხვდა მეტროში. მოვიკითხეთ ერთმანეთი. შევეყვით საუბარს. ბოლო ხანებში კარაქიან პურს ვეტანები ხშირად, თითქოს ბავშვობის ნოსტალგიას ვიქარწყლებ-მეთქი. გაეღიმა.

დაანყო ხოლმე ჯარისკაცებივითო? კიდევ ათას რამეზე მოვასწარით ლაპარაკი, მაგრამ მთელი გზა ეს ფრაზა მიტრიალებდა თავში. ბავშვობის მერე არავის უთქვამს, სხვისგანაც არასოდეს მსმენია, ყურმოკვრითაც კი. ალბათ ორივეს თვალწინ დაგვიდგა ბავშვობის ნათელი დღეები, მიუხედავად უშუქობისა და უწყლობისა, ბრაზილიურ-ვენესუელური სერიალებით, დამალობანა-დაჭერობანათი, ომობანათი, ორდროშობანათი, პაროლოზობანათი, შტაბობანათი, გაშეშობანათი, გრძელი ვირით, სტოპიატით, პოკემონებით, ტურბოებით, დონალდებით, ლოვეებით, ვისი სული გსურს და რომელი ერთი ჩამოვთვალო კიდევ? ლამფის შუქზე ნასწავლი გაკვეთილებიც დამიტრიალდა თვალწინ.

იმ კარაქიანი პურების გემოც გამახსენდა, შაქარს რომ მოვაცივრებდი ხოლმე, ჩაის ვაყოლებდით და მერე გრელკებით ვიძინებდით. რა ცოტა იყო საკმარისი ბედნიერებისთვის, თითქოს სხვანაირად გვიყვარდა ერთმანეთიც მაშინ...

ოდა ციკლონს

მთვარე, უბრძანე ვარსკვლავებს, სიცივეს შეერკინონო, იქნება მაშინ განათდეს ღრუბლების თეთრი კიშონი და ფანტაზიები მოიქცნენ მარტის ვარდისფერ საკურად, აპრილს ზამთარი დაუდგეს თავებდად, მოსამსახურედ, რომ შენი გრძელი თითების სიმყიფე ჰგავდეს ფაიფურს, გადაგარჩინო ყოველგვარ სამუხს, მისტრალს და ტაიფუნს, რომ ჩემი ლურჯი სიზმრები შავი ქვრივივით იგლოვო, ოკეანეში შეჭრილმა ჩამიხმო სმერჩის ციკლონი, გამოვადნო ბერმუდის ღრმა და უსივრცო პრიზმიდან, ტროპიკულ ბრიზთა ექომდე გაუკვდავებებს მივიტან.

13

ბინა. პარასკევი. თოვა ვედოშვილზე. ახლა წერეთელიც თითქოს მონმარტრია. ჩაი. სიგარეტი და ქირომანტია. კოცნა. პოეზია. ღამე — დებოშორი. გარეთ მოყვითალო, უტყვი პანთეონი. ჭიშკარჩაკეტილი. საფლავგათოშილი. დგახარ — ტერენტიმდე ჩრდილით ამოლტილი. ღამე უსათუოდ უნდა გაათენო. წვეთი კონიაკის არ გვაქვს მილიგრამი. ჩაის კონიაკი მაცდურად უხდება. ყინვას მოარიდე ქათქათა მუხლები. მტკივანი მუხლები, ღამის პილიგრიმო. ჩვენი მონატრება უნდა გავანულოთ. სანამ შეეპარა ტუჩებს ეროზია. სანამ რომელიმე მივალთ სკლეროზამდე. დადგი ჩაიდან. ჩართე ზავინული.

პატივგამი

რა თავში იხლი, ძმაო ჩემო, ამ მინას, ყამირს, მინას ვერ გატეხ, რომც გატეხო, არ გყავს რაყიფი, თანაც რა მყიფე თითები გაქვს, დახე, რა მყიფე, მინას ვერ გატეხ, დამიჯერე, არ მოცდე ნამით. შენ მოგიქსოვეს წინა ღამით შალის თათმანი, უფრო იმის წინ ხაკისფერი ჯვალაო, შალისვე, მინას ვერ გატეხ, ხელისგულზე უნდა დაისვა და მოეფერო მინას შენსას. ბეითალმანი... ჩაიცვი ჯვალაო. დერვიშივით ივლი ხევ და ხევ, რა თავში იხლი, ძმაო ჩემო, ამ მინას, ყამირს,

მინას ვერ გატეხ, დამიჯერე, არ მოცდე ნამით, არ მოცდე ნამით, დამიჯერე, მინას ვერ გატეხ.

აქამ

აქეთ ცის სიმაღლე ქედებია, იქეთ ცეცხლოვანი მაცვალი, ჩვენი მშობლები ბერდებიან, ათასი ბილიკი გაკვალეს, აქეთ ცის სიმაღლე თალებია, იქეთ გაუვალი ტაიგა, დღეებიც როგორ მძალდებიან, მართლა ვერაფერი გავიგე, აქეთ მარმარილოს ობელისკი, საფლავის ქვაც არის იქეთო, აქეთ ქალაქი, სოფელი კი ქალაქზე მეტადრე იქეთო, ჰოდა, აქებდეთ ცის სიმაღლეს, ცეცხლოვან მაცვალს აქებდეთ, სუფლიორს ტექსტებს ვინც მიახლის, იმან ითამაშოს მაკბეტი...

LASCALA

თებერვლის თვე იყო, ხომ გახსოვს, მილანი? ბოლოჯერ გაკოცე. ნავედი. ვინანე და ასე უსიტყვოდ და ასე უომრად და ასე ეულად, წინ გვედგა დუომო. მერე კი ბავშვივით ვგზავნიდი წერილებს, ვის აღარ მოეუხმე, მორიაკს, მერიმეს. ვინ თქვა, რომ სიყვარულს არ უნდა თარგმანი, გულიც და სარკმელიც ჯიუტად დაგმანე. ლა სკალაც არ გახსოვს, მითხარი, ღმერთმანი, როდესაც თითებით ვეფერეთ ერთმანეთს? Как наши пальцы друг друга ласкали, Боже, ответишь, не помнишь в Ла Скале? მე კი სულ ჯიუტად, მე კი სულ ზეპირად, მომყვება მაგ შენი თითების ზეფირი, თებერვლის სიცივე. ლა სკალა. მილანი. ბოლოჯერ გაკოცე. ნავედი. ვინანე.

სკიპრიდას

ჩვენ დავივინყეთ სახელები. ღმერთი. ივრითი. ლოდინი. შფოთვა. საიდუმლო. ლოცვა. განდობა. რაც კი გვინახავს, დათოვლილი, გრძელი ანდებიც. გადმოალაგე ფოტოები ძველი სკივრიდან. არაფერია, გავისხენებო. ვიბრძოლებო. მენდე, რადგან ცხოვრება მირაკლია. დიდი დუნდე. ჩვენ დავივინყეთ ყველაფერი. წვიმა. ირიდა. ღმერთების მაცნე. ცისარტყელა. სველი იები. არ მოგვიკითხავს ამბავი და სვე ლილიების, ვერ გავამჟღავნეთ ყვავილები — ფოტოფირიდან. მოდი, ხსოვნიდან ამოვშალოთ ყველა უნირო და უშნო წუთი, სანამ შრება მზეზე ჭუნირი. გახსოვს დიდხევი, ალაზანი, მითხარი, მართლა, გახსოვს, ვსტუმრობდით აგვისტოში იდოიძებს? როდესაც ღამე უმეტესად ლურჯ ფერს იძენდა, რა საოცარი იყო მაშინ ქველთობის დართლო. დროდადრო ხავსი მოერია ლოდებს, ქონგურებს. აღარც ჯიხვები, არც კომბალი, აღარც ჩონგური...

მურმურაცია

გინახავს შოშიების მურმურაცია? არავინ იცის, რას ხატავენ ერთ გუნდად შეკრულნი, უწონადობის სიმსუბუქით კრავენ ირაოს. ხან ვერხვის ხეს ემსგავსებიან, ტანკენარს, ხანაც ადამიანის სახეს იღებენ. საოცარი უნისონია. თვალის დახამამებაში ქმნიან ათას ფიგურას, გეომეტრიული სიზუსტის დაცვით, მოკლე კისრებით და გრძელი ნისკარტებით. თითქოს ერთმანეთის გულისცემასაც გრძნობენ, არცერთი ზედმეტი რხევა და მოძრაობა. იფიქრებ, თავად ღმერთი ათამაშებსო თითებს, გამომბული ჰყავს შოშიები აბრეშუმის ძაფებით. კიდევ ცოტაც და გადაშავდება ცის რომელიმე კუთხე, ვეებერთელა კამარით, ბურთით, ისე მოწყდებიან ადგილიდან, რომ მზერასაც ვეღარ დაანეც.

აჰ, რა იქნება, შენც გქონდეს ფრთები და შეგეძლოს ჰაერში მათსავით ლივლივი, შენც გამოეხა ღმერთის თითებს...

სიბარის ინსცენირება

ოდესმე, ამ კედლებიდან გაქრებიან ჩვენი ჩრდილები და ბალიშებსაც აღარ გაუჯდებათ თმისა და კანის სუნი. იქამდე, აუცილებლად მოგიხარმავ ბრინჯს, სურვილის შემთხვევაში, თბილი რძეც დავლიოთ. მთავარია, პირისპირ ვისხედეთ, როგორც ყოველთვის. ჩვენ ერთმანეთს გადავუღებთ ფოტოებს, რომ შემდეგ საკუთარ ნაოჭებზე ვიცინოთ. სულერთია, კვირის რომელი დღე იქნება, რადგან ხვალ, არცერთს გვექნება სამსახურში წასასვლელი. შეგეძლია, კაქტუსები მოვრწყათ ან საფოსტო მარკები დავათვალიეროთ ალბომში. გინდა, კროსვორდები შევავსოთ? სიგარეტსაც მოვუკიდოთ, გაგვიადვილებს ფიქრს, სანამ ნაპოლეონის მარშებს ჩამოვთვლიდეთ... ჩვენ შეგეძლია, ყველაფრის უფლება მივცეთ თავს.

ღაგაგა

ზოგჯერ არაფერზე ცოტა ხარ, ჩრდილსაც კი ეჭვით აკვირდები და შენი პატარა ოთახი, საცაა მთელი ხმით აყვირდება. კედელზე დეგა და კრანახია, შარშანწინდელი კალენდრიდან, ათას სისულელეს გკარნახობენ, დროულად უნდა გაერიდო. სისულელეა კუროსავა, სრული სისულელე — პაგანინი, მოდის თებერვალი კუროსავით, რქები ფანტაზიებით დაგმანეო, სისულელეა მორისონი და ყველა კარი — დახშობამდე, სულ რომ უკუღმე მოისროლო, შენი შორეული ბავშვობიდან. სისულელეა პეტროგრადი — ერმიტაჟით და ცივი ნევით, ნუგეში - უგნურ რეტროგრადებს, აქციაზე რომ ჭიხვინებდნენ.

ისა

ისე უნდა იენძელო, ისე უნდა იიო, ისე უნდა ივარდო, თარგმანი არ გაგიძნელებს, მიაკითხო ვიიონს, პოლ ვერლენიც გიყვარდეს. ისე უნდა იტრაპეზო, ისე უნდა დალიო, ისე უნდა დაგვიტვერე, უშირაზოდ, უჰაფეზოდ, არ დაუხვდე ალიონს, არც ღარიბებს, არც მდიდრებს. ისე უნდა დაიძინო, ისე უნდა გელვიძოს, ისეთ სიზმარს ხედავდე, შენატროდეს მუეძინი, შეხაროდეს ლეღვი — ცას, თქმას კი ვერ უბედავდეს.

გაზაფხული

„ნუშები არასრულწლოვანები...“ ნომადი ბართაია

მოგვიტანეს გაზაფხულის სურვილი და სურნელი, შეხე, როგორ ეფერება ასკილს ურცხვი კუნელი, ტყემლები კი ტოტებიდან — ლობებზე გადადიან, ყველაფერზე საამური და ფაქიზი ტაატია, ღრუბლებს სველი უბები იშვიათად უშრებიან, გზაზე ახლად ტანაყრილი, მომლიძარი ნუშებია, ბილიკები ხან სწორდება, ხანაც ისე იგრიხება, წვიმისაგან მერამდენედ უნდა გვიხსნან ტირიფებმა, მალე ეს ტყეც, შემცივნული, იისაგან გალურჯდება, იქნებ მაშინ გაიღვიძონ მუცელსავსე ალუჩებმა, მოგვიტანონ გაზაფხულის სურვილი და სურნელება, განვიმდეს და არ ვეძებოთ ტირიფები — სულელებმა...



მელანო კობახიძე

 — აქ ირმებს ხომ არ ჩამოუვლიათ? —
 იტყვი და თოვლის სითეთრეში ჩაიკარგები...
 ვერ გიპოვნიან მათი ხელები,
 ვერ გიპოვნიან მათი თვალები
 და
 წამწამები...

და ჩაკარგულიც თეთრ ირმებზე მოჰყვები ნუხილს:
 — გზა ჩაეკეტათ? ან ზამთარმა ხომ არ მინამქრა...
 და მერე, როცა გადაქანცულს ძილი წაგიღებს,
 შენს ვერახდენილ ოცნებებსაც წაიღებ ძილში...

გახსოვს, თოვალში, შენ რომ ქსოვდი, ქსოვდი და ქსოვდი,
 და ირმებს რქები მოუჩანდათ ნაძვების ტყიდან...
 როგორ ხარობდი?!

იძინე მშვიდად...
 ისინი მოვლენ და თოვლიდან,
 როგორც გირლანდებს, ამოგიყვანენ...
 აღარ შეშინდე!
 ყინვა მაინც ვერ მისწვდა შენს გულს...

ლურჯი ზმანება, ვით ავადმყოფ ქალის ხილვები,
 თვალებს აგიხელს და წამოვა თოვლი შენს მკერდზე.
 იძინე მშვიდად...
 ოცნებები ათოვდეს შენს მკერდს!
 იძინე მშვიდად...
 დე, სიზმარი იყოს ასეთი —
 ხედავდე, როგორ მალდება ზეცა
 და ირმებს ზურგზე როგორ ჰყავხარ გადანვენილი...

 შენ არ დაგხატავს შემოქმედის ლამაზი ხელი,
 და არც ესპანელი მუსიკოსი გიმღერებს
 ტორეადორებით აშლილ მინდორზე.

იქ, სადაც ქარებია,
 ისმის შენი დავიწყების ფუტა.

შენში არავინ შემოიხედა.
 შენში არავინ დაივანა.
 შენში არავინ დაეყუდა მომლოდინე ბერივით.

სილამაზეს, ასე ფარულსა და დაწყევლილს,
 იელის ტოტები ეხეთქება გულზე.

სილამაზეს, ასე მარცხიანს და გალეულს.

დედას

რამდენი სახლი მოვიარე,
 დიდი თუ მცირე.
 ზოგს ბზინვარება ზღურბლიდან რომ ეწყებოდა,
 სხვენშიც ატანდა.

რამდენი იყო,
 ახალ-ახალ ხალიჩებით პირთამდე სავსე.
 ზოგს თუ ფარდავი მეტი ჰქონდა,
 სხვას ჰქონდა სარკე
 ისე ბრჭყვიალა,
 თითოეული ოქროს თვალთ შემოგვინოდა.
 იყო სახლები, აბრეშუმის ტილო-ფარდებით,
 ბროლის ვაზებით
 პირმცინარნი, თავს იღერებდნენ.
 და დარბაზები,
 მეჯლისებს რომ გაგახსენებდნენ.
 იყო სახლები, მარმარილოს ფილაქნით სავსე,
 თეთრი, ვით შუბლი აფროდიტისი.
 რამდენი სახლი მოვიარე მე ასეთი,
 დიდი თუ მცირე,
 მაგრამ ვერცერთში ვერ ვიპოვე
 ის სურნელება,
 ღუმლიდან ახლადგადმოღებულ პურებით
 გამთბარ
 უმშობლიურეს შენს ხელებს რომ სდიოდა,
 დედა...

 — იასამნები დაისიზმრე, იასამნები, —
 მატარებელში ლურჯკაბიანი გოგო ამბობდა
 და თმებს იწნავდა.

მე დღემდე მახსოვს ეს სიტყვები
 და მახსენდება,
 ასე ნუსხავდნენ სირინოზებიც უბრალო მგზავრებს,
 და ეს ამბავიც ზღვის უცნაურ ქალაქში მოხდა.

მახსოვს, იმ დღეებს ყვავილების სუნი რომ ჰქონდა,
 მახსოვს სიმწვანე ჰორიზონტის ოთხივე მხარეს,
 ფერი ზეცის და მენამული ბრონეულების.

— იასამნები დაისიზმრე, იასამნები, —
 მატარებელში ლურჯკაბიანი გოგო ამბობდა
 და თმებს იწნავდა.

— ათასნაირი ქარტეხილიც რომ მოგველინოს,
 იასამნები დაისიზმრე, იასამნები.

 გაზაფხულია ფუძიამაზე
 და ჩემს სოფელშიც —
 იქ ახლა ყვავის ტყემლები
 და იასამნები
 და ჩემს ოცნების ქვეყანაში დგება ჰანამი.

რა მსუბუქია ყველაფერი,
 როცა მზე არის,
 როცა ლარნაკებს ყვავილებით
 და წყლით აავსებ,
 როცა თენდება ოსაკაში
 და ჩემს სოფელში.

რა მსუბუქია ყვავილები
 ვარდისფერი ხის,
 რა მსუბუქია ის გოგონაც
 უენოს ბაღში —
 საკურას ხეებს მიყრდნობილი
 უსმენს ქარის ხმას.

გაზაფხულია, გაზაფხული
 ფუძიამაზე
 და ჩემს სოფელშიც.

მე კი ამაზე
 ქალაქიდან დავნერ წერილებს.

 მე მინდა, უბრალოდ მოვიდე და გითხრა:
 სახლი, რომელიც ტყის განაპირას იდგა,
 მიატოვეს და დაინგრა.

სახლი, რომელსაც ლამაზი აივანი ჰქონდა
 და ლამაზ სარკმლებში მზის სხივები ციალებდა,
 სახლი, რომელიც ნაზი ხით იყო ნაშენები,
 სახლი, რომელიც მიატოვეს, დაინგრა.

მე მინდა, უბრალოდ მოვიდე და გითხრა,
 რომ ასე ინგრევიან სახლები.
 რომ ასე იძირებიან ქალაქები.
 რომ ასე შრებიან მდინარეები.
 და ასე ვკვდებით ჩვენ.

 შენ იცი, როგორ მიყვარდა
 ტყემლის ყვავილობა მე ჩვენს სოფელში.
 იცი, როგორ მესიზმრებოდა იასამნები და იელები.
 დღეს კი ვილღები შფოთვითა და უწყვეტ ხმაურით
 და რომ ვერ ვხედავ გამოსავალს, რომ ვიქცე რამედ,
 რამე ისეთად,
 ვთქვა, რომ ესა ვარ!
 რომ ეს მინდოდა, ვყოფილიყავ,
 და რომ ამიხდა!

 სადღაც სიმშვიდეც ხომ იქნება?
 მდინარეები ჩამოატარებენ ყვავილებს ჩვენს სახლთან.
 გვექნება ქოხი და სარკმელთან იასამნები.
 ვაშლების ბაღს კი გაზაფხული აგვიყვავილებს.

სადღაც სიმშვიდეც ხომ იქნება?
 იქ, ვრცელ მინდორზე, ამღერდება ვიღაც უცნობი
 ალუბლის ხეზე, შეღამებისას ქარი რომ სტუმრობს,
 ჩვენ კი მოვეყვებით მონატრების ყველა ბალადას.

სადღაც სიმშვიდეც ხომ იქნება?
 როცა ჩემი მზინვარე თმები
 ჩაემვება ვერცხლისფერ ტბაში
 და შენს თვალეში გამითენდება.

 ელვისფერია სახლი ამ ღამით,
 ელვისფერია ეს შემოდგომაც...
 შენ დგახარ დიდი მთების გადაღმა
 და უცდი, უცდი, რას კი, არ იცი...

ჩამოვიღინე იქ ქალღმერთები,
 შემოგხედავდნენ, დაგიახებდნენ:
 — შენი დაღლილი მკლავების სევდა
 მომქანცველია, ნუ მიეჩვევი...

დაესიზმრება ძილში დედაშენს,
 რომ უდარდელი იცინი სადღაც,
 რომ ხარ ლამაზი და მზით ნაბანი
 რომ ამაოა ფიქრი და ტანჯვა.

შენ კი სანოლზე ფიქრს მინდობილი,
 შენ კი ქალაქის სადღაც კუნჭულში,
 შენ, დაკარგული ყველა სახლისთვის,
 ცრემლებს ირმების ტანით იმშრალე.

აბო იაშაღაშვილი

დიდრისონის ინდაურები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

დასასრული

ის შემოფარვდა ისევ ოთახში და ისევ გაქრა.

თუმცა უჩვეულობები ამით არ მოსრულდებოდა, ნიკოლოზს მოესმა გალაგინსკზე ფლოკების ხმა ქვაფენილზე და როცა ფანჯრიდან გაიხედა, გამოჩნდნენ მხედრები, ნამდვილი ჯარი, შემოსილი ჟანგიანი ჯაჭვის პერანგებით.

ისინი მეფის ნაცვლის სასახლესთან შედგნენ.

ბისოს მოვიდა ამბავი, მოუკლავთ ერც-ჰერცოგი, — შესძახა ამათმა თავმა.

მოკლე ფარები ეკავათ, შუბები, გადაკიდებული ხმლები, დროშა ზედ ჯვრებით. თითქოს ჯვაროსნები გამოჩნდნენ და გოდფრიდ ბულონელის ამალამ შემოგდა ფეხი გალაგინსკზე.

ხელმწიფეს უთხარით, საომრად ჩამოვედით, — ისევ დასძახა, თუმცა რომელ ხელმწიფეს, ეს აღარ უთქვამს და უფრო ერეკლე მეფე თუ ჰყავდა თავში, ვიდრე ნიჟეგოროდის დრაგუნთა მუნდირში გამოწყობილი ნიკოლოზი.

მანქანები კი შედგა, თავიდან თუ სიგნალები აახმაურეს, მერე გაოცებისაგან ყბა ჩამოუფარდათ და გაშეშდნენ.

ეს ინჩაბარე? — თქვა კინტომ და თავზე შემოდგმული თაბახი გაისწორა.

რა ხდება? — მოწყდა ბილიარდის მაგიდას და კიბო ხელში გამოსულიყო რესტორნიდან ახალგაზრდა თავადიშვილი.

სინემატოგრაფს იღებენ? — იკითხა მირიმანოვის ნოტების მაღაზიის პრიკასიკმა.

ღამე ისევ გამოეცხადა ის მეფე მონთალო წვერით.

VI სალორის ტყის ხაფანგი

კომიტეტმა დიდი საქმე დაგვაგალა, ძალიან დიდი, — თქვა ელიაზარ ჩხეიძემ, ვინაც ქუთაისში კონსპირაციულ წესზე ებრაელ ბუზიაშვილის საპნის ქარხანაში იყო მუშად მონყობილი.

მერე რო დეიარება მაშინით, დავხედეთ ქუჩის კუთხეში და ვშვლიპოთ ბომბი, — თქვა მაქსიმე კაკაბაძემ, თერჯოლაში სამი სტრაჟნიკი რომ მოეკლა წინა კვირას და მერე, თითქოს არაფერი, ქუთაისში ახლად გახსნილ პროექტორ „ელექტროვიში“ იჯდა და „კაპიტან გრანტის“ შვილებს უყურებდა.

შენ ლულაძის მოედანზე ხო არ გგონია თავი, ფერშალი რო დაჩეხავს მკუხე საზამთროს, იმ ჟანდარმებს არ მისჩერებოდი? — თქვა ისევ ელიაზარმა.

მაშინ შენ გვითხარი, რაფერ ვქნათ.

მეფის მოკვლა სახლის შკაფის გატეხვა არაა. ისეთი ფოკუსი უნდა გოუკეთოთ, — თქვა ისევ ელიაზარმა.

რა ფოკუსი?

ასეთი აზრებს არ მოუვიდოდა თავში. იგი რო მოდიოდა, მე მივდიოდი.

ისე კი იყო კაი ჭინკა, სადაა ნეტა ეხლა?

კორსეტებს ყიდის ბერლინში, ნახეს ამხანაგებმა და არი რავარც ღორი, იმსისხოა.

მაგის გადაკიდებას ეშმაკის გადაკიდება ჯობდა.

მიაძალღებს მასაც ვინცხა და მიყარე კაკალი.

მე იქ ვიყავი, კომიტეტს რო ეუხებოდა, თვითფრინავით დევეტაკოთ ნიკოლოზას იახტასო. ის კაციც ვნახე, მიუნხენში იდგა, პლანერს მოტორი „ანტიუანეტ“ გოუკეთა და ზუსტი ლენავსო.

და იგი რო გამოაგზავნა პარახოდი თოფებით? „ჯონ გრაფტონ“, არ დაჯდარიყო მერქზე კაი იყო, არა, მაგარი იყო ის შობელქაღლი, რაფერ მოუკვარახტინა მაშინ იაპონელ სამხედრო ატაშეს.

რას მოუკვარახტინებდა ვნახავდით, არ ყოფილიყო დეკანოზოვი?

— ეჰ, ვიყავი მაგის საფლავეზე კანში. ნოუქციეთ ჭიკა და „მარსელიოზა“ ნოუქციეთ და კიდო „ალი ფამამ გვილალატა“, ნოუქციეთ, ნოუქციეთ და რა დავთვერით, ბუჯო, სამსონიას შეცივდა ყვერებზე.

— რა ეთქვიფეთ ენა! თქვენ რა გინდოდათ ტერორში, მღვდლებით ქადაგებთ. ნიკოლოზა უნდა მევიტაცოთ, ლამლაპობით როცა დეეთრევა ქუჩებში, — თქვა ისევ ელიაზარმა.

— რას ნიშნავს დეეთრევა?

— აგენტია უცხო დაზვერვის, „გრაფი“. ის დოუკავშირდა კომიტეტს და კომიტეტმა მიგვამაგრა მაგიზა. კაცი ყავს იმას ზიმი დვარცში და იქიდან გეიგო. კი, ნიკოლოზა ლამლაპობით დეეთრევა ქუჩებში. ასე ქნა ლეოვიცი, საცა დამშეული ხალხი დუქნებს არბევდა, ასე ქნა მოსკოვში, საცა ტანგოს საცქერად იყო, ასე იზამს აქაც. მას აქვს მხოლოდ ერთი ღამე, საცა ამას მოახერხებს, ასე რო, ჩვენ ხელშია ყველაფერი, — თქვა ელიაზარმა.

— რაფერ კარგად გველაპარაკები, — თქვა მესამე წვერმა, ტყიბულის „კარდიანმა“ წარმომადგენელმა, მიხილ ბოჭორიშვილმა, მასწავლებლად რომ იდგა პირველ რევილუციამდე და ოცნებობდა, მის მშობლიურ ტყიბულში ელექტრონის ვაგონებს ეარა. როცა ტერორი არ იყო ჩასატარებელი, ის ოცხელის ნიგნის მაღაზიაში მსახურობდა ქუთაისში, თუმცა იქაც არ ასვენებდა თვითმპყრობელობის გადაგდების ფიქრი.

— ის პარადნი გამოსასვლელით არ გამოვა, ეზოში ჩავა კიბით და მერე ბალიდან გეიპარვება. ის კომპი როა, ქე რო სარაიასავით, იქიდან გავა. ხოდა იქ დოუბათ მახე. პარმენა სირბილაძე რო უგებს მაჩვენებს ხაფანგს, მასეთი. სალამოს რო მეისვენებს და შეღამებულზე გეივლის ქუჩებში, ვტაცოთ ხელი და მევიტაცოთ, — აგრძელებდა ელიაზარმა.

— მევიტაცოთ რავა, ჯვარი გინდა დეინერო, თუ რაფერაა საქმე? რო დევიანხავთ, ვშვლიპოთ „მაუზერის“ ტყვია და გოუშვათ გაღმა.

— ელაპარაკე ეხა ამას. მაგი მეფეა და არ უნდა მოკვდეს ურიადნიკივით. დეინყეს ისევ „ყეენობა“ ტფილისში, ხოდა ჯერ ესე უნდა ვათრიოთ ქუჩებში.

— მერე მტკვარში მევისროლით?

— არ ამევიყვანოთ და დეიხრჩოს კნუტივით, — დაეთანხმა მიხილი.

— კნუტივით? არა, სხვა მაქვს მოფიქრებული. გეტყვით მერე. „გრაფთან“ შეთანხმებულია. ვჩხანნიდი რაცხას და იმან მეიტანა ფიქრი, რაფერ უნდა ისუქნათ მაგას, რო გელაპარაკებოდით აზრებს შემურდება-თქვა, — მერე უბიდან ბლოკნოტი ამოიღო, ერთი ფურცელი ამოხია და იქვე დაწვა, — რა იცი, რა ხდება და საიდუმლოდ დარჩეს!

— კაია, მასე ვქნათ. მოვუკრათ თავი მეშოკით და ვათრიოთ ქუჩებში, ნახოს სიმნარე მუშა-ხალხისა.

— ბევრი მცდელობა იქნება ხალხის ოსპის შეჭამანდში გაცვლისა, რაზეც მომაკვდავი რეჟიმი თანახმაა, რომ ის ბურჟუაზიას დაუთმოს და ხალხის და რევილუციონერების მხრებზე, უდრეკად რომ გამოიარეს ბრძოლის სიმძიმე, თავისი მეშჩანური კეთილდღეობა მოიწყოს. სანდო კომპასით კი თავისუფლებასა და მშრომელი ხალხის ბედნიერებას რომ მოიპოვებს, სოციალ-რევილუციონერთა პარტია გაარღვევს ღია მტრების და თვალთმაქცი მეგობრების რიგებს, — მოასრულა ელიაზარმა.

— რავა გაზეთივით გველაპარაკები, შეკაცო.

¹ ასე წერდნენ მაშინ.
² ენო აზუფი (1869-1918) — ესერების პარტიის ერთ-ერთი თავი. ტერორისტი და მრავალი სახელმწიფო მოღვაწის აფეთქების და განადგურების დამგეგმავი. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, პოლიციასთან იყო შეკრული.
³ გიორგი დეკანოზოვილი (1868-1910) — სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.



გიორგი გელაშვილი
კომენტარები
ქალღმობის ომზე

ეს ისტორია თბილისის ქუჩის ძაღლისგან მოვისმინე, რომელიც იმპერატორს პირადად შეხვედრია. მთხოვა, ხა ზვასმით აღმენიშნა, რომეს მონათხრობი მხოლოდ და მხოლოდ კომპლიმენტია კეისრის მიმართ, რომელსაც დიდად აფასებს — განსაკუთრებით, როგორც ავტორს.

ნარატორი

მატიისის თვალ

ქალაქი მკრთალი ლანდივით შერწყმოდა ზამთრის ცივ ჩრდილებს. -13 C ეჭირა. ბოუვი გაყინულ გუბეს დასტრიალებდა. გარს უვლიდა, ლოკავდა, ხან იცდიდა, ხან ფრთხილად ახებდა თავს. თბილი ბენვი და ჰასკის თვალის დედისგან ერგო მემკვიდრეობით; ყინვაზე მეტად საგვარეულო ნუსხას დარდობდა — მეორე თვალი, მამის დარად, ჭაობისფერი, მეტისის დალი და წყველა იყო.

ბოუვი წარსულზე ხშირად ფიქრობდა. ლეკვობა მყუდრო ატმოსფეროში, კუდის დევნასა და ყურის ბერტყვავში გაატარა. ბედს არ დაჰყევდა, სანამ გენეალოგიური წყევლა იჩენდა თავს.

მარტობაში ხშირად ჩაესმოდა ღვთაებრივი ტემბრი, რომელიც ვერც განდევნამ და ვერც სამყაროს გულგრილობამ დაადავუნა. „ბოუვი რა სახელია! ღრრ, — ლეკვობაში ასე არ მეძახდნენ, — ბრაზობდა, — იმ სახელს უფრო მკაფიო, მელოდიური უღერადობა ჰქონდა,“ — გაიფიქრა და გულდანწყვეტილი მოშორდა გუბეში არეკლილ ბეტონის ჯუნგლებს.

ბოუვი წყვილფეხა მუსიკოსის გამო შეარქვეს, რომელსაც მასავით სხვადასხვაფერი თვალები ჰქონდა. მეტისის ბედი ნილად ჭაობისფერი თვალის გამო ხვდა — ნამდვილი ჰასკი რომ ყოფილიყო, არ განდევნიდნენ.

მარტობის უდაბნოში მავალ დემონებს ხშირად აფრთხობდა ბგერის ტალღებით. სულსმემძვრელი ყმუილით აღვიძებდა მეზობლებს და მათ კორაბზუა ჯიშთან ძაღლებს. ერთხელ უქმეხად მიაძახეს: „რაგინდ ავი ძაღლი იყოს, კუდს მაინც აქიცინებსო.“ ამის გამო რამდენიმე დღე ჩაფიქრებული, შესაძლოა, ნაწყენიც კი იყო. „ავი სულაც არ ვარ, რაც ვარ, გარემოებამ განსაზღვრა გრძნობის ორგანოებზე ზემოქმედებით“ — სევდიანად ფიქრობდა ჰასკის მეტისი.

იმ საღამოს ერთი უცნაური ძაღლი ნახა, რომელსაც წვეროსანი ორფეხა მიათრევდა კისერზე გამობმული თოკით: მთლიანად თეთრი იყო, ხვლიკივით მოქნილი კუდი ება, ცხვირ-პირი ვირთავგას მიუგავდა და თვალები პერანგის სალილეებით ვინრო ჰქონდა. დიდხანს სდია. მოუსვენრად პოზიორობდა, ყნოსავდა, უცერად გაუჩინარდებოდა და მეხვივით გამოქანდებოდა საიდანლაც. ისე გაერთო, ვერც შეამჩინა, როგორ შეიჭრა უცხო ტერიტორიაზე.

კაფეში მოკვიცილი წყვილფეხა შოპენის ნოქტიურნს უკრავდა. ღამაში მელოდია ნამცხვრების თავბრუდამხვევ სურნელს აფრქვევდა. ბოუვიმ იფიქრა, აქ დარჩენა უსაფრთხო არ იქნებოდა, მაგრამ შუშის კარის წინ ცოტა ხნით მაინც ჩამოჯდა. მალე ნაბიჯების ხმა გაიგონა. კაფედან ჯერ ახალგაზრდა წყვილი გამოვიდა, შემდეგ სხვა-

დასხვა არომატის საერთო ტალღა, რომელმაც დამშეული მსმენელი გააბრუა და საფრთხე სულ გადაავინყა. ცივ ასფალტზე კუდი რიტმულად დაფერთხა. „რა საყვარელი ჰასკია“ — თქვა ფაქიზმა წყვილფეხამ და თითის ბალიშები კისერში ჩაუცურა. ბოუვი იქიდან ნასვლას აღარც იფიქრებდა, რომ არა ის, რაც თავიდანვე მოსალოდნელი იყო: ავი ძაღლების ხროვა ისე აედევნა, თითქოს ყველანი მასზე იყვნენ დაგეშილები.

ყვითელმა ძაღლმა, რომელიც ხროვას მიუძღოდა, მისი ტყავის დაფლეთა მოისურვა. ბოუვი ხან ჰასკის თვალთ გახედავდა, ხან — ჭაობისფერით.

ყვითელი აპრეხილი კუდით მისდევს, მრისხანედ, როგორც პელიონი პრიაამოსის ვაჟს და ბოუვი მოყინულ ასფალტს ბრჭყალებით ეჭიდება — ცდილობს, არ მოცუოდეს. „ღრრ-გაფ, გაფ, გაფ, გაფ, გაფ, გაფ, გაფ! ტკბილულს არ ვჭამ, ბიჭებო-ღრრ... გაფ!.. ღრრ-გაფ, გაფ, გაფ, გაფ, გაფ, გაფ დეიტაზე ვარ, — მდევრებს გასძახა, — მოპენის ნოქტიურნს ვუსმენდი, ღრრ-გაფ, სი ბემოლ მინორს, ღრრ“ ... ტროტუარი ძაღლების ხროვამ გადაკეტა, თითქოს საპროტესტო აქცია იყო. ბოუვი ველოსიპედის ბორბლებს შორის გაძვრა და გზა გადასერა, თუმცა ხროვა მაინც ვერ ჩამოიშორა. გაქცევით რომ ვერ უშველა თავს, გონება დაძაბა: ხროვას თავი მოაჩვენა, ვითომ დანებდა, კუდი ამოიჩარა და ისე შევიდა პარკინგის ზონაში, სადაც მხოლოდ ყვითელი ძაღლი მიჰყავდა. დანარჩენებმა სვლა შეანელეს, იფიქრეს, მტერი მოვიგერიეთო, მაგრამ ცდებოდნენ, რადგან ბოუვი ის ძაღლი არ იყო, რომელიც ჰეტიტორის ბედს გაიზიარებდა. მტერს ჩაუსაფრდა, ხელსაყრელ მომენტს დაელოდა და ორგანიზებულად დაესხა თავს:

ჩასაფრებულმა საბრძოლო ნახტომი შეასრულა — კისრის მარცხენა მხარეს ორივე თათით მიახტა მეტოქეს. ყვითელი ძაღლი ათლეთური აღნაგობის იყო, წონასწორობის შენარჩუნება რაღაცნაირად მოახერხა. შემდეგ თავად გადავიდა შეტევაზე. ჰასკის მეტისი უკანა ფეხებზე იდგა, მკერდში ძლიერად ეძვრა და ნააქცია; შემართებით მიუახლოვდა, ეგონა, ბრძოლას დაასრულებდა, მაგრამ ბოუვიმ ნამოადგომა მოასწრო და მარცხენა ყური აღესილი კბილებით ჩამოაფლეთა. მონინაღმდეგეს ძალა აღარ ეყო საპასუხო იერიშის მისატანად — შოკმა კუნთები მოუღუნა. ყვითელმა თავი დახარა, მარცხი ღირსეულად აღიარა და გამარჯვებულს ნელი სვლით მოშორდა.

ბოუვი პარკინგის ზონიდან ამაყად გამოვიდა. ხროვა შიშმა გატეხა. შორიდან უღრენდნენ, მაგრამ მიახლოებას ვერ ბედავდნენ. „მართლაც, რა გინდ ავი ძაღლი იყოს, კუდს მაინც აქიცინებსო“ — ჩაიღრინა. წინა თათები ოდნავ მოხარა და ერთმანეთს მოზომილი დისტანციით დააშორა. კისერი

ბეჭდებს შორის დინჯი მოძრაობით ჩააცურა. ყურის ნაფლეთი კბილებით ეჭირა — სახიფათო შესახედაობა ჰქონდა. კუდი ღრუსულად აეპრისხა სტატიკურ მდგომარეობაში. გამარჯვების პიკანტიური გემო თანდათან უფრო აფორიაქებდა. თავის მოთოკვას შეეცადა, არ უნდოდა, ალტაცებას მისცემოდა, მაგრამ წამიერად მაინც მოდუნდა და ყურადღება გაეფანტა: „ბოუვი კი არა!.. კეისარი უნდა მიწოდონ“. ამის გაფიქრება იყო და მის თვალწინ შავმა ძაღლმა იფეთქა. ისეთი ძალით შეასკდა, „კეისარმა“ თავის შემაგრება ვერ შეძლო და ცივ მიწაზე გაეცურა. ყურმოქმედი მოთმინებით უყურებდა; ამჯობინა, მეორე რაუნდი „კუპრისთვის“ დაეთმო; გამოხედვებზე ეტყობოდა, მის არსებაში გარდატეხა მოხდა.

ბოუვი წამოდგა და მორიგ იერიშს დაელოდა. შავი ძაღლი ისევ გადახტა მისკენ, მაგრამ მეტოქე მზად დაუხვდა. თათებით მოიგერია და ალესილი კბილებით ფერადი ყელსაბამი მოაგლიჯა. განწირულმა ნკმუტუნმა სმენა დაუსერა იქ მყოფ მანანალეებს. წყვილფეხებიც შეშფოთდნენ და დისტანცირდნენ მათგან. შავმა ძაღლმა უკან დაიხია. ჰასკი მიჰყავდა, როგორც კეისარი არიოვისტის არმიას, თუმცა დევნა მალევე შეწყვიტა და ხროვას მიუბრუნდა. ვისაც მიუახლოვდა ყველა მოერიდა მის სიმშაგეს. „მშვიდობა უნდა დამყარდეს!“ — გაუელვა ბრძოლის ჟინით გაცისკროვნებულ გონებაში. აპრეხილი კუდი დროშასავით უფრიალებდა. ბრბოში თამამად შეიჭრა და რამდენიმე მეტრის მორიდებლად დაყნოსა. ხროვამ მორჩილებით მიაგო კეისარს კეისარისა: ჰასკის მეტისი ახლა მათი მთავარსარდალი იყო. მის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო — შფოთვისა და გამარჯვებების ერა.

ხროვა შიმშილის გრძობამ შეანუხა. ბოუვიმ ახლო მდებარე ხესთან ფეხი აიშვირა, დაპყრობილ ტერიტორიას შარდი აპკურა და სკვერისკენ წავიდა. სხვებიც აედევნენ ახალ მეთაურს, რომელიც მიშზე მეტად აღფრთოვანებას იწვევდა. მთავარსარდალი ფიქრობდა: თუ აღარ მერჩიან, რატომღა მივგატოვო, და გადაწყვიტა, გულწრფელად ებრუნა თავის ხროვას. შავი ძაღლი სკამის ქვეშ იწვა, მოცეკვავე შადრევანთან ახლოს. შიგნეულობა უდგულდა. ბოუვის ისეთი გრძობა დაეფულა, თითქოს კუპრის დულილში თავად იხარშებოდა და სრული სიმძიმით იტანჯებოდა. „Requisat in pace“ — უსიტყვოდ უთხრა. სიბრალულის განცდა იმ ყინულივით დადნა, ბეტონის ჯუნგლებს რომ ირეკლავდა. ხროვას უსიამოვნო განცდა დაეფულა, რომელიც მალევე მხნობამ და ამაღლებულმა განწყობამ ჩაანაცვლა.

ბოუვი მარცხენა თვალს ჭუტავდა და ისე მოძრაობდა, როგორც წამდვილ ჰასკის შეეფერება — მომწუსხველი და შთამბეჭდავი იყო. ძაღლებს და ორფეხებს ერთნაირად აღაფრთოვანებდა. „ორფეხა ბევრ რამეს ფლობს, მაგრამ საკუთარ თავს იშვიათად“ — ფიქრობდა კეისარი.

ყვითელს მონო შეარქვეს ყურის დაკარგვის გამო. ბოუვიმ კეფაზე ტყავი გადაუჭიმა; იქამდე ქაჩავდა, სანამ ტკივილი არ გაუყურდა. პატივისცემის ნიშნად ჭრილობა გაულოკა და ამან მეგობრობას ჩაუყარა საფუძველი.

ბოუვი მამაცი და უდარდელი იყო. სევდა მხოლოდ მაშინ იპყრობდა, როცა საკუთარ ანარეკლს ხედავდა მღვრიე გუბებში. მრავალი უიღბლობის მიზეზად მხოლოდ ის მეტისის თვლი მიანიდა, რომელიც მუდამ გასცემდა პატრონს, მაგრამ აპლიკურბდა კიდევ: „ძალი ყველაფრისგან უნდა გაათავისუფლდეს, რასაც მეტისის თვალი ირეკლავს“ — ეს იყო მისი მრწამსის საყრდენი პოსტულატი.

მონო

მონოს სხვებზე უკეთ ესმოდა, რომ ბოუვი მცირე გამარჯვებას არ დასჯერდებოდა და მზად იყო, მასთან ერთად დაეპყრო მეზობელი საძაღლეები. დინჯად აქნევდა ყვითელ კუდს, გრძელ ენას ალასალასებდა და როცა ცალ ყურს ცქციებდა, მარცხენა თაოს კენგურუსავით კეცავდა ხოლმე. მონომ იცოდა, რომ ბოუვის დიდებაზე მეტად პატრონთან დაბრუნების სურვილი ამოძრავებდა, მაგრამ მეტისის თვალი გადაულახავ ბარიერად ეჩვენებოდა. სკვერთან ახლოს ფერადთმიანი ორფეხა გამოჩნდა. მცხეთელი ბალონკა ნაფა და

მონადირე ჩხაკუნა აკუნტრუმდნენ. ბოუვი იმ ფერადთმიანს არ იცნობდა, მაგრამ დანახვისთანავე სიმპათიით განეწყო. თავი დაუკრა და კუდის ქიცინით მიესალმა. მცხეთელი ნაფას და ჩხაკუნას შემხედველი მიხვდა, საქმე რაშიც იყო. მთელი ხროვა წყვილფეხასკენ გაქანდა. ისეთი ხმა გაისმა, თითქოს ასფალტს სეტყვა ასცდებოდა. ფერადთმიანმა რამდენიმე ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა. ხმა ოდნავ ხრინჩიანი, მკერდზე მრგვალი ბურთულეები და ხორბლისფერი ბარძაყები ჰქონდა. ბოუვი კიდევ უფრო მოიხიბლა და წყვილფეხას ხელზე ეამბოროა. უნდოდა, მეტისის თვლი მოეჭუტა, თავი მოეწონებინა, მაგრამ ძალა არ ეყო. ნიკაპი ძირს დაუშვა და მუცლის ამოვსება დაიწყო.

მონო და ბოუვი სათამაშო მოედნის მახლობლად ისვენებდნენ. რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით ის ადგილი იყო, სადაც მონო დაიბადა. თავის წარმომავლობის შესახებ ბევრი არაფერი იცოდა. მისი წინაპრები ისეთივე მეტისები იყვნენ, როგორც თავად მონო და მზრუნველობას მხოლოდ იმ ფერადთმიანი ორფეხასგან გრძნობდა, რომელიც ახლა მთელ ხროვას კვებავდა. პირველად რომ შეხვდა, ჯერ კიდევ ლეკვი იყო. მამას ცოფი შეეყარა, დედა ავტოსაგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა, დაძმები — შიმშილმა. თავადაც სიკვდილის პირას იყო და გადარჩენის შანსი არ ექნებოდა, ნესტიანი სარდაფიდან რომ არ გამობანცალბულიყო. ფერადთმიანი შემთხვევით გადაეყარა. იმავე დღეს სახლში წაიყვანა და ისე ეტყეოდა, თითქოს მეტისი კი არა ნამდვილი კანე კორსო ყოფილიყო.

ზაფხულის ცხელ დღეებს მონო ეზოში ატარებდა. ხან ჩრდილში კოტრიალობდა, ხან ბალახის სარწყავს ეთამაშებოდა. თანდათან მოძლიერდა და მისი ცნობისმოყვარეობაც გაიზარდა. ეზოდან გასვლა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. თუმცა მონოს გაპარვა სულაც არ ჰქონდა დაგეგმილი: ქუჩიდან ძაღლების ყეფა შემოესმა, თითქოს მას უხმობდნენ და ისიც სულელურად დაჰყვა მათ ნებას. სათანადო ყურადღება რომ დაეთმო იმ აქტივობისთვის, რაც წყვილფეხას სახლში ხდებოდა, არაფრის დიდებით არ გარისკავდა გარეთ გასვლას, მაგრამ არ დაინტერესებულა, ავეჯს და ჩემოდნებს სად ან რატომ ეზიდებოდნენ მოუხეშავი ორფეხები.

მონოს თავგზა ავება მას შემდეგ, რაც ეზოდან გავიდა. რამდენიმე დღე სასონარკვეთილი ცდილობდა უკან დაბრუნებას. ეს დღეები მისთვის უსასრულო კომპარი იყო, თუმცა მისი არსება კიდევ უფრო რთულ ფაზაში გადავიდა, როცა დაბრუნებულს სახლი ცარიელი დაუხვდა. ქუჩაში წაწინალს ძნელად შეეჩვია — პატრონი ხშირად ენატრებოდა. საკვების მოპოვებაც ისწავლა, მაგრამ ყოველთვის ნახევრად მძიერი იყო.

ბოუვისთან შეხვედრამდე ყვითელი ათლეტი კიდევ ერთხელ შეიფარეს. ხშირად მელანოლოგიურ განწყობაზე იყო, რადგან გული ისევ ძველი პატრონისკენ მიუწევდა და ყვითელი კუდის უდარდელი მიხრა-მოხრა, უმეტესად, მხოლოდ თვალთმაქცობა იყო.

მონომ ძველი პატრონი, ის ეშხიანი ძუ ორფეხა, რომელიც მოხეტიალე ძაღლებს აჭმევდა, დიდი ხნის შემდეგ პირველად ნახა. აღარც ყვითელი მეტისი იყო ლეკვი და მისი ყოფილი პატრონიც საგრძნობლად განსხვავდებოდა საკუთარი თავისგან — იმისგან, რაც მეტისის მახსოვრებაში თვლემდა. ბერლინიდან დაბრუნებული ისევე ზრუნავდა ქუჩის ძაღლებზე, მონოს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა, თუმცა ამით რატომღაც არ ან ვერ ისარგებლა. შესაძლოა, ტრაგიკული მოვლენის გამო: მასთან შეხვედრის შემდეგ მონო ახალ პატრონს დაუბრუნდა, რომელიც მალე ხის ყუთში მოათავსდა და მინაში დაფლეს. ასე დაიწყო ახალი ერა მის ცხოვრებაში — მომწუსხველი და მეტისმეტად საინტერესო.

მუქთამჭამელი

დაკრძალვიდან ორმოცი დღე იქნებოდა გასული. ძაღლების ხროვამ ჰასკის მეტისი შენიშნა ქუჩის მეორე მხარეს. ხროვა საკუთარი ტერიტორიის დაცვას შეეცადა. მათ შორის ყვითელი მანანალა გამოირჩეოდა, რომელიც ბრძოლაში დამარცხდა და ყური დაკარგა. ეს იყო მონო, ბოუვის თანამებრძოლი და ერთგული მეგობარი.

ბოუვიმ მონოს გააცნო თავდასხმის გეგმა, რომელიც მან დანარჩენებს გაუზიარა. კეისრის გეგმა მარტივი და მოქნილი იყო: მცხეთელი ნაფა რამდენამდე ახლოს ჩაუვლიდა მოსაზღვრე საძაღლეთის მცველებს; თუ თავს დაესხმოდნენ, პატარა და მოხერხებული ბალონკა, გაცილებით სწრაფი, ვიდრე ქუჩის ძაღლების უმრავლესობა, მუქთა მჭამელთა ხროვას მახეში შეიტყუებდა ისე, რომ თავი საფრთხეში არ ჩაეგდო. სხვა შემთხვევაში, უბრალოდ ინფორმაციას მიანვიდდა თავისიანებს.

ბოუვიმ ყეფა-ღმუილით მიმართა ძაღლთა მომწუსხველ ლეგიონს: „ისე უნდა უკბინო, რომ შურისძიების არ გეშინოდეს!“ — ამ ფრაზამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კბილებალესილ რეკრუტებზე. ისინი მზად იყვნენ, თავი გაენიროთ, სისხლის ბოლო წვეთამდე ებრძოლათ იქამდე, სანამ ძაღლთა შორის მშვიდობა არ დამყარდებოდა. ბოუვი იდეისთვის იბრძოდა, საერთო კეთილდღეობისთვის, როგორც წმინდა ელენეს პატიმარი. ის უკან არ დაიხევდა და ამ ბრძოლაში მისი ერთგული მონოც თან ახლდა.

ნაფამ თვალწინდელი სიმაღლის ნაგებობას ფრთხილად შემოუარა, გასასვლელში ქუჩის მხრიდან შევიდა და მეორე მხარეს შიდა ეზოში შეიპარა. უცხო ძაღლებმა ბალონკა შენიშნეს. ზოგი წამოიზღაზნა და ნაფას მიუახლოვდა, თუმცა სატყუარა არ გაქცეულა, რადგან რეალური საფრთხე არ უგრძნობდა. დანარჩენებმა კუდი აუქიციანეს, ისე მიიღეს თითქოს ერთ-ერთი მათგანი ყოფილიყო. ნაფა შეგულიანდა და ათჯერ თავისზე დიდ ძაღლს შეუღრინა — საამისო გამბედაობა წინაპართაგან ერგო მემკვიდრეობით. ის ზევიდან დააცქერდა, კუდი მხიარულად ააქციინა და თავი გვერდულად დაიჭირა.

ქუჩის მხარეს ნახევარი ხროვა იდგა, რომელსაც მონო მეთაურობდა. მთავარსარდალი ცაიამბჯენის შორეულ კუთხეში ელოდა ხელსაყრელ მომენტს. გეგმის მიხედვით ნაფა ბოუვის მიმართულებით უნდა გაქცეულიყო. მისი ლეგიონი მტერს წინ დაუხვდებოდა, ხოლო მონო და დანარჩენები ორმხრივი გასასვლელიდან გამოცვივდებოდნენ და ზურგიდან შეუტევდნენ.

ნაფა მრავლისმეტყველად ყეფდა, წინ და უკან მოხერხებულად მანევრებდა, მაგრამ უცხოხროველი მხოლოდ ცნობისმოყვარედ აკვირდებოდნენ მის მოქმედებას. ბოუვიმ იგრძნო, რომ დროს ტყუილად ფლანგავდა. ნიკაპი ზევით აღმართა, დაიყმუვლა და მონოს საიდუმლო ნიშანი მისცა. მალევე, გასასვლელიდან ორი დობერმანი გამოვიდა. ბოუვის ლეგიონი მეთაურის ბრძანებას ელოდა — ყურები დაეცქვიტათ და კბილები უკანკანებდათ. სამი მათგანი მტრის ბანაკში დასერილობდა, მაგრამ ბრძოლას არავინ აპირებდა. ნაფამ თავისზე ათჯერ დიდ ძაღლს უცერად გადაუღობა გზა, ისიც ინერციით შეეჯახა, რასაც დობერმანების გალიზიანება მოჰყვა და ბოუვიმ თავდასხმის ბრძანება გასცა.

„პამ-პარაპაა, პამპარა-პა-პა, პამპარა-პაა“ — საბრძოლო მარში აჟღერდა. უცხოხროველებს დაბნეულობის ციგმა ქარმა გადაუქროლათ. ძლივსაა მოიაზრეს, რომ საომარ ვითარებაში აღმორჩნდნენ. რამდენიმე მათგანი გასასვლელისკენ გაიქცა — თვითგადარჩენის ინსტინქტმა სამარცხვინოდ სძლია. ადგილზე ნაფორთხილდნენ და მოიბუზნენ, როცა სიბნელიდან ყეფა გაისმა. ექო გიგანტურ ნაგებობას აზანზარებდა. მონოს ლეგიონი ხმაურით გამოვიდა ეზოში და დაუყოვნებლივ ჩაერთო ძაღლთა მკვლელ ბრძოლაში. ცეცხლისფერი ციდან მდულარე სითხე ჩამოიღვარა. შედეგად ექვსი უცხოხროველი დაიფუფქა. ბოუვის არმია უდანაკარგოდ იმარჯვებდა. ნაფა თავისზე ათჯერ დიდ ძაღლს იქამდე აბრკოლებდა, სანამ მონო არ წაადგა თავს და სრული კაპიტულაცია მოითხოვა.

ბრძოლა თითქმის მომენტალურად შეწყდა. ნაფა ბოუვის მიუახლოვდა, შემდეგ მონო და დამარცხებული ძაღლების ნაწილიც მიჰყვა. მუქთამჭამელნი ჯერ კიდევ ვერ მოსულიყვნენ გონს. მათი ბელადი სწრაფად ლუნთქავდა, გრძელ ენას ალასალასებდა, რომელიც თითქოს ორთქლად იფანტებოდა. ბოუვი პიედესტალზე ავიდა, მონომ საოცრად იყმუვლა და დანარჩენებმა ბანი მისცეს. ბრძოლა მოგებული იყო, თუმცა მშვიდობა საბოლოოდ ჯერ არ დამყარებულა.

ბოუვის თანდათან მეტად ხიბლავდა გამარჯვების ტკბილ-მწარე გემო, სევდანარევი სიხარული და შესაშური რეპუტაცია. მის სულისკვეთებას დასავლეთის ხროვის დიდი ნაწილი იზიარებდა და გმირულად იბრძოდნენ იმისთვის, რაც მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება. ბოუვი იყო მათი საერთო კეთილდღეობის წინაპირობა, აღმშენებელი მეფე და იდეალი.

კუპრი

ბოუვის არმია გეომეტრიული პროგრესით იზრდებოდა. ახლომახლო ერთი ხროვაც არ დარჩა, რომელიც იმპერიის შემადგენლობაში არ შედიოდა. ვერ ნახავდით ძაღლს, რომელსაც კეისარ ბოუვისა და მონოს შესახებ არ სმენოდა, მაგრამ მეომართა საუკეთესო განცდებს უკმარისობის შავი ხვრელი იტაცებდა, რისი მიზეზიც მონომ გაანდო იმპერატორს: გამორჩეული მეომრები თანდათან უფრო ხშირად ახსენებდნენ კუპრის მივიწყებულ სახელს, რომელიც სკვერში მიატოვეს პირველი ლაშქრობის წინა დღეებში. იმპერატორი პატივს უნდა სცემდეს გმირებს, თუნდაც ყოფილ მტრებს, როგორც მისი თანამებრძოლი მონო, ასევე კუპრიც იმსახურებს საპატიო ადგილს მამაც ლეგიონერთა შორის“ — ასე ამბობდნენ გონიერი ძაღლები.

გიგანტური გუბის გადაღმა იყო საძაღლეთი, საითაც გახედვას ვერ ზედავდნენ დასავლეთის იმპერიის მამები. ძაღლები ერთმანეთში ჩუმად საუბრობდნენ იმის თაობაზე, რომ კუპრის თაობაზე უცხოხროველ ოთხფეხას არაფერი შეეცყო. საბჭოს წევრები მუდმივად საუბრობდნენ აღმოსავლეთიდან მომავალ საფრთხეზე, იმპერატორს მოქმედებისკენ მოუწოდებდნენ და მანაც იცოდა, რომ დაყოვნება იმპერიის ინტერესებს არ არგებდა.

დადგა დღე, როცა იმპერატორი კეისარი, რომელიც იგი ფილოუსად მოიაზრებოდა, საიდუმლოდ შეხვდა კუპრს, რაც მონომ დააოგანინა ამ ორის ნება-სურვილის თანახმად. კუპრი მშვიდი და თავდაჯერებული იყო. ეტყობოდა, გრძელი გზა გამოიარა, რამაც მისი რაობა განსაზღვრა. „ტარიელიც შემოგვიერთდა“ — უნებლიედ გაიფიქრა იმპერიის მმართველმა მისი დანახვისთანავე. კუპრის თვალში გულწრფელობა და თავგანწირვა დაინახა, რასაც ყველაფერზე მეტად აფასებდა იმ ძაღლებში, რომლებიც სიმართლეს არ გაურბიან და უყოყმანოდ თმობენ ცხოვრების კომფორტს მაღალი მიზნისთვის. „შთამბეჭდავი ძაღლია, მომწუსხველი, თითქოს მის გარეშე არაფერი წყდებოდა; მისი ნება იდუმალი და ძლიერი, უძირო, როგორც კოსმოსი“ — ასე მიაჩნდა კეისარს და მონოს სრულად იზიარებდა მის აზრს.

კუპრი გარეგნულადაც შთამბეჭდავი იყო. შავი ბუნვი ატლასივით უბზინავდა, ყურები მწყობრში გაჭიმულ ჯარისკაცებს მიუგავდა, კუდი დაშნასავით თხელი და მოქნილი ჰქონდა. მისი თვალებიდან თითქოს ღამის მყუდროება იღვრებოდა, შემამფოთებელ სიმშვიდეს ჰგვირავდა მნახველს და წამზე უსწრაფესად იპყრობდა როგორც გულს, ისე გონებას. ასეთ ძაღლებში ერთ შეხვედრაც საკმარისი იყო, რომ ევლარასოდეს დაგვიწყებინათ, არამქვეყნიური სიდიადე, სამართლიანობა, თავგანწირვის უნარი, გულწრფელობა და სიბრძნე, რომელიც იდეალურად უთავსებდა სხვადასხვა ღირსებას ერთმანეთს.

კუპრის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან გაცილებით მეტი იცოდა სხვებზე, ვიდრე სხვებმა მის შესახებ. საკუთარ თავს იმპერატორიც გამოუტყდა, რომ ლეგიონის საბრძოლო ტაქტიკა კუპრთან შეხვედრის დროს ჩაისახა, რამაც იმპერიის მომავალი განსაზღვრა. ის დღე დიდხანს არ დავიწყებია ბოუვის, რადგან კუპრის დარტყმით მიყენებული ტკივილი ხშირად ახსენებდა თავს. ახლა სულ სხვა მდგომარეობა, სხვა რეალობა იყო — ტრიუმფირატი შედგა და იმპერიის ძალა განამტკიცა.



დასასრული

კუპრის გიგანტური გუბის გადაღმა გაემგზავრა ორი ასეული რჩეული მეომრის თანხლებით. მათი მიზანი იყო, გაეგრძელებინათ ინფორმაცია, რომ ბოუვისა და მონოს შორის არსებობდა განხეთქილება. ასევე ლეგიონის სოლიდური ნაწილი ვითომდა ძველი წეს-წყობის აღდგენას ემხრობოდა და იმპერიის დამხობას ესწრაფოდა. ეს როლი „გარინჩას“ ხვდა ნილად, რომელიც უკან მარჯვენა ფეხით კოჭლობდა და გაქცევა ვერ შეძლო, როცა აღმოსავლეთის ერთ-ერთ პროვინციაში მეძებარი ძალები ყურადღება განზრახ აღაგზნო.

ჭორების მისიერი დადასტურება ნაკლებ დამაჯერებელი იქნებოდა, ამიტომ გარინჩამ იქამდე ითმინა, სანამ წამება სულს ამოხდიდა და გაფრაჰიმ კუდას, აღმოსავლეთის ხროვების მთავარს, რომელმაც ორიოდ კბილი პირადად ამოაგლიჯა პატიმარს, სუსტი ნკმუტუნით დაუდასტურა, რომ განხეთქილება რეალურად არსებობდა და ძველი წეს-წყობის აღდგენას მრავალი ათასი ძალი ემხრობოდა.

წამებამ დიდხანს გასტანა. გარინჩას ყოველგვარი იმედი გადაეწერა, რომ ტანჯვა ოდესმე დასრულდებოდა. იმავე დამეს, როცა პატიმარი მარტო დატოვეს, საკანში სპირიტუსი შეიპარა — კუპრის ერთგული თანამებრძოლი. მისგან ისმინა მონომ კუპრის სიტყვები: ბრმა თვალი იხილავს იმპერიის საზღვრებს. სპირიტუსის გარინჩასთან შეხვედრა ტრაგიკულად დასრულდა — უძლეური ძალის სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი ამჯობინა.

სპირიტუსს დეტალურად არასოდეს აღუწერია როგორ გადაეშვა გარინჩა უფსკერო ხევში. მხოლოდ მის გმირობას აქებდა და ირწმუნებოდა, რომ გაფრაჰიმი ვერასოდეს იეჭვებდა, რაც მის თავს სინამდვილეში ხდებოდა.

გაფრაჰიმ კუდა

გაფრაჰიმ კუდა გაურკვეველი წარმომავლობის მეტისი იყო, თუმცა მგლის მრისხანებას აფრქვევდა მღვრიე, მანათობელი თვალებიდან და მის დაქვემდებარებულს ურყევი რწმენა ჰქონდათ იმის, რომ მათი მთავარი უძლეველი უდაბნოს მგლების შთამომავალი იყო. ის თავადაც ასე მიიჩნევდა. კუდას პატივმოყვარეობა სრულად საძალღეთში იყო სახელგანთქმული. კუპრი სწორედ ამ თვისების გამოყენებას აპირებდა მის წინააღმდეგ ისე, რომ ბელადის ეჭვიან ბუნებას ვერაფერი ეყნოსა.

გაფრაჰიმ კუდას გავლენა წარმოუდგენელი იყო მისი წინამორბედი მმართველებისთვის; ისიც კი შეურაცხყოფდა, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა აზრად გაივლეს. „საუკეთესო თავდაცვა თავდასხმა“ — სწორად ამბობდა უდაბნოს მგლების შთამომავალი. აღმოსავლეთის ხროვების თავდალები ფიქრობდნენ, რომ გარემოებით უნდა ესარგებლათ, კერძოდ, იმპერატორი ბოუვისა და მონოს შორის არსებული განხეთქილებით და თავად დასხმოდნენ დასავლეთის იმპერიას. კუპრის ხრიკების შესახებ მსჯელობაც კი არ ყოფილა, რადგან მისი არსებობა შეუმჩნეველი იყო გაფრაჰიმის და მისი მოკავშირეებისთვის.

ჯარი საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. ლაშქრობის გადადება არ შეიძლებოდა — იქამდე უნდა მოესწროთ, სანამ ბოუვი და მონო ურთიერთობას გაარკვევენ. გეგმის მიხედვით, გამთენიისას უნდა მისულიყვნენ იმ ადგილას, სადაც მონო დახვდებოდათ თავისი ლეგიონით და მასთან მოლაპარაკებას შეძლებდნენ.

გაფრაჰიმ კუდას მეომრები ორ რიგად მოეწყვნენ. ცენტრალურ გზატკეცილს თავი აარიდეს, მათი გადაადგილება ნაკლებ შესაძლებელი რომ ყოფილიყო. ერთ რიგი ხევის პირას მიდიოდა — გზიდან მარცხნივ, ხოლო მეორე ოღოროღორო მინდორს გაუყვა — გზიდან მარჯვნივ.


მონო ფერდობზე იდგა. გაფრაჰიმის ჯარი შორიდან დალანდა, როცა პირიზონტზე ვერცხლისფერი ძაფი გამოჩნდა. ლეგიონის შესამედს უბრძანა, ფერდობისთვის გვერდი აევილოთ და იმ ადგილის მახლობლად გამაგრებულიყვნენ, სადაც უდაბნოს მგლების შთამომავალთან აპირებდა შეხვედრას. მეორე შესამედსაც იგივე უბრძანა, მხოლოდ ისინი საპირისპირო მხარეს უნდა ჩასაფრებოდნენ მტერს. დანარჩენი

ბთან ერთად ფერდობიდან დაეშვა და შეხვედრის სავარაუდო ადგილისკენ გაემართა.

BELLUM CANUM

ჰექტორ, სად წავიდა შენი ძალა, რომელიც აქამდე გქონდა? ილიადა

კუპრის მთავარი ამოცანა სინქრონიზაცია იყო. მოქმედება ისეთ მომენტში უნდა დაეწყო, რომ კუდასთვის მაცნე მეტისმეტად ადრე არ გაეგზავნათ, რადგან მონოსთან შეხვედრამდე თუ მოზრუნდებოდა, გეგმა ჩაიშლებოდა და თუ გააჯანჯლებდნენ, დასავლური ლეგიონი მტრის არმიას ვერ გაუმკლავდებოდა — მათი რიცხოვრები უპირატესობის გამო.



გიორგი გელაშვილი
კომენტარები
ქალაქის ომზე

აღმოსავლეთის პროვინციებში ხმაური ატყდა. დივერსიების სერია ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქმის ყოველი მხრიდან მტერი უტედათ. ლეკები ნკმუტუნებდნენ, ქურჩებში გამყინავი ყმუილი და ისტერიული ყეფა ისმოდა. რამდენიმე ნაგებობას ბზარი გაუჩნდა, უმეტესობა მანამდე ჩამოიშალა, სანამ ევაკუაციას მოასწრებდნენ. რთული სათქმელია, მებრძოლი ძალები მეტად დაზარალებდნენ თუ მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელიც მათ მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. კუპრი ღელავდა: ვაითუ მფოთვამ და პანიკამ აღმოსავლელებს გონება დაუბნელოს და ისიც ვერ მოიაზრონ, რომ ბელადს მაცნე დაანოხ, რაც გეგმას უდაოდ ჩამოშლისო.

მონო წინ იდგა, ლეგიონი ზურგს უმაგრებდა. კუპრის გეგმამ გაამართლა. გაფრაჰიმ კუდას უკნიდან ყეფა მაშინ შემოესმა, როცა იმპერიის ტიტულოსან სარდალს მიუახლოვდა და მოლაპარაკების დაწყებას აპირებდა. აღმოსავლეთის ბელადი მიხვდა, რომ მისი ლაშქრობა სიურპრიზი არ იყო დასავლეთის იმპერიის მამებისთვის. უდაბნოს მგლების შთამომავალს გარანტიას სჭირდებოდა: მონო თავდების სახით ჩაბარდა კუდას, რამაც ლეგიონერთა მღელვარება გააასკეცა. ეს რისკი გარდაუვალი იყო, რადგან სხვა შემთხვევაში აღმოსავლელები არ დაიყოფოდნენ.

მღელვარებამ იმპერიის საზღვრებამდე მიაღწია — ახალი ამბები მალე შეიტყვეს. კეისრის ლეგიონი ფერდობს გადაღმა გამაგრებულიყო. იცდიდნენ, სანამ მონოს ჩასაფრებული დანაყოფები დაესხმებოდნენ

აღმოსავლეთის თვალუწვდენელი ჯარის ნაწილს, რომელიც უკან კუპრის მიერ მონო-ციბილი დივერსიული აქტების გამო გაბრუნდა.

მონო და მისი რამდენიმე ათეული თანამებრძოლი გაფრაჰიმის ძალიან მკაცრად მართა შორის აღმოჩნდნენ. ბოუვი იცდიდა, სანამ მზე დასავლეთისკენ გადაიხრებოდა, რადგან თუ მაშინვე შეუტევდა, სინათლე მის ჯარს მოჭრიდა თვალს. გარემოება მხოლოდ ჩასაფრებულთათვის იყო ხელსაყრელი. ისინი წინ დაუხვდნენ გაფრაჰიმის უკან მიბრუნებულ ჯარს. სინათლე იმდენად აბრმავებდა, სწრაფად ვერ ამოიცნეს, ვინ უღობავდათ გზას.

მონოს ჩასაფრებულ ლეგიონს კუპრი ჩაუდგა სათავეში. პირველი თავად ეძგერა მტერს. ალესილი კბილები ჩაასო და როტ-

რი დაეცა, მაგრამ კუპრის გამარჯვება გარდაუვალი ჩანდა, თუ აღმოსავლელები თავისიანებს არ დაეხმარებოდნენ. დიდხანს აღარც დააყოვნეს და კეისრის არმიას მძიმე დარტყმები მიაყენეს.

ბოუვი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. მზე ჯერ ისევ აბრმავებდა — მოცდა უნებდა. მათ მისვლამდე როგორმე უნდა გაეძლიოთ ლეგიონერებს. შორიდან უყურებდა, როგორ იბრძოდა კუპრი: ერთ-ერთი აღმოსავლელი ბასრი ბრჭყალებით მიახტა — გერმანულ ქოფაკთან ნაჯვარი უნდა ყოფილიყო. კუპრმა ეშვები დაუხვედრა. კლანჭებმა ენა დაუკანარა, მაგრამ მტერი ეშვი რბილ ადგილს მოხვდა და ხორცი გაფლითა. მყესი გაუწყდა ქოფაკს, კუნთი მოუღუნდა, მარჯვენა ბეჭი გაუკავდა. მთლიანად სისხლში ამოველო. კუპრს ბინდოსილი მზერით უყურებდა. გული თითქოს ყელში აუვიდა. შემდეგ თვალები დაეხუჭა, სხეულის სიმძიმემ სძლია და სისხლით შეღებულ მიწაზე დაეშვა. სპირიტუსმა სწრაფად ჩააცურა თავი მოხრილ თათებს შორის, ქოფაკს ყელში სწვდა და ეშვები ხორხში ჩაასო. მის სისხლს გემო გაუგო. ამ დროს ახოვანი აღმოსავლელი მეომარი ეცა სპირიტუსს, ზურგზე დააგდო და ყელის გამოჭმას უპირებდა, მაგრამ კუპრმა მკერდზე დაუსვა ალესილი ბრჭყალები და მოაშორა. სანამ წამოდგომას მოასწრებდა, მუცლის თხელი კანი დაუცველი დარჩა. მონოს რომელიღაც მეომარი მაშინვე დააცხრა, ეშვები ჩაასო და იქამდე არ გაუშვა, სანამ კბილი კბილს არ დააბჯინა. მერე იმ მამაც ძალს სწვდა აღმოსავლელი მეტისი მარჯვენა ფეხში, ძლიერად მოქაჩა და თავი მინაზე ახლევინა. ჯერ ერთი ფეხი გადაუმტვრია, შემდეგ მეორეს დასწვდა მუხლთან ისე, რომ ტკივილმა ხერხემალში გაუარა განწირულ ლეგიონერს. დაჭიმული ქვედა ყბა თავის მოკლულს დაადო სისხლიან მუცელზე. გული სწრაფად უტემა და გონება დაეხინდა. კისერში ეშვების შემოჭრა იგრძნო, თირკმელები დაუვიწროვდა, ყელში თბილი სისხლი ჩაეღვარა და მკერდისკენ დაუყვა.

მეტად დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. იმპერატორმა სიტყვით მიმართა ლეგიონერებს:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვინრო, ვერცა კლდოვანი;
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი!..

დასრულებისთანავე ბრძანება გასცა და სწრაფად დაიძრა ბრძოლის ველისკენ. სრულად მიენდო სულის ინსტინქტს, შფოთვა ვერ შეაჩერებდა. მზე ისევ ჭრიდათ თვალს, მაგრამ სანამ გაფრაჰიმის არმიას მიუახლოვდნენ, გარემოება მათ სასარგებლოდ შეიცვალა. აღმოსავლელებმა ყურადღება ბოუვის ლაშქარს მიაპყრეს. მზე აბრმავებდათ, ვერაფერს ხედავდნენ, მხოლოდ მჭიდროდ შეკრული ლეგიონის ზანზარი უფრთხობდათ ანგელოზებს. მონომ დრო იხელთა და შიგნიდან შეუტია აღმოსავლეთის მძევლები ხროვას. მის გარშემო ყველა სისხლის შეხვედრით დაინიწკლა. ბოუვი კიდევ უფრო აჩქარდა — ჯიხვივით მიხტოდა ბრძოლის ველისკენ და რბილი ბენვით მიაპობდა თბილ ჰაერს.

კუპრი ზურგიდან უტედა, ბოუვი წინიდან და მონო მათ შორის იბრძოდა. იმპერატორის ლეგიონმა კუდას ვრცელი ჯარი შეავიწროვა. ძალები ხევში ცვიოდნენ, ძვლები ელენებოდათ, მხდალები გაქცევას ცდილობდნენ, მაგრამ მათ თავისიანები ხოცავდნენ.

თათიმ ცოფა ბელადის უახლოესი პირი იყო. თავდაზნობრივად იბრძოდა აღმოსავლეთის გამარჯვებისთვის. ბოუვიმ რამდენიმე მონინალმდევე ადგილზე გააშეშა, სანამ ცოფას პირისპირ შეეჯახებოდა.

თათიმ ცოფა შეეცადა, ბოუვი ხევში გადაეგდო, მაგრამ ბრძოლაში გამონრთობილი იმპერატორი მიუხვდა ჩანაფიქრს. ხევის კიდეს საკუთარი ნებით ჩაუყვა ისე, რომ ცოფას მოქმედი თათი ვერ მისწვდომოდა, წონასწორობა შეინარჩუნა, დაღმართზე ნახევარწრე მოხაზა და უკან მანამდე ამოხტა, სანამ თათიმი ვითარებაში გაერკვეოდა. მანვერის სახითაო იყო, თუმცა მთავარსარდალმა კარგად იცოდა, რომ შიში ცუდი მრჩეველია და მის ხმას აწუშებდა. ბოუვი ორ ფეხზე შედგა, კისერი უკან ნასწია, რომ თათიმ ცოფა ყელში არ სწვდომოდა, თავი გვერდულად დაიჭირა და მონინალმდევეს მოაჩვენა, თითქოს წელზე უნდა დახტომოდა, მაგრამ მსუბუქად

დაეშვა ძირს. ცოფა სხეულის უკანა ნაწილის დაცვას ცდილობდა. უკან ისკუბა და იმპერატორს გვერდულად დაუდგა, რაც მისთვის ხელსაყრელი იქნებოდა მუცლის არეში შესატყეად, რომ არა მეტოქის შეუდარებელი მოხერხებულობა. ბოუვი უკანა ბარძაყს და მუცელს შორის სწვდა. თხელი ტყავი ადვილად გაუხია ბასრი ეშვებით, ხორცში ღრმად ჩააღწია, თავი შეიმავრა და ცოფას სისხლის ზღვა ადინა. აღმოსავლელს გონება დაეხინდა, წონასწორობა დაკარგა. ისეთმა განცდამ მოიცვა, თითქოს მიწაში იძირებოდა. სისხლი ბარძაყს დაუყვავა, წვივამდე ჩააღწია, დაჭიმულ თითებს შორის გაჟონა და გუბე დააყენა. ბოუვი თათებით დაანვა მის ვინრო წელს, შემდეგ თავი დახარა, ეშვები გამოაჩინა, მუცელზე ჩააჭირა, რომ მისი შიგნეულობა ეგრძნო და ალესილი კბილები ძირამდე გაუყარა. ცხვირიდან შუბლამდე სისხლით იყო მოთხვრილი, თავი დახრილი ჰქონდა, სუნთქვისას ნეკნებს ფრთებით შლიდა, კუდი აეპრიხა, ქვედა ყბა უთრთოდა და მდულარე სისხლი ვენებს უფართოებდა.

ბოუვიმ თავი ასწია თუ არა, ბეჭებს შორის დანოლა იგრძნო. რამდენიმე აღმოსავლელი მებრძოლი ეხვია გარს. კუპრი მის დასახმარებლად გაემურა, ერთ-ერთ აღმოსავლელს კუდში სწვდა და ძირში ნაანყვიტა. მეორე მაშინვე დაფრთხა, გაქცევა დააპირა, მაგრამ მის კუდს ბოუვიმ ჩაასო კბილი. აღმოსავლელმა ამოიკვნესა და თავი მოატრიალა ბოუვის მოსაგერიებლად. ყბა ისე გაიშვირა, თითქოს მონყალებას ითხოვდა. ამ დროს კუპრი ეცა ყელში. მის კიდურებს დიდებული ჰასკი გლეჯდა. როგორც კი კბილი უშვეს, აღმოსავლელს წვივები გაექცა, მონყვტი დაეცა და ბეჭი ამოუვარდა. სისხლი არტერიიდან მოთქრილებდა — უკანასკნელი სუნთქვა მშვიდად ამოუშვა.

მონოს ფეხი გაეჭიმა. სასაკლავოს გულიდან თანამებრძოლების დახმარებით გამოაღწია. მარჯვენა თათზე და წვივზე ნაკბილარები ჰქონდა, საიდანაც სისხლი მონვეთავდა. მასაც ვილაცის კუდის ბუნევი შერჩენოდა სისხლიან პირზე. ლეგიონერებმა გაფრაჰიმის არმია ალყაში მოაქციეს — ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა.

აღმოსავლეთის ბელადთან ბრძოლა იმპერატორს ხვდა წილად. კუდას დამარცხებას მეტისის თვალი რომ არ შესწიროდა, ბოუვი დიდი, როგორც ომის დასრულებით სთანავე უწოდეს, ვერასოდეს შეაბიჯებდა მზით გამთბარ ატმოსფეროში, რომელიც გაცილებით შთამბეჭდავი და ბრწყინვალე იყო, ვიდრე ნარმოდგენა შეეძლო რიგითი ძაღლის გონებას.

ეპილოგი

ალყაში მოქცეულები იმ ადგილის გარშემო მოქუჩდნენ, სადაც მონო იბრძოდა და გვამების გორა დატოვა. ბოუვის არმიიდან იქ მხოლოდ გამორჩეულად მოხერხებული მებრძოლი, მცხეთელი ნაფა იყო დარჩენილი. გვამები თავზე ეყარა, სუნთქვა უჭირდა და დიდი ხნის სიცოცხლე არ ენერა. კუპრი ჩხაკუნას გვამთან იდგა მის ამაყ შთამომავალთან ერთად, რომელსაც მამისგან ვერ გაარჩევდით, ახალგაზრდა და ბევრად ძლიერი რომ არ ყოფილიყო.

„ყველაფერი აქ და ახლა უნდა დასრულდეს“ — თანამებრძოლებს გადაულაპარაკა დიდმა იმპერატორმა. ზოგიერთი ძაღლი მას უკვე აღმოსავლეთის მბრძანებელსაც უწოდებდა. მას შემდეგ, რაც მტრის დანაყოფები გაყინულ გუბეში ჩაძირეს, გამარჯვება გარდაუვალი იყო, თუ ბოუვი არ მოდუნდებოდა. ბოლო ძაღლები მოიკრიბა და შეტყვის ბრძანება გასცა.

ორი უსასრულო ხროვა ერთმანეთს მიესია — მინა ამტვერდა, ზანზარებდა. კუპრის მეთაურობით გაფრაჰიმ კუდას ერთგულ მეომრებს ხევში ისროდნენ ლეგიონერები. აღმოსავლელების გარკვეული ნაწილი იმპერიის მხარეს გადავიდა — კეისრის სიდიადე მტერსაც ხიზლავდა და იმორჩილებდა. ფერდობზე არბოდნენ და ლეგიონერების რიგებს უერთდებოდნენ. აღმოსავლეთის და დასავლეთის მბრძანებლად პირველად მათ აღიარეს ბოუვი, რომელსაც დიდი ეწოდა. გამარჯვებული კეისარი ლეგიონის წინაშე იდგა. მისი ბრწყინვალეობა საოცრად მომწუსხველი და ღვთაებრივად შეუვალი იყო. ჰასკის თვალი კამკამა ცასავით უნათებდა, ხოლო მეორეს თეთრი აპკი გადაჰკვროდა. „ყველამ გაიგოს, რომ იმპერიის საზღვრებს ბრმა თვალითაც ვხედავ!“ — ბრძანა იმპერატორმა.

ბოუვის და გაფრაჰიმ კუდას ბრძოლა ხანგრძლივი და შეუბრალებელი იყო. ბოლო ნახტომის დროს კეისარმა აღმოსავლეთის ბელადის მგლისებრი ზედა ყბას ჩაასო კბილი, ძვლები ჩაუმსხვრია და მისი სუნთქვით აივსო ფილტვები. იმპერატორმა თვალბუმი ჩახედა ძლეულ გაფრაჰიმს: მოკლული ბელადის ჭაობისფერი თვალი მის ალესილ კბილებს ირეკლავდა. უნდოდა, გაეგო მეორე თვალიც ისეთივე ჰქონდა თუ არა, მაგრამ სისხლს დაეფარა და ვერ გაართია ბოუვი დიდმა, რომელიც იმ მომენტში აღმოსავლეთის და დასავლეთის სრულფასოვან მმართველად იქცა.

კუდას მეომართაგან მრავალმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე — ხევში ცვიოდნენ სასონარკვეთილნი.

იმპერიის საზღვრები ზღვასავით ვრცელი იყო. ბოუვი დიდის გარდაცვალების შემდეგ ტახტი კუპრის შთამომავალმა დაიკავა, რომლის მმართველობამ ორმოც წელს გასტანა.

ძალთა შორის მშვიდობა დამყარდა, თუმცა ამბოხებულთა დაშოშმინება მუდმივად უწევდა კეისარს. ძალმოსილმა იმპერიამ საფუძველი ჩაუყარა ახალ ცივილიზაციას, რომელიც იმიერიდან აღარასოდეს შეწყვეტდა არსებობას...



ლელა ლაგაზიძე

შენ ისე გვიან მოხვედი ჩემთან მზე ჩადიოდა აღარ სტვენდნენ ბინდში შაშვები მე ვიდექი და ნიავს მიჰქონდა ჩემი ყვავილი ჩემი ყვავილი შენთვის გაშლილი თუმცა სურვილი მქონდა უსაზღვრო ველარ მოგხიბლე. ლელი ვიყავი თეთრი მდინარის სიცოცხლეში ერთხელ ვყვავიდი შენ ისე გვიან მოხვედი ჩემთან მზე ჩადიოდა აღარ სტვენდნენ ბინდში შაშვები.

ალუბლის ყვავილი

ალუბლის ყვავილი, შენც უფალს ლოცულობ. სამოთხის ბალიდან მოგყვება ღვთიური მშვენიერება, სურნელი კეთილი... შენს ერთგულ ქარს ვეტყვი, დამდეგ მაისამდე, სანამ ჩემი ბაღის ბილიც დაფარავ ყვავილით — მესტუმროს ხანდახან. ნაცნობი ზუზუნით მოვა მეგობარი შენი მენამული ნაყენით, ტკბილი ჩირით შევიქცევთ თავს, ცოტა ხნით დავივიწყებთ ცხოვრების სიმძიმის...

ნითელი პარასკევი

ანვიმთ მტრედებს ზეცის სევდა, მგლოვიარე მარამის ცრემლი. კეთილსურნელებას აფრქვევს აკაცია, რეკავს ზარი უფლის სახლთან, ღვთის ერთგულთა ლოცვად მხმობი. მტანჯავს ფიქრი. „ნეტა მე რამდენჯერ გაცვი ჯვარს, მაცხოვარო?“ ვერ დავიუნჯე შენი მცნებები, მაცოცხლებელი, სიკეთის ტბები. ცოდვის ყვავილით ვბარდნე სავალი, გულგრილმა სხვათა ბედის, ავმა გამკითხველმა ვერც მოყვასი შევიყვარე ჩემი თავივით. წვეთავს სულში სინანული ძველი ფსალმუნის.

ღამის ყვავილი

იცი რას ჩურჩულებს ღამის ყვავილი, მოითარეშა მტერმა სოფელი დაიჭრა ჩემი სატრფო, მდევრად წამოსული, ჩაუქრა თვალთა ცეცხლი, ელდამ დამინისლა თმა, ჰარამხანის ჩადრმა დამიჩრდილა ღანვი, სამშობლოს მონატრული ცრემლის ყვავილად ქცეული, ღამის მხევალი ვარ. მოდიან დროდადრო ციციანთელები — მინის ვარსკვლავები — ნამლობენ ჩემს ნაღველს ზურმუხტის ნათებით.

თოვლის ბარათი

ენტო კოცონი წმინდა ცეცხლივით, ზეცას ესწრაფოდა კვამლის ნისლი — ფოთოლთა საკმეველით გაჟღენთილი — მიჰქონდა ცისკენ უტყვი ვედრება, გაძარცვული მინის, ხეების, გულის მომწყვლევი სიბრალული დაღენილ ფერთა. გათენებისას ცას დასცვივდა ცრემლი სიბრალულის, ჩამოათოვა დედამინას უფაქიზეს თეთრ ნიჟარებად. სარკმელს შეეხო ზურმუხტოვან ნაძვის რტოზე დაფენილი თოვლის ბარათი — „...ისევე მიყვარხართ...“

ბაზილიკა

დგას, როგორც ლოცვა და სასოება, ბაზილიკა, ნეკერჩხლის ტყეში, ფერმიმქრალ ფრესკებს ეხება ბინდში ღამურას ფრთები. გაზაფხულობით ეწვევიან საყდრის ჩიტები, ზაფხულში მზის და მთვარის სხივები. არსად ჩანს ბერი, არსად მლოცველი, ჯვარს და სასანთლეს ფარავს ფოთოლი, ცვივა ეზოში შრიალით ნაბლი. დგას ბაზილიკა, სევდით მოცული, ელის მორწმუნეს, ითვლის დღეებს მწიფე ანლის ბზინვარე მარცვლით...



შაქრის თითოეული ლოდი, რომელსაც
ასე გულმოდგინედ
მიათრევენ ჭიანჭველები,
შენი დარდება...
შენი ცოდვები...
შენი ამოუთქმელი გასაჭირი.
გრძნობ, როგორ მსუბუქდები.
ნაიღეს შენგან
ყველა ყასიდად ნათქვამი „მიყვარხარ“.
ყველა უფულო „მადლობა“.
ყველა „მობრძანდი“ —
სინამდვილეში „რამ მოიყვანა ახლა“ რომ იყო.
ყველა ტყუილი ბოდიში,
ტყუილი შეპირება, ტყუილი აღტაცება...
ცოტა შური, ცოტა გულგრილობა,
ცოტა დაუნდობლობა, ცოტა ირონია...

მსუბუქდები!

სადაცაა აფრინდები ბუმბულივით და...

სდექ!

გაჩერდით, ჭიანჭველებო, გაჩერდით!
თქვენ რომ შაქარი გგონიათ,
ჩემი ნამსხვრევებია.

ჩემი სისხლი და ბალღამი
არ ნაილოთ.
სჯობს, ისევე ჩემში იდუღოს,
იამბოხოს, იბობოქროს.

დაღვინდეს თუ დასაღვინებელია,
განყალდეს თუ გასანყალბელია.

თანდათან მოძრავი შავი ხაზი თხელდება.
სულ მალე ჯარს ჩამორჩენილი
რამდენიმე შეშინებული ჭიანჭველადა
ლოლავს თავგზაბნეული.
ჩემთვის გაუგებარი სიგნალებით
მათაც თავისკენ უხმობენ დანარჩენები.
მე ვრჩები მარტო

იატაკზე დაბნეულ შაქართან და
ჩემ თავთან ერთად.

ზუსტად ისეთი მძიმე ვარ,
როგორც გუშინ,
გუშინდინ და
იმის წინ...

*
თქვენ თქვენი იჯავრეთ, ჭიანჭველებო.
ჩემს ლოდებს მე ჩამოვფქვავ ჩემში.

არიან ქალაქები

არიან ქალაქები ადამიანებით.
ზოგი მათგანი პიროვნებაა!
ზოგი — გამოუცნობი ადამიანი.
ცოცხლობენ ქალაქები და...
კედლებიან ზოგჯერ.
იბადებიან მარადიული სიცოცხლისთვის
სხვები.

არიან ქალაქები,
რამდენჯერაც არ უნდა ესტუმრო,
ვერ ამოწურავ.
ყოველთვის დაგიმალავს რაღაცას,
რაც გაიძულე, ისევე ენვიო.
არსებობენ უცხო ქალაქები,
სადაც შენს ქუჩას და სახლს ეძებ...
თუნდაც იცოდე, რომ ვერ იპოვი,
მაინც ეძებ.

არიან რუხი და ჭრელი ქალაქები.
არის ერთი ქალაქი დედამიწაზე,
სადაც დავაბიჯებ და მგონია, რომ
დავაგვიანე აქ მოსვლა.
დავაგვიანე, სულ მცირე ათასი...
ან ორი ათასი წლით.

მე ბევრი ქალაქი მინახავს.
მერწმუნეთ, არიან ქალაქები...

...
და ბოლოს —
არის ქალაქი სამყაროში,
სადაც მინდა,
უკანასკნელად დავახამხამო წამწამი,
სანამ სამუდამოდ გავახელ თვალებს.

ამ დამშეულ, ხმაურიან მარტოობას
თუ გავერიდე,
თუ შევქელი,
სხვა სიმაღლეში ჩავმარხო
საკუთარი სულის ნაფლეთები,
ერთადერთი, რასაც მოვინატრებ —
ბელურების უტაქტო ჟივილ-ხივილი იქნება.
არანაირი,
სულ არანაირი,
მნიკვი შეგრძნებაც არ გააჩნიათ
მუსიკალური მოტივებისა.

შუპის მტვირთველი

შენთან ვიქნები ყველა ომში.
ყველა ბრძოლაში.
რადგან ომები ბნელეთია და
თავში ქვის ხლა.
რადგან ომშიგან ნაცარსა ვხელთ ფეცილის მაგიერ
და მწარე პურით ვასაზრდობთ
ჩვენს თუ სხვის შვილებს.
რადგან წყლის ნაცვლად
ცრემლისა და სისხლის ნაზავს ვსვამთ.

შენთან ვიქნები, გამარჯვებით როცა მღელვარებ.
მეტადრე მაშინ, როს კერპდები დამარცხებისას.
რადგან, როდესაც დავიბადეთ, ცა არ ყვავდა,
ვარსკვლავები კი ინებოდნენ დანაცრებამდე.
ალბათ ამიტომ კაცთა მოდგმას უყვარს
ჭაობი,
და ცეცხლის წვიმებს შესაშური სიხშირით იმშვეს.
შუბისმტვირთველად აღარ მიდის არავინ ომში,
მაგრამ მე მაინც არ გაგიშვებ მარტოს არასდროს.
ყველა ნაღვლიან მზერას ავკრეფ შენი თვალების
და მე ვიქნები შენი უხმო დარდის მტვირთველი.

დავინყვავული კაცი

როდესღაც ხომ უნდა ვიფიქრო მასზე,
ვისი დავინყვავა ვისურვე?!
აი, დღეს ვფიქრობ და ვამბობ:
„კაცი იყო ერთი, რომელიც დავინყვავა“.
იმან კი სიზმრები ამინიოკა.
რანაირად აღარ მოდის —
ხან —
ჯდება ჩემთან, მზის ჩასვენებას ვუცქიროთ-ო...
მერე წვება ჩემზე და ძლივს ვუძლებ
მის სიმძიმეს.
მზე გვანებებს დამწვარ ბაგეს,
ზღვაში სარეცელს აგებს
და იძინებს.

ხან —
ნელ-თბილ წყალს მისხამს
მოზანავეს ყელმოდერილი ამფორებიდან,
მერე სამოსს მიჩრევს მთვარის ფერებიდან:
— „ლურჯი მთვარე არ ჩაიცვა,
ქარვისფერს დაელოდე,
ან ყვითელს“.
მნათობი სავსეობის ბოლო ღამეს ითევს.
მე სიზმრებს ვითმენ.

ჰოდა...
„კაცი არის ერთი, რომელიც, ჰგონია, რომ დავინყვავა“.

სიჩუმი

გაინაბე და ყური დაუგდე კოსმიურ ბგერებს,
ჩვენი სიტყვები და ამოსუნთქვაც
დიდ მდუმარებად იქცევა ბოლოს!
ო, როგორ მინდა, დავტოვო ვინმე
ამ მდუმარების მემკვიდრედ მზის ქვეშ.
მე კი ვუცქირო, მზის დისკოდან
როგორ გამოაქვს, როგორც განძი —
ჩემი ღუმელი.
და ყველა ბგერა, რაც ამოვთქვი
სიტყვად ან ოხვრად,
ყველა ჩურჩული
ან ყვირილი — ხმის დაკარგვამდე,
აღტაცებული შეძახილი
ან დარდის დვინი,
რაც კი როდესმე დასცდენიათ
ბაგეთა ჩემთა —
მერე, როდესაც შეიკვრება
ღუმელის წრეში,
იყოს ნუგეში ვილაცისთვის
და ვილაცისთვის იყოს გზამკვლევი,
თუ მოვენატრე, რომ მიპოვოს
სადღაც, უცნობი გალაქტიკის
პატარა მზეში.

ჭიანჭველები

უნდა მცოდნოდა —
შაქარი თუ დაიბნა,
ერთი ჭიანჭველა მაინც გაჩნდება საიდანღაც.
შენ თუ უცებ მოგინდება, იყო ის, ვინც,
„ჭიანჭველასაც კი არ ადგამს ფეხს“ —
იყავი.
ნუ მოკლავ ჭიანჭველას.
მაგრამ იცოდე,
ეს პატარა არსება
სრულიად საკმარისია იმისთვის,
რომ სულ მალე
ჭიანჭველების ჯარი გესტუმროს.
იჯექი მშვიდად.
წრუპე ყავა და უცქირე
მოძრავ შავ ხაზს.
უცქირე, როგორ იკიდებენ ზურგზე
შაქრის ლოდებს და მიაქვთ.
რა კეთილი ხარ!
(ხიბლში ვარდები საკუთარი თავით),
ინყებ ფიქრს —
რაღაც ისეთი მოიმოქმედო,
ასე ღმერთივით კეთილი რომ არ იყო,
რადგან გემინია ამის.
და წარმოადგენ:

„მღერთან“ როგორც და როცა მოესურვებათ და ეს ისეთი ბუნებრივია, ისე შერწყმული სახურავის წითელ კრამიტებთან, ბუხრის საკვამურის გამომწვარ აგურებთან, სახლის ფასადთან, ეზოს სიმწვანესთან, ცის სიღრმესთან, მზის ჩასვლა-ამოსვლასთან, მხოლოდ ასე „ვიმღერო“, ვისურვებდი მომავლისთვის — იქ, სხვანაირ მარტოობაში!

დავბრუნდები

უკან დამრჩა ყველა ლოცვა და შელოცვა, შუა გვიდგას გზები და თვალღია ძილი. თვალი თვალში გამიყარე და გეოცა ჩემს კისერზე წყება-წყება დარდის მძივი. დარდის მძივი — სამომავლო მონატრების, მინის სუნით, წყლის სინმინდით გაჟღენთილი. მოლანდებდა შორეული მონასტრების და ჩვენამდე ათასისგან გაცვეთილი — გზები აღმა, გზები დაღმა, ყველგან გზები... გავლილი თუ სახვალისოდ გასავლელი. გადავლახე ნაჩუქარი შენგან გზებით, ყველა, დიდი თუ პატარა, განსაცდელი. ჩემს ყელ-კისერს დარდის მძივი ამშვენებდა... შენს მართალ გულს იმედებით აპურებდი — გჯეროდა და ახლაც გჯერა, რომ შეგპირდი — დავბრუნდები! უსათუოდ დავბრუნდები!

შენც გრძნობ

აი, დღეები... თოვლის ლპობის დღეები მრუში. გადაუყვლითა ქალწულ ფიფქებს ქორფა მუხლები. ღამეები კი — მოცახცახე ხელების გულში — შენ ჩემთან დაგრჩა გაყურებული და ხელუხლები. ზღვებში ჩაძირულ ქარავნებზე იტყვიან სხვები... მე გეტყვი, ჩემში რაც ჩამარხე, როგორ დამძიმდა. და მარცვალ-მარცვალ დაწურული ჩემი სხეული მაჭრადაც ღირდა, ღირდა ღვინოდ, ღირდა ბარძიშად!

განსარა ახლა, დედაჩემო

თეტიდა უნდა რქმეოდა დედაჩემს. არ ვიცი, რა ლოცვა უთხრა იმ წყალს — პირველად რომ მახანავა... ის ვიცი, რომ ყველა ისარი უძღურია ჩემს დასაკოდად.

ეს რა წყალში მახანავე, დედაჩემო?! როგორ გეტყვი?! ვარდისფერი ქუსლებით თუ ღინღინანი თავით? ვიტყვი თუ ვიცინე პირველი განბანისას?


რას ფიქრობდი, დედაჩემო?! რას ბუტბუტებდი? რომელიმე ტროპარს თუ შენი მოფიქრებული ლოცვით ესაუბრებოდი გამჩენს?

რა სთხოვე სამყაროს, დედაჩემო?! ყველაფერი ის, რასაც უხვად მაძლევს, შენ გამოითხოვე ჩემთვის?

ტალახი გესროლონ და მინდვრის ყვავილებად იქცესო. შხამი ჩაგინვეთონ სასმისში და ბადაგად დატკბესო. ეკალს ფეხი დაადგა და ლორთქო ბალახად იქცესო.

ასეთი მზითვეი როგორ შემეგროვე, დედაჩემო — საამო იყოს შენი ხმა და დამამშვიდებელი შენი თვალი. დასიცხულს ჩრდილად გადაეფარე და შემცივნულს მზედ აენთეო. საფუარი არ გამოილიოს შენს სახლშიო. ნაკვერჩხალი არ ჩაქრეს შენი ბუხრის ღადარშიო. დროულად დამწიფდეს შენი ეზოს ხილი და დაღვინდეს შენი ყურძნის მაჭაროო. შოთას ნიგინი გაიცრიცოს ხშირი გადაფურცვლისგან შენს ხელშიო.

ყველა ლოცვა და შელოცვა გისმინა სამყარომ, დედაჩემო! გაიხარე ახლა: ყველაფერი, რაც შენ მომეცი, მე ჩემ ძეს გადავეცი!



ნიგნის ჭია

მე ვარ ჭია, ნიგნის ჭია, — თეთრი ფურცლების ბოჭკოვანი ცელულოზით რომ ვიკვებები და ვიტანჯები ქრონიკული სისხლნაკლებობით, თუმცა რას ვიზამ, ეს კარგად ვიცი, რომ ვერასოდეს ვიქნებოდი ვაშლების ჭია, ან ქლიავების... ნაქირავები ბინის გარდა ალბათ სხვაგან ვერც ვიცხოვრებდი; ჩემი სამყარო ნიგნის თარო, ან კარადაა, რომლებიც მუდამ სხვას ეკუთვნის სამემკვიდრეოდ, მე კი ვსარგებლობ დროებითი ყოფნის უფლებით, თუმცა სხვებს მაინც ვეხმარები

სამომავლო გზის არჩევაში, ვცხოვრობ მშვიდად და უხმაუროდ, ვერც კი მაძინევენ, რაზეც არ ვნაღვლობ, რადგან მაქვს საქმე — რუდუნებით საკეთებელი, — და ნიგნის ჭია, ვემსგავსები ჭიამაიას, ადამიანებს რაღაც სხვა გზა რომ ვაპოვებო, რადგანაც უფრო სხვას ვეკუთვნი ჩემი ფუსფუსით... ზოგჯერ მგონია საკუთარი თავის მტერიც ვარ, ფეხის მტერიც ვარ ვილაცისთვის, მაგრამ ჯიუტად ფურცლებს ვლირდნი, რომ ვიარსებო... ქალაქი მძარცვავს და მაიძულებს, ჩემი ფიქრები უსასრულოდ მას რომ მივანდო, მასზე დავტოვო, ამოვანთხო ის, რაც ვჭამე და სამწუხაროდ ვეღარ ვინელებ... ამიტომაც ვარ ასეთი თეთრი და უფერული, ალუბლის თეთრი ყვავილივით, გამოკეტილი ნიგნის ფურცლებში...

სხვებთან საუბარს მწყობრად უკვე ვეღარც ვახერხებ, რადგან მუდმივად ქალაქისგან ვარ გაძარცვული, — და თავს იმითა ვიმშვიდებ მხოლოდ, მუდამ რომ ვსწავლობ — სხვას მივუძღვნა ჩემი მცდელობა, — და ნიგნის ჭია, ვემსგავსები ჭიამაიას, ადამიანებს რაღაც სხვა გზა რომ ვაპოვებო... ნელ-ნელა ვხუთავ ნიგნის ფურცლებს, ვუჩენ ნაკეცებს, ბებრულ ნაოჭებს და, — მაღარიის მძიმე სიყვიტლეს, თუმცა სიყვიტლე ნიშანს მაძლევს, რომ წინ სხვა გზა მინდორივით ამწვანებული... უკან ვიტოვებ წითელ წვეთებს მოტკობო მურაბის, ნიგნის კითხვისას ალუბლებიდან რომ დაიღვარნენ, დაგემოვნების ჩვეულ პროცესში... თუმცა სინითლე მაგრძობინებს — დროა, შევჩერდე, მე ეგოისტი ვერ ვაგვხდები, როგორც ქლიავის, ანდა ვაშლის მსუქანი ჭია... ვეღარ ვჩერდები, კვლავ ვაგრძელებ ფურცლების ღირღვნას, გაყვითლებამდე და მწვანე გზის გამოჩენამდე... ნელ-ნელა ვხუთავ ნიგნის ფურცლებს, ვუჩენ ნაკეცებს, ბებრულ ნაოჭებს, რომ იქნებ ვინმეს გაუჩნდეს აზრად, მათი დროული ჩაბარება,

თუჯის ქვაბებში მოსახარშავად. თავსაც კი ვწირავ, მაგრამ მაინც არ ვიხეე უკან, როცა ნიგნები მაკულატურად უნდა ვაქციო...

გადავარჩინო თუნდაც ერთი ხე, ეს მართლაც ბევრად უკეთესია, ვიდრე ფურცლებში გამომწვევებული უმადურობა, როგორც ალუბლის ფერნაკლული თეთრი ყვავილი, — და ნიგნის ჭია, ვემსგავსები ჭიამაიას, ადამიანებს რაღაც სხვა გზა რომ ვაპოვებო... მე მომხარშავენ ჩაბუდებულს ნიგნის ფორებში, მაგრამ ჯიუტად კვლავ თავიდან დავიბადები, რომ ისევე შევხვებ ნიგნის ყდებში გამოკეტილ ქათქათა ფურცლებს, უსასრულობის უცვლელი წესით, რომ გაყვითლო და მწვანე შუქი კვლავ აუწნოთ ახალ დასაწყისს, — რომ მერე იქნებ ალუბლის ხეც ისევე აყვავდეს ჰერბარიუმის უსიცოცხლო, ცივ სამეფოში...

 ვგრძნობდი გაზაფხულს ფერთა ამალით, გზაც ვერ რჩებოდა გარინდებული, — და ცა ქუხილებს ვეღარ მალავდა, როგორც უსიტყვო შორისდებულებს... რას დააკლებდა ფერს, გაურითმავს, სულში ამტყდარი რტოთა განგაში, ცად საჭაერო თეთრი ბურთივით, დაუფიქრებლად რომ არ გაგეშვი... გულს თუმცა ნისლიც თან სდევდა მიმქრალს, შემოვიარე ვრცელი ალაგის... ახლა კი სახლი საგსეა ფიქრით, — სახლი, რომელსაც ვეღარ ვალაგებ...

 ისე საგსეა ღამე ჭინკებით, შიშს ვერ მალავენ მნიფე ლეღები, — და მთვარეც თუკი დამეჭიდება, კვლავ დაუხვებები გულგაღვლილად... გზა გასავლელი მოჩანს ქვიანად, და იმ გზის შიში ვიცი გამთელავს, მაგრამ სათქმელიც დარჩათ გვიანი სულის პატარა ციციანთელებს, — გზა რომ მიქციეს ადრე ცის ხიდად, იქნება, ახლაც მაცადონ ბოღვა, — და ბნელთან თუნდაც მკრთალი შეხებით, კვლავ გააღვივონ მარცვალი მდოგვის...

 სიმარტოვეში ყოფნაც თუ ყოველ გამონასკველ ძაფს ართავს სიახლით, ნუთიერ განცდად მონათლულ სოფელს მზის ამოსვლასაც სანთლად მივათვლი... და შენც სინათლის ნატრულ მთის იქით, დღეო — სხვა მადლით საღამოვდები, ხსოვნის ჭიშკართან დაბმულ ფიქრით, რაკი ყფს ძაღლიც — თავგამოდებით... მოურიდებლად მფეთქავი ჟინი, ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩემში ფერმწერის, — ამიტომაც, სველ თვალსს ყინვის, გასათობად რომ ხგენით ვწნევი... და შენც სინათლის ნატრულ მთის იქით, დღეო — სხვა მადლით საღამოვდები, ხსოვნის ჭიშკართან დაბმულ ფიქრით, რაკი ყფს ძაღლიც — თავგამოდებით...

მამას...

გზას როცა ზეცა მოახვევს თავშალს, მთაზედაც ფიქრობს, გაათბოს გულით, ფიქრი კი ცდილობს, მონახოს ვაშლი, ან შეეშველოს საადრო გულაბს, — დრომ უდიერად რომ გადაკარგა ამ უსასრულო მონატრებაში; შენ რომ ჯიუტად ეზოში რგავდი... ახლა ის ეზოც ხსოვნაში ხარშავს, — მინდვრის ღობიოდ ამოსულ საქმეს; ან რა ძალა და რა მადლი ჰქონდა, სიკეთის ნესად გულდაგულ ნარქმევ, იმ გარჯის მარისს, ან თუნდაც ქონდარს...

.....
 გონდამწმენილი გზას რომ გაღვევი, მე იმ სინმინდის — მზესავით მწამდა... მერე ნელ-ნელა შენც გაილიე, სალესთან ერთად — ლესვაში წაღდის...

 ვით უსაშველოდ გაშლილ ტრამალეებს, მზისგან მომეცა მე შთაგონება; და ფიქრით — წლების ქარში ფრთამალი, გამოვეჯიბრე სევდის ვაგონებს... ბევრჯერ მშრალ ღორღზეც ჩამქრალ სავანის გზა რომ მასწავლეს მონაფესავით, მაინც ვერაფრით დაასამარეს ჩემში სიკეთის კვლავ დაწაფება... და სასწავლებლად დგომამ დაფასთან რადგან ბოლომდე ვერ გადამალა, ძველ ღიმღებლსაც ისე ვაფასებ, როგორც მოთმენით გადახდილ ვალებს... მრავლად, სხვა ფერიც დავიმეგობრე, წლების თვით ფრთოსან ფერთან ნაჩვევმა... და რაც მინდორთა ცვარი მეგონა, ჯვარი ყოფილა — ქვეყნად გაჩენის...



საფასური

ჩვენი სიცოცხლეს ყოველთვის თან ახლავს რაღაც მაგიური. ამის შეგრძნებას და დანახვას ხშირად ვერ ვახერხებთ ხოლმე. უფრო იმიტომ, რომ ქაოსში, მტვერსა და ხმაურში ვცხოვრობთ: დაღლილები, დაქანცულნი, ოფლად ვიღვრებით და იმისი ძალიც არ გვაქვს, რომ მკლავით შუბლიდან ოფლი მოვიწმინდოთ. ან ძალა თუ გვაქვს — ვერ ვნახულობთ თავისუფალ ორ ნამს. არადა, თითქოს რა ადვილია: ასწიო ხელი და შუბლზე გადაისვა მკლავი. ორი ნამით მზის მოჩრდილვაც გამოგივა და ორმაგად მოგებულები დარჩები.

წარბებსა და წამნამებზე ჩამოკიდებული ეს პატარა ოფლის წვეთი კი ისე გვამძიმებს, ტყვია რაღაა — და ტყვიაზე ბევრად მძიმე გვეჩვენება. ლამის მთლად ჩავგახრევივინოს თავი ისედაც ზურგში მოხრილს, წამგალა მთვარესავით მორკალურს. ასე გვექაჩება დაღლა ნელ-ნელა და საცაა, თავით უნდა წავერჭოთ მინაში, რომელსაც ასე საგულდაგულოდ ვჩიჩქნიდით მთელი დღე — იმისათვის, რომ მშვიერი არ დავრჩენილიყავით.

რა მაგიურობის ძიებაზე უნდა იფიქროს ამ დროს კაცმა?! ერთადერთი მაგიური სიტყვა ის იქნება, მთლად ძალაგამოცლილმა და ღონემიხდილმა ძლივს გასაგონი ხმით რომ წაიბუტბუტოს: — ეჰ, ღმერთო! — წაიბუტბუტოს და ამოაყოლოს მთელი დღის დაღლა, გუშინდლისაც და იმის წინანდლისაც ჩაატეოს ამ ერთ „ეჰ“-ში... ამ სიტყვებს რომ მსმენელი ჰყავდეს, ხომ იმ წამსვე დაუძმძიმებს გულს... იმ ერთი სიტყვის მადლით იქნება, რომ ყველაფერი გააკეთოს სანყალი გლეხის საშველად და ცხოვრების მტარვალის ბორბლისაგან მის დახსნას ეცადოს — რომელიც, როგორც ბალახს, ისე თელავს სანყალ კაცთა სულს, დაღლილობაში ახრჩობს მათ სულისკვეთებას. ესეც რისთვის?! მხოლოდ იმისთვის, რომ ზვალ და ზევ კი არა, რამდენიმე თვეში ცოტა რამ მოსავალი მოინიოს და რამდენსავე ხანსაც ეყოფა ეს მოსავალი, იმდენ ხანს გამოიზოგოს. თან ისე მკაცრად, რომ ვერც დანაყრება იგრძნოს და არც სული მისდოვდეს შიმშილისაგან — თორემ მთელი წლის ნაღვანი ერთს ან ორ თვეში სულ გამოელევა და შემდეგ წლამდე მშვიერი კუჭით მოუნევს გაძლებს.

მერედა ვინ ეძებს რასმე მაგიურს თავის არსში?! ისევე ეს გადაღლილი გლეხი თუ დაინახავს რამე დიადს, თორემ მაძლარ კუჭს არაფერი ადარდებს გარდა იმისა, თუ სად მოისვენოს... როგორც ძროხამ იცის ხოლმე — ბევრი ჭამის შემდეგ წამოწევა და ისე ინელებს საკვებს, სანამ ისევ არ მოვიდვება... ასე წევს, მერე კი ისევ წამოიზლანება და ხარბად დაინყებს ბალახის ძოვას, წინანდელზე უფრო მეტი სიხარბით შთანთქავს, თითქოს არ უნდა — სხვებსაც დაუტოვოს. სულ მოასუფთავებს მთელს მინდორს.

ამისთანების ყბაში მოქცეული გლეხი რომ შეძლებს და დიდებულს იპოვოს რამეს,

ამ ცხოვრების საქებარს, ამა სოფლის სადიდებულს, ადამიანის სულისას და არა ხორცისას — ეს ერთი-ორად დასაფასებელი და განსაადიდებელია. უპირველესად, თავად ამ საოცრების აღმოჩენისათვის და, მეორე რიგში — ამ კაცის ოფლითა და ტალახით ამოვსებულ თვალებს რომ ამის ხილვა შეუძლია, სწორედ ამიტომ ხდება ის განსაკუთრებული განსაადიდებელი.

მერედა რით ხედავს ეს სანყალი, თვალდავსებული კაცი?! რით და გულით. ყველაზე წრფელი დამკვირვებელი დედამინის ზურგზე — ადამიანის გულით: მასში თუ ბოროტება არ არის ჩაბუდებული, ყველაზე სათნო რამ არის. თუმცა სწორედ ეს გულია, ყველაზე დიდი სიავის გამორჩენაც რომ შეუძლია და ყველაზე დიდის, არნახული ვერაგობისა. გლეხი კაცი რომ ავ აზრებს არ აპყვება, ამიტომაც უნდა დავაფასოთ იმ „წითელ კოჭებზე“ მეტად, ვისაც ცხოვრებამ უწყალობა ყოველივე მუქთად. ამნაირი „წითელი კოჭის“ საუბარი მალალი იდეალებზე ცარიელი ლაყობაა უმეტესწილად, რადგან არც იცის — რაზე ლაპარაკობს. მას არ შეეხება სიკვდილამდე და არ დაღლილა ისე — რომ იქვე, ბაღში, შემართულ ბარის ტარზე დაეყრდნო თავი და ორი წამით ასე დაესვენა, ასე ჩასძინებოდა.

ცამეტი წლის ვიქნებოდი, მე რომ უსინათლოთა და მცირედმხედველთა სპეცსკოლაში შემიყვანეს. ღმერთო, როგორ არ მინდოდა იქ მისვლა! როგორ არ მინდოდა, უნებურად მეღიარებინა, რომ მეც მათ რიგებში ვიყავი.

ორი კვირა რომ იყო გასული, გავიცანი რამდენიმე ჩემი თანატოლი, ზოგი ჩემზე დიდიც. საერთო გვექონდა გასართობიცა და დასასვენებელიც, საერთო გვექონდა დარდიც მეტწილად. აბა, იტყვი, ცამეტი წლის ბავშვს რა დარდი უნდა ჰქონდესო. რა და — დედა ედარდებოდა, მეგობარი ენატრებოდა, სახლი, ეზო და სოფლური ყრიაშული. ნაღვლობდეს, ბაღში გახიზნულ მშობლებს რომ ვერაფრით გამოადგება ასი კილომეტრით მოშორებული.

— გოდე, გძინავს?! — მკითხა ფანჯრის ქვეშიდან რაღაც ხმა, ბნელში ჩაფლულმა, თითქოსდა ჯაშუშურად მიმალულმა. თუმცა ჯაშუშში კი არა, ოთახის მეზობელი იყო ჩემი — ზვიადი, ჩემზე ერთი წლით პატარა.

— არა, — მოკლედ მოუუჭერი, არ მინდოდა დიდად ლაპარაკი.

— ბიჯო, ის სიმღერა იცი?! აი, ის „სთეარევი თუ ჰევენ“. ხო მაგარი სიმღერაა?! — ჰო, მეც მომწონს ზეპელინი.

— ჰა ეხლა, ზეპელინი ჯობია თუ პინკ ფლოიდი?! — გაჩინია, პინკ ფლოიდი სხვა მიმართებისაა მაინც.

— შენი კლასელის და რომაა, ქეთი, ეგ არი გაქანებული პინკ ფლოიდის ფანი.

— ჰო, ვიცი.

— ლამაზია, არა?! — ჰო, ძაან ლამაზია.

— როგორია, მოკლედ მითხარი? — ძალიან გამხდარი, შენსავით, თქვე-

ნი წონები რომ დააჯამო, ერთი ნორმალური კაცის წონაზე ცოტადა დაგაკლებათ — ალბათ, ასე ხუთი კილო. გრძელი თმა აქვს და ლამაზი თვალეი. გამოყვანილი წელი და თეთრია თოვლივით.

— ჰოოო?! — გაიკვირვა ოთახის მეზობელმა, — ვიცი რა, ვინ უნდა მომეწონოს, ვიცი რა! — გაუხარდა და შეაქო საკუთარი ალლო. მერე წამით ჩაფიქრდა, ფანტაზიას იკრებდა. ეტყობოდა სუნთქვაზე, რომ რაღაცის გაცოცხლებას ცდილობდა თავის გონებაში. ახლა ხომ საერთოდ დაკარგული ჰქონდა თვალის ჩინი და გონების იმედად დარჩენილი ძერწავდა და გამოჰყავდა თავისი სატრფოს სხეული, თვალეი, ცდილობდა, წარმოედგინა — მისი სიცილი როგორ გამოიყურებოდა, რაკილა ერთხელ უკვე მოესმინა. უეჭველი იყო, მის გონებაში რაღაც დიდებულს მიეცა დასაბამი, ამის მოწმე თავად გავხდი, რადგან ავდექი სანოლიდან და იმ ფანჯარასთან მივედი, რომელთანაც იწვა. იღიმოდა. თავის წარმოსახვას უღიმოდა. წრფელი, ალალი ღიმილით უღიმოდა.

— მართლა რა საყვარელია, არა?! — მკითხა რამდენიმე ხნის შემდეგ.

— ხო, მართლა საყვარელია, — დავუდასტურე და, თითქოს ამას ელოდაო, მთელი ტანით წამოჯდა სანოლზე.

— ეე, ჩემი შეყვარებულია, — ისე დარწმუნებით და გახარებით თქვა გუშინ გაცნობილი გოგოზე, ჩემი შეყვარებულიაო, რომ მეც იმნამსვე, უყოყმანოდ დავუჯერე.

შეყვარება ყველაზე დიდი და ნათელი სხივია. თვალის ჩინია, რომელიც უთვალისჩინოსაც ძალიან კარგად აქვს განვითარებული. ამ თვალის ჩინით სწვდება სამყაროს ტანჯულიცა, რომელსაც თავის მალა აპყრობის დრო და ენერგიაც არ აქვს. ამ თვალის ჩინს ეყრდნობოდა ზვიადიც.

— ბიჯო, ადე, საქმე მაქ.

მალვიძებს უთენია ოთახის მეზობელი, მზე ახალი ამოსულია და სპილენძისფერ თმას ისე დასცემია მზის სხივი, თითქოს ცეცხლი უქიდაო. ერთი წამით შევეკრთი. მერე გონს მოვიედი.

— რა ხდება, ზვი?! — დღეს ქეთუნა უნდა მოვიდეს.

— ჰოო, მერე მე რა შუაში ვარ?! — შოკოლადი ჰყვარებია.

— შოკოლადი ბევრს უყვარს.

— წამო, მალაზიაში გავიპაროთ და ვიყიდოთ.

— კაი, დაიცა.

ეზოში ჩავიბრუნეთ. მე — როგორც მისი გზის მაჩვენებელი... მერე კართან მივედით და ორლარიანი მომცა, „ალპენ გოლდი“ იყიდო.

წავედი მალაზიაში, ზვიო დარაჯთან დარჩა, მის ორლარიანს ჩემი ხუთიანიც დავეუმატე და ორი ცალი „ალპენ გოლდი“ ვიყიდე, ჩემთვის კი — წვენი.

მზე, ჩემი სილალის მოწმე, უფრო თამამად მიცურავდა თითქოს თავის ოკეანეში და ძალიან სწრაფად მოვიდა შუადღეცა და ნაშუადღევიც. გაკვეთილის ზარის ხმასთან

ან ერთად — ალბათ, ცოტა ადრეც კი, შემოვარდა ჩემს საკლასო ოთახში ზვიო. რაღაც ეშმაკური ღიმილი უთამაშებდა სახეზე.

— დაიცა, მოვიდეს, ვნახოთ. მაგრა გაუხარდება.

— ჰო, მოვიდეს და ვნახოთ.

— წამო, ეხლა სადილია, იქ ჩამოვა ეგექ.

— კაი, ჩემ მაგიდასთან მოდი შენც მამინ.

— ჰო, აბა რა, აბა რა!

სასადილო ოთახში, ვითომ და სიმეტრიულად, მაგრამ მაინც რაღაც აჯაფსანდლის სტილში ირეოდნენ მაგიდები ოთხი სკამით. ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარს ყველა-სი და ყველაფრის გამოყოფა და ამ მაგიდებსაც სახელები ერქვათ. დღის განმავლობაში მაინც უფრო კლასთან ერთად ვისხედით ხოლმე, საღამოს კი ვახშამზე აშკარა ხდებოდა ორდენებისა და საძმობის წევრების ადგილები. საღამოს ბავშვებიც ცოტანი ვიყავით. შუადღისას და ნაშუადღევს არც ისე.

აგერ დაჰკრა სამმა საათმა და მოვიდა ზვიოს თვალის ჩინიც. თითქოს იგრძნო იმის შემოსვლა და თავი წამოსწია, მანამდე ხელებში საგულდაგულოდ რომ ჩაემალა და იქვე ტელეფონიც დაედო, რომელშიც აუცილებლად იყო ჩართული ან ლედ ზეპელინის „კაშმირ“, ან „სთეარევი თუ ჰევენ“, ან რომელიმე დიდი ჰიტი ქუინის ან დიფ ფარფლის — მოკლედ გიგანტი როკ-ჯგუფებისა, რომელიც ასე პოპულარული იყო იმ დროს და პრინციპში, ბევრად პოპულარული მანამდე... ამ მუსიკას კი აუცილებლად მოაყოლებდა რამე ისტორიას ამ სიმღერის შესახებ: ვინ დაწერა, როდის, ვის მიუძღვნა, სად შესარულეს პირველად, რომელ რადიოში გაუშვეს პირველად, როდის გახდა პირველი ჩარტებში და ასე შემდეგ... ყველა ეს დეტალი, უკვე მილიონჯერ მოსმენილი, მეც ზეპირად ვიცოდი და მომელოდა ხომ თავისთავად.

— გამარჯობა, ქეთუნა, — რაღაც ზეადამიანური სითბოთი და ცოტაოდენი სევდით მიესალმა ზვიო.

— როგორ ხარ, ბიჭებო?! — გვკითხა ქეთიმ ორივეს და ჩვენც რიგ-რიგობით ვუპასუხეთ.

თავისი დაც იქვე იჯდა, ერთად მოვიდნენ, თვითონაც მოიტანა სკამი და ჩვენთან ჩამოჯდა. წესიერად არც მოთავსებულყო სკამზე, რომ შოკოლადი მივანოდე: — ზვიომ გაიგო, რომ გყვარებია და ეს გიყიდა-მეთქი.

— ვაიმევე, მადლობაა, აუ, რა საყვარელი ხარ! — გაუხარდა ზვიოს შეყვარებულად დამტკიცებულ, ჯერ კიდევ ახალგაზნობილს.

ზვიოსაც დიდი მღელვარება ეტყობოდა თვალეზე. რომ უთხარი, ზვიოსგანაა-მეთქი და არ დამიზუსტებია, რომ ჩემი წველილიც იყო ამ პატარა საჩუქარში (ან რა დასაზუსტებელი ეგ იყო, მაგრამ მაინც) — თავისებური ბავშვური გულით გაუხარდა



ჩემგან ამგვარი თანაგრძობა. იმ სადილზე მე არ ჩაერთულვარ მათ საუბარში, მერე კი მითხრა: ჯიგარი ხარ, ძმა ხარო. ასეც მიდიოდა ჩვენი მეგობრობა. მას არასდროს დაჰკლებია სიყვარული გოგონებისა და მართლაც, საუცხოო ალღო ჰქონდა — ყველაზე ლამაზები მოსწონდა. მეც მივიყვარე, როგორც გრძობდა ამ სილამაზეს. მისი ფიზიკური თვალები იმდენხანს ვიყავი, რომ მეც მისი თვალებით დავინყე სამყაროს ალქმა. მან, თითქოს, რაღაც საიდუმლო იცოდა ამ სამყაროსი და ნაწილ-ნაწილ მიზიარებდა. მეც არ მეზარებოდა მასთან ერთად მუსიკის მოსმენა, იმაზე დავა, თუ ვინ უკეთესი ვოკალისტი, ფეხბურთის განხილვა — ორივენი რეალ-მადრიდის გულშემატკივრები ვიყავით. ის წლები ცუდი ჰქონდა სამეფო კლუბს, ჩემპიონთა ლიგაც კარგა ხანი არ ჰქონდა მოგებული, თუმცა სულ მალე ისევე დაიბრუნა საკუთარი დიდება — ამაშიც არ უმტყუნა ზვიოს ალღომ. თითქოსდა იცოდა, ვისთვის უნდა ეგულშემატკივრა. ჯერ იყო და მილანის „ინტერს“ გულშემატკივრობდა. იმ წელს „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგაც მოიგო, მაგის მერე კი „რეალის“ გულშემატკივრობიდან წამითაც აღარ გადაუხვევია. იხვეჭდა კიდევ „რეალი“ ტიტულებს. „რეალი“ და რონალდო ტრი-ალეზა საფეხბურთო სამყაროში, რომელიც ტოლს არ უდებდა მესის და ხშირად და ბევრ რამეში სჯობდა კიდევ. მხოლოდ ოქროს ბურთი ჰქონდა მასზე ნაკლები და ამაზეც თავისი აზრი ჰქონდა ზვიადს, ყველაფერში უეფას ადანაშაულებდა, მოსყიდულები არიან და იმიტომ.

წლები გადიოდა ამ დილოგებსა და ჭიდილშიც ხანდახან. მან იცოდა რაღაც მაგიური საიდუმლო ამ სამყაროსი, იცოდა და უყვარდა სიცოცხლე, სამყაროც უყვარდა, კიდევ უფრო მეტად ფეხბურთი, მუსიკა და ლამაზი გოგონები — ოღონდ სულელები არა. გარეგნული სილამაზეც არ იყო მისთვის მთავარი, ეს მაინც სხვისი თვალებით უნდა დაენახა — მისთვის მთავარი ის იყო, თუ რას უგრძობდა გული. მე კი მისი თანამოაზრე ვიყავი ამ ზრახვებში, მისი თვალისჩინიც, როცა საქმე იყო — შელახული თვალის ჩინი, მაგრამ მაინც.

ცხოვრებას არ უყვარს ის ადამიანები, ვინც მის საიდუმლოებებს ჭვრეტენ ხოლმე. უფრო მეტად სჯის და ამწარებს სულს, რომელმაც გაბედა და მის გულში ჩაიხედა. სწორედ ამიტომ — ყველაზე დიდი ხელოვანი ხშირად ყველაზე გამეტებულია ხოლმე ქვეყნიერებისაგან. ზვიადიც თავისებური ხელოვანი იყო, სიყვარულის ხელოვნებას იცნობდა, თანაც კარგად. გულთით იცნობდა. სწორედ ამიტომ გაიმეტა ულმობელმა და ვერაგმა სამყარომ ქურდი, რომელმაც საიდუმლო მოჰპარა. თვრამეტი წლისა იყო — სიმსივნე დაეჯახა და დღეებს ითვლიდა. ეს დღეები ჩემს გარემოში გაიარა და უფრო მეტად განვიცდიდი, როცა გავაცნობიერე, რომ ბოლო წამს მეც, მისმა „დონორმა თვალემა“ ფიზიკური თვალბევით ვუმტყუნე. მაგრამ ვაი რომ, სხვაგვარად არ შემძლო, მეც ბოლოს მიღებდა მისი განამება. არც კი დამიშვია, რომ ვერ მოერეოდა ამ დაავადებას, მას ხომ წვდომა ჰქონდა რაღაც არამიწიერ ცოდნასა და გრძობებთან. მაშინ არ ვიცოდი, რომ ამგვარ ცოდნას დიდი საფასური ადევს. მაშინ არ ვიცოდი, რომ სიცოცხლის წლებს გვპარავს სამყარო, რომელსაც საიდუმლოებებს ვპარავთ...

ფორთოხლისფერი ბოტები

ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ მამობა რთული რამეა. ერთი კლასელი მყავდა, მარიამი: სულ ფორთოხლისფერი ბოტებით დადიოდა სკოლაში, მისი ეს თავისებური სტილი ყველას გვახალისებდა — ჩექმებიან ფორთოხალს ეძახდნენ გოგონები...

არავინ ელაპარაკებოდა ხოლმე, მაგრამ ის მაინც სულ იცნობდა — ადრე გიჟი მეგონა ამ სიცილის გამო. წარმოიდგინეთ, სულ ბოტები ეცვა — ზაფხულშიც, ზამთარშიც... სულ მეგონა, რომ ფეხზე რაღაც სჭირდა და მაღავდა. ასე მართო მე არ ვფიქრობდი — ერთხელ ძალით გახადეს ბოტები გოგონებმა. ხომ იცით, გოგონები როგორები არიან: თუ გემეგობრებიან —

ხომ კარგი, თუ არადა ჯოჯოხეთში გაცხოვრებენ. მოკლედ, ყველას იმედი გავვიცრუვდა და აღმოჩნდა, რომ სრულიად ჩვეულებრივი ფეხები ჰქონდა — ისეთივე, როგორც სხვებს, ან თუნდაც მე... არადა, ყველა ისე მივტყუნებოდი...

როცა ბოტები დაუპატარავდა, მაინც თან დაჰქონდა მეთუ კლასამდე. არავინ ვიცოდით, რა სჭირდა ამ გოგოს, არც ის ვიცოდით, გადამდები იყო თუ არა, ამიტომ ყველა დისტანციას ვიჭერდით. მაგრამ ცნობისმოყვარეობა საშინელი რამაა, არ მოგასვენებს, სულს შეგიხუთავს, ძილს დაგიკარგავს — სანამ პასუხებს არ გაცემ იმ კითხვებს, რომლითაც გვერდებში გჩხვლეს. ერთხელაც გადავწყვიტე, რომ მის ერთ-ერთ მინვევაზე (დაბადების დღეზე ყველას გვაპტიყებდა) დავთანხმებულყავი. საკმაოდ სოლიდურად გამოვეწყვე, ფილმებში რომაა, პატარა ბავშვები რომ სმოკინგებით მოძრაობენ, მამიკოს იმიჯის თუ სკოლის პრესტიჟის გამო — რა მნიშვნელობა აქვს... მოკლედ, საზაფხულო თხელი კოსტიუმის შარვალი ჩავიცვი და ასეთივე თხელი, თეთრი პერანგი, პუპელა ჩემს ბავშვობაში ძალიან მოდური რამე იყო და პეულაც გავიკეთე. ასე სასიძოსავით გამოწ-



ყობილი გავყევი სკოლიდან. გამომდინარე იქიდან, რომ სხვა ბავშვებს ემინოდათ, სიგიჟე არ გადასდებოდათ, მართო მე და ის მივდიოდით, ის ცოტა მოშორებით ცხოვრობდა, სწორედ ამიტომ არავინ არაფერი იცოდა მის ცხოვრებაზე, ალბათ, ეს იყო იმის მიზეზიც, რომ უამრავ ჭორს მოისმენდით მათ ოჯახზე, როგორც ბავშვებში, ისე ზრდასრულებში. ერთი სიტყვით, სოფელში ყველაფერი სხვანაირადაა, ქუჩა ერთ დიდი გაზეთითაა, სადაც ყველაზე და ყველაფერზე ინერება, ამ გაზეთში კი ძალიან პოპულარული იყო ფორთოხლისფერ-ბოტებიანი გოგონას ამბები, ხან რას მოისმენდით, ხან რას, ზოგი იმდენად სისულელე იყო, სიცოცხლე ვერ შეიკავებდით — მაგალითად ის, რომ თურმე, ვირთხების ხორცს ჭამენ და ამიტომ არიან ასეთი უცნაურებიო, ამის დასამტკიცებლად კი მათ დიდ კბილებზე მიუთითებდნენ ხოლმე... არადა, ჩემი აზრით, ნორმალური კბილები ჰქონდა მარიამს — მე ასე მეჩვენებოდა.

მოკლედ მივდივართ მე და ჩექმებიანი ფორთოხალი და ფიქრობ ათას სისულელეზე, თვითონვე მეშინია იმის, რაც მის სახლში დამხვდება და ვცდილობ, თავი შევიმაგრო და არ გავქექე.

მოკლედ, მაგარი ფანტაზია მქონდა მეც ბავშვობაში. თან ახალი მოსმენილი მქონდა ამბები მონსტრზე, რომელსაც ბავშვებს აჭმევდნენ — მოიცა, გავიხსენებ, რა ჰქვია და გეტყვით... ააა, ჰო, მინოტავრი. მოკლედ, მინოტავრი რომ დამხვდეს-მეთქი, მაგაზეც კი ვფიქრობდი. გზაში ბევრი არ გვისაუბრია, მე ჩემს შიშებში ვიყავი ჩაფლული, ის კი ცეკვა-ცეკვით მოდიოდა ჩემ გვერდით. მისი ეს სილაღე კიდევ უფრო მაშინებდა და ერთადერთი, რაც ვკითხე, ის იყო, მალე მივიდოდით თუ არა. მითხრა, ცოტაღა დარჩაო და ისევე დაუბრუნდი საშინელებათა ოთახს, რომელიც თავში უკვე სრულიად მქონდა წარმოდგენილი.

როგორც იქნა, მივდივართ. შიშს მიმძაფრებდა სახლიც — საკმაოდ კარგი სახლი იყო, მაგრამ ტყისპირას, ახლომახლო არაფერი ჩანდა: არც მალაზია, არც სხვა სახლი... მხოლოდ ეს ერთი სახლი იდგა — ისეთივე გარიყული, როგორც მისი მაცხოვრებლები. შესასვლელს წინ უძღოდა ყვავილების ხეივანი, სახლის გვერდით კი ხის

პატარა შენობა იდგა. ეს შენობა ბოქლომით იყო ჩაკეტილი და ისე ეტყობოდა სიძველე, ისევე მინოტავრი გამახსენდა და ლამის გამოვიქეცი, სულ ცოტა დამაკლდა, მაგრამ თავი შევიმაგრე — პასუხები მჭირდებოდა.

— მოხვედით, ეს ვინაა?! მოიცა, გამოვიცნობ, შენი შეყვარებულია, — კარის ზღურბლიდან შეგვეგება მალალი, გამხდარი, ოდნავ შეჭალარავებული ქალი. სახეზე ასაკს უკარგავდა ბავშვური ღიმილი და საოცრად ლამაზი და მოუსვენარი თვალე-ბით მაშტერდებოდა.

ისე დავიბნი — ხმა ჩამივარდა. ამიტომ დაველოდე, რას უპასუხებდა ჩექმებიანი ფორთოხალი.

— დედა, კარგი რა, შეხედე, როგორ მიყურებს, ჩემი სახელიც არ ეხსომება, უბრალოდ კლასელია და დაბადების დღის გამო დავპატიჟე.

— შემოდით, შემოდით, ყველაფერი თითქმის მზადაა, მაგიდასთან დადექით, — მაგიდისკენ მიმიძღოდა სოფლის ყველაზე უცნაური და პოპულარული დედა-შვილი.

როგორც კი დავჯექი და ცოტა დავმშვიდდი, სახლის თვალიერება დავინყე. ისე ლამაზად ჰქონდათ კედლები შელებილი...

ფორთოხლისფერს ნააგავდა, მაგრამ ოდნავ მუქი იყო. ოთახის ცენტრში მოყავის-ფრო მაგიდა იდგა და იქვე რბილი ტყავის საყარძლები — სოფლის კვალაობაზე, აქაურობა ხუთთავარკვლავიან სასტუმროს ნააგავდა. დიდეკრანინი ტელევიზორიც იქვე ეკიდა, მისაღებში. რატომღაც ველოდი, რომ ღარიბული სახლი დამხვდებოდა; მეგონა, რომ ამ ბოტებით იმიტომ დადიოდა — ფული არ ჰქონდა, სხვა რამ ეყიდა... თუმცა ჩემი თორთა ისედაც განწირული იყო, რადგან ყოველ წელს ყველაზე ლამაზი სასკოლო ჩანთა მას ჰქონდა. აი, ამ ბოტების ამბავი კი ამოუხსნელი მრჩებოდა და უფრო მჩხვლეთდნენ კითხვები გვერდებში, მეც ვერ ვჩერდებოდი და ვცქმუტავდი. ფიქრებში გართული, სულ დამავინდა იუბილარისთვის საჩუქრის მიცემა. ისე მეშინოდა იმის, თუ რა დამხვდებოდა აქ, რომ არცკი გამხსენებია საგულდაგულოდ შეხვეული საჩუქარი.

— მარიამ, საჩუქრის მოცემა დამავინცდა, — ეს ვუთხარი და ჩანთაში ქექვა დავინყე. ძლივს მივაგენი თხელ, ყავისფერ ქსელში გახვეულ „პუპი გრძელწინდას“ და ისე სწრაფად მივაყარე შემდეგი სიტყვები, იუბილარმა კი არა, მეც ვერ გავარჩიე, — გილოცავ დაბადების დღეს, იმედია, მოგეწონება, კარგი წიგნია, მე ძალიან მომეწონა, დედა მიკითხავდა ხოლმე... რომ ვერ გაიგო, გავეუმეორე უფრო მშვიდად, მერე წიგნი გამომართვა, გვერდით ოთახში გავიდა და ორ წამში დაბრუნდა.

— დედა მალე გააწყობს მაგიდას, თუ გინდა, ტელევიზორი ჩავრთოთ, სულ მულტიმედია გადის ხოლმე ამ დროს, — შემომთავაზა და პასუხს არც დაელოდა, ტელევიზორი ჩართო. ამხელა ეკრანზე არასდროს არაფრისთვის მიყურებია, ყველაფერი ისეთი ახალი და სხვანაირი იყო, რომ ხმაც არ ამომიღია.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა მოვშინაური და მიშეხედი თითქმის გადავლახე, სამზარეულოდან გამოგვძახა მასპინძელმა: ყველაფერი მზადაა, ტორტი მომამქვსო და მეც სამზარეულოსკენ მეჭირა თვალ-ყური. უცებ ტელევიზორი გაითიშა და შუქიც ჩაქრა. ისე შემეშინდა — ვიკივლე... რაც მე მაშინ გავაკეთე, ყვირილი არ ერქვა მაგას — მაგას კივილი ჰქვია. სანყალ მასპინძელს

შეეშინდა და კინაღამ გაუვარდა ტორტი. შემდეგი ხუთი წუთი იუბილარის ნაცვლად მე ვიყავი ყურადღების ცენტრში — მასპინძლები ცდილობდნენ, დავემშვიდებინე. მეც ვეღარ მოვითმინე და მოვეყევი ჩემი ინტერესის შესახებ.

— აქ რომ მოვდიოდი, ბევრ რამეს ვფიქრობდი. სოფელში იმდენ უცნაურ რამეს ამბობენ თქვენზე... მე, უბრალოდ, ის მაინტერესებდა, რატომ აცვია მარის ეს ბოტები და შუქი რომ ჩაქრა, ძალიან შემეშინდა...

ჩემს ამ ნათქვამზე მარი განანყენდა და თავის ოთახში გავიდა, თავი დამნაშავედ ვიგრძენი. დედამისსაც არ ესაიბოვნა ჩემი ნათქვამი, მაგრამ მაინც მეგობრულად გადამისვა თავზე ხელი, შუქი ანთო და კარადასთან მივიდა. მერე რამდენიმე წამით შედგა, ღრმად ამოისუნთქა ერთი-ორჯერ და, ის-ის იყო, წასვლას ვაპირებდი, დამიძახა.

— მოდი, ხომ გაინტერესებდა ჩექმების ამბავი?!

ჩვენთვის ჩექმა მხოლოდ ჩექმებიან კატას ეცვა, სხვა დანარჩენი კი ბოტები იყო. სოფლად უცნაურად მკვიდრდება ხოლმე სიტყვები, ამიტომ ცოტა დავიბნი — სანამ მივხვდი, რაზე იყო საუბარი, მერე კი მშვიდად ეჭვებშეპარული ნაბიჯებით მივუახლოვდი. მასპინძელმა მოყოლა დაიწყო.


— ფოტოზე ხედავ ქერა ბიჭს? ეს ირაკლია, უფრო სწორად — იყო. ეგ მისი ჩექმებია... — ცოტახანს შეჩერდა, ისევე ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო, — ის მარის უფროსი ძმა იყო, ლეიკემია სჭირდა, 4 წლის წინ გარდაიცვალა. მარის ძალიან უყვარდა თავისი ძმა. როცა გარდაიცვალა — მისი ჩექმები ჩაიცვა და მას შემდეგ არც გაუხდია... ვერც ვუბნები, გაიხადე-მეთქი — თითქოს ასე მეც უკეთ გრძნობ თავს, თითქოს ყოველ დილას ორივე შვილი ერთად მივარდება საწოლში... ამიტომ მიჩვენია, რომ არც შევიმჩნიო, როგორ უჭირს... რომც შევიმჩნიო, არც ვიცი, რა უნდა ვუთხრა ან გავაკეთო — ის მისთვის საუკეთესო მეგობარი იყო. შენ, ალბათ, არც გესმის, რაზე ვსაუბრობ, ჯერ პატარა ხარ, მარიამი კი — ის სხვანაირია, ის ჩემზე უკეთესიცაა, ის რომ არა... მოკლედ, სულ ესაა, ახლა შეგიძლია ნახვიდე სახლში, დიდი გზა გამოიარე ამის მოსასმენად.

ცოტახანს გაუნძრევლად ვიდექი, ხმა ვერ ამოვიღე. ამ ისტორიაში ცუდი ტიპი მე ვიყავი, მინოტავრიც ბავშვური ხუმრობა ჩემთან შედარებით. აცრემლებულ ქალს თვალს ვერ ვუსწორებდი, ბოლომდე არც მესმოდა, ალბათ, რა რთული იყო მათ ადგილას ყოფნა... თუმცა, ისე დამნაშავედ ვიგრძენი თავი, იმ წამს მინდოდა გავმქარალიყავი და ვერასოდეს დავნახებოდი მარიამს... მერე გამახსენდა პირველი კლასიც, როცა ჯერ არ ჩანდა ბოტები სკოლაში, არადა ამ მომენტამდე მეგონა, რომ სულ ბოტებით დადიოდა სკოლაში... არც ის შემიმჩნევია, რომ ცოტათი დიდი ჰქონდა — უბრალოდ, რეალობის ნაცვლად ყოველთვის იმას ვხედავთ, რაც ჩვენი წარმოსახვისთვის უფრო საინტერესო და მისაღებია.

ამ დღიდან ვიცი, ღიმილი ის ძალაა, რომელიც გვაძლევს დილას გაღვიძების უნარს, როგორც უნდა და ცოცხალი ვიყოთ. სწორედ ამიტომ ახლა ის გოგონა, რომელსაც ჩექმების, — ჩვენებურად კი ბოტების გამო დავცინოდით და ვრიყავდით, ჩემგან სადღაც მოსს, უკანა ოთახში ზის, პატარა ბიჭუნას არწევს და წარმოდგენაც არ აქვს, რომ ამას ვწერ... რომ გაიგოს, ალბათ დივანზე ძლივ არ ამცდებია...

ასეც ხშირად ხდება ხოლმე, როცა თვალს ვახელთ და ვხედავთ, თუ რა ძვირფასია ყოველი წამი, როცა გაღვიძება შეგიძლია, გვინდება, რომ სამუდამოდ შევიწინაოთ ეს ნიჭი... სწორედ ამიტომ მოვიყვანე ცოლად ის. ჩემ სიდედრს თავიდანვე არ მოვწონე, ამიტომ ტყისპირა სახლში არასდროს მივეყვები ხოლმე...

იმედია, ამ მოთხრობას არ დამიბეჭდავენ, თორემ შარი არ ამცდებდა, მაგრამ მაინც გავაგზავნი. სამყარო მაინც ისეა მოწყობილი, რომ კარგ ისტორიებს მალავენ ხოლმე. მთავარია, ჩემმა შვილმა, ჩემგან განსხვავებით, სხვების განცდების დაფასება და პატივისცემა ისწავლოს — თორემ მოთხრობის წერისას ყველაფერი ბევრად იოლია, უცებ გამოასწორებ ყველა შეცდომას, რომელიც ცხოვრების ფურცელზე დაგიშვია და სუფთად გადმოიტან, შეგ ნაწერს კი — თეთრად...



რობერტ ზეხტალერი — ავსტრიელი მწერალი და სცენარისტი — მრავალი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია. დაიბადა 1966 წელს ვენაში. მისი ნიშნები 40-ზე მეტ ენაზეა ნათარგმნი. ზეხტალერის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რომანია „კიოსკის გამყიდველი“, რომელიც 2012 წელს გამოიცა.

ავსტრია, 1937 წელი: 17 წლის ფრანც ჰუხელი მშობლიურ სოფელს ტოვებს და ვენაში მიემგზავრება. დედაქალაქში ის ზიგმუნდ ფროიდს გაიცნობს, რომელიც მისი გამორჩეული მეგობარი გახდება. ცოტა ხნის შემდეგ ფრანცს ბოჰემიელი მოცეკვავე ანეტკა თავდავინყვებით შეუყვარდება, რჩევისთვის კი მოხუც პროფესორს მიმართავს. მალევე გაირკვევა, რომ მდებარეობის სქესი მსოფლიოში ცნობილი ფსიქოანალიტიკოსისთვისაც ისეთივე შეუცნობელია, როგორც ფრანცისთვის.

იდენტობის ფორმირება, სიყვარული, სექსუალობა, მეგობრობა, ნაციონალ-სოციალიზმის დანაშაული: თემები ერთმანეთს ტექსტში ოსტატურად ენაცვლება. თხრობის მარტივი და სადა მანერა რომანს ნამდვილ ლიტერატურულ შედეგად აქცევს. ქართველი მკითხველი რობერტ ზეხტალერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რომანს ქართულ ენაზე პირველად გაეცნობა.

მთარგმნელი

რობერტ ზეხტალერი

კიოსკის გამყიდველი ფრაგმენტი

პროფესორის სიტყვებმა ფრანცის სულს დალი დაასვა. განსაკუთრებით იმ სიტყვებმა, რომლებიც გოგონას ეხებოდა. აქამდე ეს ყველას გამოუვიდა, ამბობდა პროფესორი. და მიუხედავად იმისა, რომ ფრანცს ამ ურთიერთობაში უამრავი ეჭვი ღრღნიდა, ეს სულაც არ ჟღერდა ცუდად, პირიქით, რაღაცნაირად სარწმუნო და უდავო იყო. ამ კაცის პროფესორობას, მიუხედავად ასაკობრივი სისუსტისა, ჰქონდა რაღაც კლდესავით ურყევი. მას, კარგი, გაიფიქრა ფრანცმა, თუ ასეა, მივხვდეთ ამ ამბავს.

ასე რომ, მომდევნო შაბათს, ცოტა ხნით ადრე, სანამ კიოსკის კარი ბოლო, გამამხნეველი, შაბათ-კვირის მომასწავებელი ზარის ფონზე მიიხურა, ჩაიცვა თავისი საკვირაო კოსტიუმი, დაიბანა სახე, კისერი და ხელები კლასიკური, ძვირიანი, მყარი საპნით, წაისვა თმაზე ერთი პეშვი ღორის გამდნარი ქონი და იღლიებში საუცხოო სამეფო ვარდის ფურცლები შეიზილა, რომლებიც ღამით თარეშისას, ვოტივიკრებში, კობტა კვლებიდან ჰქონდა მოკრეფილი. შემდეგ გაბრწყინებული და სურნელოვანი გამოვიდა ქუჩაში, სადაც შემოდგომის ნაზი შუქი ქვაფენილს ათბობდა, და ჩაჯდა ვენის პრატერისკენ მიმავალ ტრამვაიში, რათა იქ თავისი საბედო გოგონა ეპოვა.

უკვე შორიდან ხედავდა ეშმაკის ბორბალს, თუმცა მხოლოდ მაშინლა შეძლო, შეეფასებინა ამ საოცარი ფოლადის ურჩხულის ნამდვილი ზომები, როდესაც უშუალოდ მის ქვეშ ამოყო თავი. ეშმაკის ბორბალი უბრალოდ დიდი კი არა, გიგანტური იყო. ღრუბლებიც არ მოჩანდა უფრო ზემოთ, ვიდრე ყველაზე მაღლა ჩამოკიდებული ფოლადის კოჭი. იქმგ ზავრები მწერებივით პატარები იყვნენ და მათი ხელების მოძრაობა და შარფების ფრიალი მუჭისოდენად მოჩანდა.

სასტუმრო Zum eisernen Mann-ში ფრანცმა ერთი კათხა ლუდი შეუკვთა. ლუდი ცივი და შუშხუნა იყო და როცა ფრთხილად სული შეუბერა, ქაფი თოვლივით თეთრ ღრუბლებად გაიფანტა. ბარში ერთი სანდომიანი, ჩაცვნილ და სევდიანთვალებიანი ოფიციალის გარდა ქალის ჭაჭანება არ იყო. ამიტომაც ფრანცმა გადაიხადა და სარკეებიანი დარბაზისკენ აიღო გეზი. საკმაოდ დიდხანს იხეტილა შუშის ლაბირინთში, სანამ საბოლოოდ მოკლემარვლიანმა კაცმა გასასვლელი არ აჩვენა. ამის

მერე ერთ ხანს იდგა აეროსტატის ატრაქციონის წინ და უყურებდა წრეზე მბრუნავ კაბინებს, სანამ თავბრუ არ დაეხვა და სასტუმრო Zum Walfisch-ისკენ არ გასწია, რომლის ბალკონზე ვენური ცივი ყავა შეუკვთა. ყავა შავზე შავი იყო და ათქვეფილ ნაღებს თითქმის ისეთივე ტკბილი გემო ჰქონდა, როგორც ესპლანდას კაფეში, ზად იშლში. დიდი ნაბლის ხეები ჩუმად შრიალებდნენ, ფოთლებს შორის მზე ბრწყინავდა და ხრეშზე ბელურები დახტოდნენ. მაგიდებთან ისხდნენ ადამიანები, რომლებმაც თავის შესაქცევი ამკარად დიდი ხანია, გამოძებნეს. ყველგან მეგობრული და გულთბილი სახეები. ბალში, რომელსაც გნიახი ჩიტების უხილავი გუნდივით მოსდებოდა, დროდადრო სიცილის ხმა ისმოდა. მთელმა ამ ბედნიერებამ ფრანცს ხასიათი ცოტათი ნაუხდინა. გადაიხადა და ცხენებიანი კარუსელისკენ გაემართა. მძიმე თავიანი ფიგურები ბავშვებს წრეზე დუნედ ატრიალებდნენ. ერთი მამაკაცი უზარმაზარი ფოტოაპარატით სურათებს იღებდა, რათა შემდეგ მშობლებისთვის მიეყიდა. იცინოდნენ, ერთმანეთს ეხუტებოდნენ, კოცნიდნენ. ახალგაზრდა დედები ლამის შიშობდნენ. ახალგაზრდა იყვნენ, ახალგაზრდა მამები კი ამაყად, წელში გამართულები იდგნენ და ხურდას იძლეოდნენ. ერთ-ერთმა პონიმ კუდი მოიქნია და ჩონჩორიკი მიწაზე დაყარა. პონის თვალეში შემოდგომის ლურჯი ცა ირეკლებოდა, მის იქით კი ბავშვების უკანალებსა და კარუსელის მძლავრ თავისუფლების სიო ქროდა. მეზობელ დახლზე ფრანცმა ორი ცხიმიანი, უნგრული ხორცის ბურთულა და ნივრის არასასიამოვნო გემოს გადასაფარად, ვეებერთელა ვარდისფერ-ნივრის ბამბის ნაყინი იყიდა. გულსრევის შეგრძნება, რომელმაც მაშინვე შეიპყრო, მომდევნო კათხა ლუდით ჩაირეცხა და გრაცის ზღაპრული მატარებლისკენ გაემართა, სადაც, როგორც ერთადერთი ზრდასრული, ძლივს ჩაეკვება ერთ-ერთ ცისფერ ურიკაში. ფანტასტიკურ სამყაროში სეირნობისას ურიკა მტვრის სქელ ქსელში გაეხვა. ზღაპრული ფიგურები გარშემო ყველგან იდგნენ, ისხდნენ ან დადიოდნენ. ნითელქუდა მძიმედ მიაბიჯებდა ტყეში, პრინცი ბაყაყი შადრევნის ბორბალთან ჩამოვადარიყო, რაპუნცელმა თმა კოშკის ფანჯრიდან სიღრმეში მოიქნია. ფრანცს სახლზე ეფიქრებოდა. ადრე დედა ამ ამბებს გაქუცული წიგნიდან უკითხავდა.

იმხანად ისეთი პატარა იყო, რომ დედის კალთაში იგრაგნებოდა, სიტყვები კი ნაზ, თბილ წვეთებად ელამუნებოდა სახეზე. როცა ფრანცი კონკიასკენ შეტრიალდა, პირველი ცრემლები წამოსცივდა, თაფლაკვერის სახლთან ჩავლისას კი სახეზე ხელები აიფარა და ასლუკუნდა. განცდების ცხელი ტალღები შემოაწავა. ფიქრობდა, ქოხზე, კერაზე, ტბაზე, დედაზე და ცრემლის სქელი ფარდის მიღმა ზღაპრული პეიზაჟები ფერების ერთ გადღაბნილ ნაკადში ცვლიდა ერთმანეთს.

როგორც კი ნამძინარევი სახით, გასასვლელთან აყუდებულმა, ატრაქციონის ახალგაზრდა თანამშრომელმა შენიშნა, როგორი მოკრუნხული და ნამტირალევი გამოვიდა ფრანცი აკლდამის წყვიადიდან, კაშკაშა მზის შუქზე თითები გაატკაცუნა და მთელი თავისი თანაგრძნობა მოიკრიბა: — ცხოვრება ზღაპარი არაა, ჩემო მეგობარო, ოდესმე ყველაფერი ჩაივლის.

გარეთ ფრანცმა სახე სახელოთი მოიფშვინა და ცხვირი მოიხოცა ცხვირსახოცით, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ იმ შემთხვევისთვის ნამოილო, თუ გოგონა გადაეყვებოდა და სკამის, ცხელი შუბლის ან კიდევ რამის მოწმენდა დასჭირდებოდა. აუჩქარებლად ჩაუყვია კარუსელებს, ტირის ჯიხურებს, სასაადილო დახლებს, ავტოდრომს, ძალსაზომ კაცუნას, მსუქან ბერტას, ფერად ველოსიპედებსა და მოჩვენებების სახლს. სადაც სიღრმეში კიდევ დაუარა ნაღვლის ტალღამ, თუმცა შემდეგ გადაუარა.

სწორედ მაშინ, როდესაც გადაწყვიტა, რომ დღის დარჩენილ ნაწილში, Zum Stillen Zecher-ის რესტორნის ბალში, თავით ლუდსა და სხვა სასმელებში გადაშვებულყო, ფრანცი სულ სხვა, გაცილებით დიდმა, ცხელმა და მძლავრმა ტალღამ მოიცვა, გარს შემოეკრა და შეაჩვდრია: ზუსტად მის პირდაპირ, ათიოდ მეტრის მოშორებით, ცამდე აინია გოგონას მრგვალი სახე, კაშკაშა და მოლიმარი, ჩალისფერი ქერა თმა ფოლადის გვირგვინით რომ უშვებდა თავს. ეს იყო ყველაზე ლამაზი სახე, რომელიც ფრანცს (მათ შორის ოტო ტრანიეის ჟურნალების ფერად-ფერად, მაკიაჟით დაფარულ სახეებზე) თავის ცხოვრებაში ენახა. და მაღლა, თავბრუდამხვევ სიმძლავრე გაშუშდა ეს სახე ნამიერად, ვარდისფერ ლაქად უკიდევანო ლურჯ ცაზე, გაისმა მხიარული შეძახილი, უმალ ჩამოიქროლა გოგონამ აფრიალებული თმით, მხოლოდ ერთი ნამით, რათა შემდეგ ისევ მაღლა ატყორცნილიყო. და ზუსტად ეს ნამი დასჭირდა ფრანცს იმის მისახვედრად, რომ საქანელას წინ იდგა. საქანელა უზარმაზარი იყო, მისი ნავეები კი ისე ირწეოდა, როგორც გემი ალექსანდრე ზღვაში — წინ და უკან. შესასვლელის ზემოთ, ხის აბრაზე,

ფუნჯით წაენერათ: ძღვეამოსილი საიერიშო ნავი! უაღრესად თავშესაქცევი! დიდებისა და პატარებისთვის! ყველას ახარებს! ყველას აცინებს! გთხოვთ, დაიკავებთ ადგილები! ფრანცმა გადაწყვიტა, არ განძრეულიყო, გაშეშებულიყო. მზერას გოგონას სწრაფად მოძრავ სახეს არ აცილებდა, იცდიდა, სანამ ნავი ბოლომდე არ გაჩერდა და მგზავრები სიცილითა და ბარბაცით არ გადმოვიდნენ კაბინებიდან. როდესაც გოგონა (ორ ყმანვილ ქალთან ერთად, რომელსაც ფრანცი მხოლოდ უფორმო, უსახო და უმნიშვნელო ჩრდილებად აღიქვამდა), ბოლოს და ბოლოს, მისკენ გამოემართა, ფრანცი მთელი ძალით ეცადა, გამორკვეულიყო, მარჯვლად ჯიხვებში მუშტები შეკრა და უცაბედად თავისი შეუსწავლელი სიღრმიდან ამოტივტივებული სიმტკიცით გადადგა პირველი ნაბიჯი და როგორც იმ წამს ეგონა, განსაკუთრებული მნიშვნელობით თქვა:

— გამარჯობა, მე ფრანც ჰუხელი ვარ, წარმოშობით ზალცკამერგუტიდან და მსურს, თქვენთან ერთად ეშმაკის ბორბლით გავისეირნო.

საინტერესოა, რომ გოგონას, მისი თანმხლები ქალიშვილებისგან განსხვავებით, აზრად არ მოსვლია, გასცინებოდა, პირიქით — ის ფრანცს ერთხანს ისე შესცქეროდა, როგორც ზოოპარკის სტუმარი გადაშენების პირას მყოფ ცხოველს. ბოლოს მზერა მის მოციმციმე თვალებზე შეაჩერა, რომლებიდანაც გამხედაობა დიდი ხნის წინ გამქრალიყო და უთხრა:

— ეშმაკის ბორბალი არაა, მაგრამ სროლა მინდა, გთხოვთ!

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გოგონამ სინამდვილეში სულ სხვა რამ თქვა. ეს იყო ვენაში მცხოვრები ბოჰემიელების მარტივად ამოსაცნობი უუნარობა, სწორად გამოეთქვათ უმლაშეები. ბოჰემიელი ყოფილა, გაიფიქრა ფრანცმა, თითქოს ეს ხეივანი აზრი ყოფილიყო, და უხმოდ შესთავაზა მკლავი დიდი ტირის ჯიხურამდე მისაცილებლად. გოგონა მაშინვე მხიარულად დაემშვიდობა თავის ორ მეგობარს და მყისვე ჩამოეკონიალა ლუდით შეზარხოშებულ მაღალჩინოსან სამხედროს, შთამბეჭდავი ფერადი ორდენების რიგებით შემკულ მხრებზე.

ნახევრად მელოტმა კაცმა, რომელსაც ნაიარევი თავი და უსიცოცხლო მზერა ჰქონდა, წესები აუხსნათ: დამიზნება შეიძლებოდა სამიზნეებისთვის, ბუშმებისთვის ან ფერადი თურქების თავებისათვის. თურქს სახეს თუ გაუხვრეტდი, რამდენიმე ქულას მოიპოვებდი, სადმე შუბლზე თუ გაარტყამდი და თავის ხის ტურბანს წინ ჩამოუგდებდი, მაშინ ხელახლა სროლა შეგეძლებოდა. გამარჯვებულებისთვის მაქარყინულები, ქალაღის ვარდები და

ნამდვილი ლავანდის თაიგულები იყო დანესებული. თვალის კუთხით შენიშნა ფრანცმა, თუ როგორ გადაიხარა წინ ბოჰემიელი გოგონა, თოფი ლოყაზე მიიღო და სასხლეს თითი გამოჰკრა. მოკლე თითი იყო, ვარდისფერი და მრგვალი. საერთოდ ყველაფერი მრგვალი ჰქონდა: პატარა ყურები, ცხვირი, ამობურცული შუბლი, მორკალული ნარბები, დიდი ყავისფერი თვალები. მისი მზერა მშვენიერად იყო სამიზნის შავი ცენტრისაკენ მიმართული. ამ მზერისთვის ფრანცი ადგილს სიამოვნებით გაუცვლიდა სამიზნეს და ნეტარებაში გადაეშვებოდა. ფრანცს ხის ნეიმის კასრი გაახსენდა, რომელიც სახლში, ქოხის შესასვლელთან იდგა. აქ დამდგარი წყალი ტბის წყალთან შედარებით სხვანაირი იყო — მოყავისფრო და მღვრიე, თან სუნაც ცოტა უცნაური ჰქონდა. ერთხელ, ზაფხულის არდამდეგების დასასრულს, შუა აგვისტოში, პატარა ფრანცმა ცნობისმოყვარეობასა და სიცხეს ველარ გაუძლო. გულმოდგინედ ამოალაგა თითოეული თხელფეხა წყლის მზომელა ზედაპირიდან, სამჯერ ღრმად ჩაისუნთქა და ბოლოს თავითა და ზედატანით ჩაეშვა კასრში. შიგნით სასიამოვნოდ გრილოდა. ციციქა ნაწილაკები წყალში თოვლის მუქი ფანტაზიებით ლივლივებდა, ფსკერი კი უკვე ნახევრად დამპალი ფოთლების სქელი ფენით იყო დაფარული. ფრანცმა ხელები გაშალა და ფოთლების ეს მასა თითებით აურია. თავი საშინლად იგრძნო. გულის ამრევი და ცივი იყო, მაგრამ რალაცნაირად მშვენიერიც. ზრუნავდა დაუარა, როდესაც თითის წვერით რალაცნობის, სქელსა და თმინას შეეხო. მოლივლივ, სქელი საფარიდან მკვდარი ვირთხის სხეული ამოტივტივდა. სულ ახლახან უნდა ჩავარდნილიყო წყალში, ალბათ საკუთარი ძალებით ხავსიან კედელზე ამოძრომა ვერ მოახერხა. გვერდულად იწვა, სხეული თითქმის უვნებელი ჰქონდა, მხოლოდ მარცხენა თვალის ადგილას შავი, ღრმა ხვრელი მოუჩანდა. ფრანცმა ყვირილი დაიწყო, ვირთხა მისი ამოუსუნთქელი ჰაერის ბუშტულების მიღმა გაუჩინარდა. ფრანცმა ამოყვინთა, კასრიდან ამოძვრა და მოკურცხლა. ჯერ კიდევ ღრიალებდა, როცა სახლს ჩაუქროლა და მინდვრის გადაღმა, მდინარის ნაპირას აღმოჩნდა, სადაც დედამისის არყის ხეებს შორის გაქიმულ თოვზე სარეცხი გაეფინა. ფრანცი დედას ქვედაბოლოს ქვეშ შეუძვრა და მუხლებზე ჩაებლაუჭა, იცოდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე, ან ზაფხულის არდადეგების დასრულებამდე მინც, აქ, ქვემოთ, დედის წვილ ბარძაყებს შორის დარჩებოდა.

„ბახ“ გაიგონა ფრანცმა, როცა გოგონამ სასხლეს გამოჰკრა და გასროლილი მიზანში მოარტყა. გოგონა თითის წვერზე შეხტა და სიამოვნებისგან დაიჭყვიპა, მაგრამ თოფი მამინვე თავის ადგილას დააბრუნა. გამშრალი ფრანცი ნერწყვის ჩაყლაპვას ცდილობდა. მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ გოგონას ენის წვერი კბილებს შორის ჰქონდა მოქცეული: ეს პატარა ვარდისფერი მხეცუნა ფრთხილად ყოფდა თავს გარეთ, ეხებოდა ზედა ტუჩს და უბრუნდებოდა თავის გამოქვამულს, მხოლოდ იმისთვის, რომ კვლავ ნამოყვო თავი, შუაში რუხი ნახვრეტით განყვებილი მარგალიტის მძივივით მოციმციმე კბილებს რომ შეხებოდა. ვერასდროს წარმოიდგენდა ფრანცი, რომ კბილებს შორის მოქცეული ბოჰემიური ნახვრეტი მასზე ასე იმოქმედებდა. მის სხეულში ისეთი დატრიალდა, რომ წამიერად შეეშინდა, შინაგანი სიმტკიცე არ დაეკარგა და გოგონას ფეხებთან არ ჩაეცილიყო. „ბახ“ გაისმა ისევ და ერთ-ერთ თურქს ტურბანი ჩამოუფარდა.

— ბუხ, მკვდარია! — წამოიყვრა გოგონამ. ფრანცი მის წინ წამოწეულ, მომრგვალებულ ზედა ტუჩს უმწეოდ შესცქეროდა. გოგონამ თქმის ნაზი მოძრაობით დაამყვინა თოფი. ფრანცი დაემორჩილა, მაგრამ ხელები უთრთოდა, მტანჯველი ერექცია რომ დაემალა, ცდილობდა, ბარძაყები რაც შეიძლება მჭიდროდ ტირის ჯიხურის ფიცრებთან მიეხვინა. „ბახ“ ისროლა ფრანცმა, მაგრამ ააცილა. გოგონა კისკისებდა, ჯიხურის დახლთან მდგარი კაციც იცინოდა, თურქების თავებსაც კი თითქოს შორიდან უელავდათ თავიანთი ოქროს კბილები. მიუხედავად იმისა, რომ ამასობაში მზე უკვე ჯიხურების სახურავებს მიღმა მიმალულიყო, ფრანცს ოფლმა დაასხა. ოფლის წვრილი ნაკადი ზურგს მიუყვებოდა და საცვლის ზოლთან გროვებოდა. ფრანცმა ერთი თვალი მოხუჭა და სასხლეს ისევ გამოჰკრა. „ბახ“, ასცდა. სიამოვნებით გაექცეოდა ახლა ამ ყველაფერს შორს, ჯიხურის ოთახის უკან, სახლში, თავის საწოლში, ტბის პირას, ან უბრალოდ ზღაპრულ მატარებელთან მიბრუნდებოდა და სიცოცხლის ბოლომდე მარტო იტარებდა ზღაპრების ბნელ მტვერში. მერე უცებ უკანალზე გოგონას ხელი იგრძნო. თოფი გვერდით გადაედო და უღიმოდა.

— სროლა არ შეგძლება, მაგრამ კარგი ტაკო გაქვს, — უთხრა თუ არა, იმ წამსვე მიხვდა ფრანცი, რომ დაღუპული იყო.

Schweizerhaus-ისკენ აიღეს გეზი, სადაც სტუმრებით სავსე ფართო ბაღში მუსიკალური ჯგუფი უკრავდა და ხეების კენწეროები ფერად-ფერადი ფარნებით გაებრღვილებინათ. უღვაშიან ოფიციალს ორი კათხა ბუდვარიზერი და ორი ულუფა კარტოფილის მაჭკატები შეუკვეთეს, ისინი სასიამოვნოდ ხრამუნა აღმოჩნდა და ჩაკეტილსას ცხელი ცხიმი გადმოსდიოდა, შემდეგ კი სუფრაზე ეწვეებოდა. ვიდრე გოგონა ოფიციალს ჩეხურად ელაპარაკებოდა, ფრანცი ამ უცნაური, განუჭვრეტელი ენის მელოდიას აყურადებდა და დაკარგული მეოცნებესავით აკვირდებოდა მის ამობურცულ ზედა ტუჩს. გოგონა ხითხითებდა და უღვაშიანც იცინოდა, სახამ ფრანცმა ის კიდევ ორ კათხაზე არ გააბრუნა და გოგონას მაგიდასთან არ მიუჯდა, ლოყაზე ხელით მოეფერა და შუბლზე აკოცა.

— ახლა კი ვიცეკვით! — გაიხმო გოგონამ და ფრანც-

ის თავი ისევე აბრწყვილდა, როგორც ფარნებიანი ნაბლის ხეები მის გარშემო. ერთმანეთს ხელკავი გაუყარეს, გადაჭრეს მაგიდების რიგები საცეკვაო მოედნამდე და როგორც კი ფეხქვეშ ხის ფიცრების რიტმული ტოკვა იგრძნეს, გოგონა მისკენ შებრუნდა, ერთი ხელი მხარზე დაადო, მეორე წელზე შემოხვია და მთელი ტანი მუსიკის რიტმს ააყოლა. ფრანცს არ შეეძლო და არ უყვარდა ცეკვა. სახლში ის ყოველთვის უარს ამბობდა წრეში ჩაბმულა რომელიმე პუტკუნა გლეხის გოგოს, რომლის ძუძუებიც დირნდლიდან ამოხტოდნენ და გაბადრულები პირში შესცივინებდნენ. თავს არიდებდა საკვირაო შეკრებებსაც Golden Leopold-ში, ტბის საზაფხულო დღესასწაულზე ყოველთვის თავისთვის, ჩუმიად ჯდებოდა კუთხეში და დროს ტბის ზედაპირზე მოლივლივ ფიქრებს უძღვნიდა. მაგრამ ახლა ცეკვავდა. თავიდან მოძრაობები ცოტა მოუქნელი და დავიანებული ჰქონდა, მაგრამ მალე უფრო რბილი, მოქნილი და თავისუფალი გაუხდა, ბოლოს ნეტარებაში გადაეშვა და ბოჰემიელი დედოფლის მკლავებში რწვევა და მასთან ერთად როკვა განაგრძო. გრძობდა მისი ხელის ნელ მოძრაობას ზურგზე, ზემოდან ქვემოთ, უკანალამდე და შემდეგ პირიქით. უცქერდა მის თვალებს, ღიმილს, ამობურცულ ზედა ტუჩსა და ხვრელს კბილებს შორის. და როდესაც მისი მკერდი მუცელზე შეეხო, საბოლოოდ ჩაიქნია ხელი უზარმაზარი ერექციის ტალღის დამალვაზე.

ფეხების წვამდე ცეკვავდნენ. და ყოველი სიმღერა ერთი მეორეზე მგზნებარე და სულის შემძვრელი იყო: Du erstl mein Glückstern sein, Merci Mon Ami, ich werde jede Nacht von Ihnen träumen, Paris, du bist die schönste Stadt der Welt, Mein Herz ruft immer nur nach dir, o Marita და სხვები. დაახლოებით მეთექვსმეტე უკვე მუსიკოსებმა შეისვენეს და სცენიდან პირდაპირ ბარისკენ გაემართნენ ლუდის დასალევად. გოგონა ჯერ კიდევ ფრანცის გადახურებულ სხეულზე იყო მიკრული, როცა ფრანცმა ყურზე მისი ტუჩები იგრძნო.

— გამოვთვერთ, ვიცეკვით — და ახლა რას ვაპირებთ? — ჩურჩულებდა გოგონა და ფრანცს სარკვე არ სჭირდებოდა იმის გასაგებად, რომ აჭარბებული სახე ბედნიერი რევენივით უღიმოდა.

— ორნახევარი შილინგი დამრჩა, — უპასუხა ფრანცმა ოდნავ გაბზარული ხმით.

— ეს ან ოთხი კათხა ლუდი და რამდენიმე ტირის ტურია, ან ორი წრე ეშმაკის ბორბალზე!

გოგონამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ფრანცს მიაჩერდა. გაოგნება იგრძნობოდა მის მზერაში და, ერთი წამით, ფრანცს ისიც კი მოეჩვენა, რომ ეს ყავისფერი, თბილი თვალით გაშქვავებული, ქარვის მსგავსად, ის ქარვის წვეთიც გაახსენდა, რომელიც პირველ კომასში, ბად იშლში, ეთნოგრაფიულ გამოფენაზე ნახა, მხოლოდ უფრო მუქი, დიდი და შიგ ჩაკეტილი მწერის გარეშე. მაგრამ მომდევნო წამში გოგონას თვალები ისევ აუბრწყვილდა, სახის ნაკვთები მოუდუნდა და სიცილი დაიწყო. ხანმოკლე სიცილი იყო, ნათელი და მჭახე, იმ მხიარული შეძახილის მსგავსი, საიერიშო ნავიდან რომ გაჰყვროდა. გოგონა ფრანცს მოეხვია და ლოყაზე ხმაურით აკოცა.

— ახლავე მოვალ, ბიჭო, — უთხრა, შებრუნდა და წავიდა. მოხიბლული აკვირდებოდა ფრანცი გოგონას, რომელიც ჯერ ან Merci Mon Ami-ის რიტმში არხევდა უკანასკლს. ნაზად მოლივლივ პატარა სათევზაო გემის მსგავსად, გაიფიქრა, და დაინახა, როგორ გაუჩინარდა ის ხის ფარდულეებს მიღმა, სადაც ტულეტები იყო. შემდეგ ფრანცი ისევ მაგიდას დაუბრუნდა და კიდევ ორი კათხა ლუდი შეუკვთა.

სადაც ნახევარი საათი დასჭირდა ფრანცს იმის მისახვედრად, რომ გოგონა უკვე მის გარეშე წასულიყო. შესაძლოა, ის გაუჩერებელ აურზაურში, მიმოშვებული სტუმრებით იყო გარშემორტყმული, როცა ბაღში გამოიბრინა, ან ალბათ უბრალოდ სამზარეულოს გვერდით უკანა კარიდან გაიპარა. ყოველ შემთხვევაში, არსად ჩანდა. რამდენჯერმე ჩამოუარა ფრანცმა მაგიდების რიგებს, მიმტანებს სათითაოდ ეკითხებოდა მის შესახებ, გოგონას ცარიელ სასტუმრო ოთახებში ეძებდა, ქალების აღშფოთებული ყვირილის მიუხედავად ტულეტშიც კი აღვიდა, მაგრამ ბოჰემიელი გოგონა წასულიყო. ფრანცმა ამასობაში გამთბარი ლუდი მოიყუდა, ენის ბორძიკით მოითხოვა ანგარიში და ბაღიდან გამოვიდა, სადაც მუსიკის დაკვრა კარგა ხნის წინ გაეგრძელებინათ და ერთმანეთს მჭიდროდ მოტმანნილი წყვილები ვალს Was klopft da so weich in deiner Brust-ის ფონზე ცეკვავდნენ. თავჩაქინდრულს, ხელები შარვლის იბებებში ღრმად ჩაეფლო, პრაქტრის სტუმრების ახლა უკვე შეთხელებულ რიგს ჩაუარა და თავი მაშინა ასწია, როცა ეშმაკის ბორბლის წინ იდგა. დარჩენილი ხურდით ერთი ბილეთი იყიდა და ამ საღამოსთვის ბოლო წრის, ბოლო ვაგონში, უკანასკნელ მგზავრად შეაბიჯა. როცა კაბინა ერთბაშად, ყრუდ დაიძრა და ნელ-ნელა მალა აინია, მის ქვეშ მუქით გაბრდლივალეული ქალაქი გადაიშალა. პრაქტრის აურზაურის სიღრმეში. იქ შტეფანსდომი. აქეთ ვოტივკირხე. უკანა მხარეს, ღამის ცაზე, კალენბერგის მუქი სილუეტი. ფრანცმა ლოყა ხის ფანჯრის გაქუცულ ჩარჩოს მიადო და თვალები დახუჭა. და როცა ვაგონმა უმაღლეს ნერტილს მიაღწია და ბორბალი წამით გაჩერდა და ფრანცმა ფეხებქვეშ დანავი რწვევა იგრძნო და გარეთ ქარის სტვენა გაიგონა, მუშტი შეკრა, ამოაძვრინა და ხის კედელს ისე ძლიერად დაარტყა, რომ ორივე მტრედი, რომლებიც კაბინის სახურავზე კარგა ხნის წინათ ჩამომსხდარიყვნენ, შეშინებულიები აფრინდნენ და ღამის უსასრულობაში გაუჩინარდნენ.

თარგმნა მკვანდა აბრამიშვილი

ლევან ლორია

მეაზოვი

მე ვცხოვრობ ქუჩაზე, რომელსაც ყოველ დილით მეეზოვე გვის... მე ეზო-ეზო ვეძებდი შენს ნაკვალევს და ვერ ვიპოვე... იმიტომ, რომ თვალებზე ხელები ამაფარე.

და მერე გეძებდი. იმდენი ვიარე ეზო-ეზო, მე გავხდი მეეზოვე, და ფიროსმანმა დამხატა... ახლა კედელზე ვაეზობ... და შენ გელი... ეზოდან მოსულმა ბალახის სურნელი მომიტანო.

ახლა კედელზე ვცხოვრობ...

მზის დაბადების დღე

მეგობარი შემხვდა დღეს, დაბადების დღე ჰქონიაო მზეს, ნავიდეო... ვარსკვლავები იქნებთან, შევაბათო... დავკეროთ, ფლირტი გავუბათო... მოგცლია-მეთქი, მე ვუთხარი... მიდი, სხვას უამბე ეს ზღაპარი... რა თქმა უნდა, რომ არ დაეუჯერე... ვეუბნები: ბიჭო, გაუბრე?! ნვეტიანი აზრი რო განვალეხ, ეე, აზრზე მოდი, ფშუტე ყანავ, სკოლაში მაინც არ გასსნავლეს, მზესთან ვარსკვლავები რომ არ ჩანან?! თითქოს ყურები ჩამოყარა, და დარდინა მომაცარა: ეჰ, არც შენ გჯერა, მეხუთე ხარ, ვისაც ვუყვები და ვერ ვაჯერებ, ისეც მარტო წავალ, თუ არ გინდა. მოიცა, მანქანას გავაჩერებ. ხელი აუწია, ტაქსი გააჩერა, ეუბნება კრძალვითა და დიდი რიდით: „დაბადების დღე ჰქონიაო მზეს, წამიყვან, კარგად გადავიხილო?“ „არა, ძმაო, მთვარე მაინც გეტქვა, რომ გითხრა, სახტად დამირჩები, მზის სახლთან მაგარი საცობებია, რა გქნა, ვერაფრით ვერ გავძვრები...“ ტაქსისტიც, ეტყობა, კარგად იყო დაქოქილი, გაზს მიაჭირა, დაგვტოვა გაბოლილი.

იქნებ ილოცო

იქნებ ამ გარემომცველ სინამდვილეს აუღე ალლო... აქ ყველაფერი იყიდება, თანაც ურიგოდ: მიდი გრძობების ბაზრობაზე, იქნებ სიხარული აიღო, მერე რა, რომ ახლა ძვირია, სამაგიეროდ მწუხარება არის იაფად — მერე გადაცვლი! აანონინე რისხვა და ძრწოლა და გადაცვალე სიალაღეში, გულწრფელობა ვის უნდა ახლა? მერე მარილი მოაყარე და საზამთროდ გადაინახე! დაიარე ყველა დახლი, სადაც ზის ხალხი, თუმც არ დარჩა ერთი მისხალიც, სიყვარული სულ გაყიდულა, სამაგიეროდ შეიძლება გულგრილობა უფასოდაც გამოგატანონ. და ყველა გრძობას მოიშორებ... და იცინი მაშინ, როცა ნოტრ დამი იწვის... და ქრისტე უკვე მერამდენედ ჯვარს აცვეს თითქოს... ქირქილებს მრევლი, სელფს იღებენ, არ უფროთხის ხანძარს... ირგვლივ ქარია... ტირის მარია, რეკენ ზარები... იქნებ ილოცო... იქნებ ილოცო... იქნებ ილოცო...



ზეინაბ სარია ემოციების გადმოცემის ახალი ცდა

მხოლოდ პოეტური სიტყვის შესაძლებლობებიდან გაღწევის თვალსაზრისით კრებული გვახსენებს ავტორისავე ერთ-ერთ ნინა კრებულს, რომელსაც „მინიატურები“ ჰქვია და რომელსაც მაი ლამაურის გრაფიკული ილუსტრაციები ახლავს. „ახალ სიმღერებში“ გამოყენებულია ნათელა გრიგალაშვილის ფოტოსურათები ისევე, როგორც „ოდებს“ ერთვოდა დავით მესხის ფოტომასალა. ფოტოებიდანაც სევდა გადმოდის, უსიხარულოა, მაგრამ თავიანთი იდუმალება მოაქვთ.

და ეს კიდევ არ არის ყველაფერი. ლექსებს ავტორმა მისცა QR კოდი. ეს შესაძლებლობას გვაძლევს, ნავიკითხოთ ნაწარმოები მუსიკალური თანამოსამხენის ფონზე. ასე უფრო აივსება ქმნილება განცდით.

„გულის სიმღერას“ აქვს თავისი თანამოსამხენი მელოდია, ქალაქური მუსიკის ჟანრში დანერგილი სიმღერა „ავადმყოფი მგოსანი“, რომელსაც ასრულებს ანსამბლი „იალონი“. გიორგი კეკელიძის პოეტური ტექსტი არ არის ვრცელი:

*ბავშვობისას, დაძინებამდე,
დედაჩემი მაფრთხილებდა,
გულის მხარეს არ დაწვეო და მას მერე
სულ მარჯვნივ ვწვივდი
და გული რჩება მალლა,
მგონი, სულაც სიზმრებზე მალლა,
თორემ ამ სიზმრებს
რომელი გული გაუძლებდა*

ამ ტექსტის თანამოსამხენი მელოდია ეკუთვნის კომპოზიტორ ბიძინა ლოლობერიძეს, ხოლო ტექსტის ავტორია აკაკი ნეურეთელი. აი, ეს ტექსტიც:


*ბედო შევპირო, უპირო,
ამრევო გ ზა და კვალისა!
სულს ნუ ამოხდის, მაცალე
დაბაზმებზე თვალისა!..*

*აჩრდილიდა ვარ წარსულის
და ლანდი მომავლისა!..
ვის შერჩენია, მე შემრჩეს
გადახდა სოფლის ვალისა?*

*მაგრამ სურვილმა მომხიბლა
ცრუ მოიმედე ზვალისა;
ჩამხიბატკილა ჩანჯურმა
და გული გამიხალისა:*

*ჩონგურო! ჩემო ჩონგურო!
ოცნების ზღვაში მცურავო!
შენი კრიმინალი წკრიალი
ხელახლად მომენწყურავო;*

*ჯორა გაქვს ია-ვარდისა,
სიმი — ბულბულის ენაო;
ფრთები არნივის გასხია,
შევშენის აღმაფრენაო;*



*მიმოფრენ, მეც თან დაგყავარ,
ნამის-ნამ, კიდის-კიდესო!
ველარ მერვეს სიკვდილი
მე, შენსა გადამიკიდესო!..*

*დიდება შენსა მოვლენას,
ციურო, ტკბილო ძალო!..
დააძნა გული შენს სიმებს
და სული დაიცალო.*

სიმღერაში გამოიხატა ბედის სამდურავიცა და ჩანგურის (პოეზიის სიმბოლო) არამინიერი ხმებით ტკობაც. გული ზედ ადნება სიმებს და ასე იცლება სული... ტექსტმა და სიმღერამ იპოვეს ერთმანეთი და მათი დიალოგიც შედგა. კრებულში ამგვარი არაერთი დიალოგია და, სადაც ობიექტურობაა, ისიც შეიძლება ვთქვათ, აქ ერთმანეთს ეხმარებიან ლიტერატურული ტექსტი, ფოტოხელოვნება და მუსიკალური მელოდია, მკითხველამდე სავსე განცდა რომ მივიდეს. ოღონდ არც ტექსტითა და არც სიკვდილად ვერადლოვანი, არც მელოდია — სკუპა-სკუპა ტაქტებით დანერგილი და არც ფოტოებია გამამხიარულებელი. მელანქოლიურ განწყობილებას ავსებს ეს ყველაფერი. ამგვარი პოლიფონიურობა გიორგი კეკელიძის ნოვაციაა.

არ არის საკამათო, ნაწარმოების მხატვრულ ღირსებაში მონაწილეობს აზრის სილამაზეც. „სახეობრიობას ქმნის აზრობრივი სტრუქტურებიც“. ორიგინალური აზრი ესთეტიკური ფენომენია. მის მოხდენილ მოძრაობაში ესთეტიკური განცდა წარმოიშობა.

*„სოფელი უდრის
გაჩერებულს კედელზე საათს.“
(„სოფლის სიმღერა“);*
*„ყველა ზე შორს ხომ
დახუჭული თვალები ხედავს?“
(„ნითელი პარასკევის სიმღერა“);*
*„მიტოვებულ სიყვარულზე
ხავსი ამოდის.“
(„მკვდარი სიყვარულის სიმღერა“);*
*„ხმაბალა მესმის, როცა
ჩემთან შენ აღარ რეკავ.“
(„მკვდარი სიყვარულის სიმღერა“);*
*„ღმერთო, ხმა თუ არ,
ფიქრში ფიქრი მაინც გამეცი.“
(„თოვლის სიმღერა“);*

*„ადამიანი უდრის მესხიერებას,
გამრავლებულს დარდზე.
და ადამიანი უდრის მესხიერებას,
გაყოფილს სიხარულზე.“
(„მათემატიკის სიმღერა“);*

*„ისრისებთან ოცნებები
და ოცნებები,
როგორც მკვდარი ჩვილები,
ისე გამოიყვანს და
სახელად ამ მკვდარ ჩვილებს
ლექსები ჰქვიათ.“*

(„ლექსების სიმღერა“);
*„ადამიანები სხვადასხვანაირად ყვევენ,
ძალები — ერთნაირად.“*

(„ყველის სიმღერა“);
*„როცა ტკივილს ყავარჯნად
სიტყვები არა აქვს,
ტკივილზე მეტია.“*

(„ძაღლის სიმღერა“);
*„შენი მზერა
ყველაზე რთული წინადადებაა.“*

(„სიზმრის სიმღერა“).
ეს ის აზრებია (სხვა ამგვარებს შორის), ნაკითხვისთანავე რომ თვალს მოწყვეტ ტექსტს და მის კვალს ჩაუკვირდები შენს-ავე არსებაში, თავში ჩაბრუნდები. სიტყვა-თა მდინარეებში მაგნიტის მიზიდულობაა. აზრი აზრს იწვევს და თითოეული შენს ცხოვრებასთან გაბრუნებს, გახსენებს მნიშვნელოვან ნუთებს... დაფარული აზრი განცდის სიღრმეებიდან ზედაპირზე ამოდის და ამ ამოსვლაში უხილავი ხილული ხდება, იდუმალი ვლინდება სიცხადეში, თითქოს, აზრის გავრცობა-გამოშლისა და ზრდის თანამონაწილენი ვხდებით და ჩვენ თვალწინ იქნის სათქმელი მონუმენტურობას. ასე მიიღწევა პოეტური აზროვნების ესთეტიზაცია, რომელიც გიორგი კეკელიძესთან შესაშურად არის შერწყმული სისადავესთან. არსად სიყალბის ნამცეცხვს არ ჩანს.

ხომ შეიძლება, რომ ამ სახის აზრებს დავარქვათ პოეტური სიბრძნე? მგონი, შეიძლება. სიბრძნე (რაგინდ პოეტურიც იყოს) რეფლექსიას მოჰყვება, ხოლო სადაც ხანგრძლივი დაფიქრებაა, იქ სიღრმე იხილვის და უფრო სევდა-ნაღველი ივარაუდება, ვიდრე სიცოცხლისი, ამიტომ დავეთანხმები ამ სიტყვების ავტორს: „პოეზია მუხების კარნახით იქმნება, ფილოსოფია კი ხანგრძლივ რეფლექსიას გულისხმობს. მასში ბევრი სიბრძნეა, მაგრამ ცოტაა სიხარული“ (ემზარ ჯგერენაია).

„ახალი სიმღერები“ ავტორის ცოცხალი ემოციების გადმოცემის ახალი ცდაა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, კრებული ახალი სიმღერის, ფოტოხელოვნებისა და პოეზიის სინთეზური ნაზავითაც, რაც იმ ემოციებს უფრო სავსეს ხდის.

თანამედროვე კონცეფციის თანახმად, ამ სინამდვილის პარალელურად ბევრი სხვა სამყაროც არსებობს. ასეც რომ არ იყოს, პოეტი ხომ თავისი საავტორო აღქმებით სწორედ რომ სხვა სამყაროს ქმნის, ვარაიციულად განუმეორებელს?.. ეს კრებული ამის დასტურია და მასში ავტორის ცხოვრების ემოციური მოდიფიკაციებია.

„ახალი სიმღერები“ თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტის, გიორგი კეკელიძის, ახალი კრებულია (გამომცემლობა „ინტელექტი“, 2023 წელი), რომელიც ერთი პოემის განცდას უტოვებს მკითხველს; ერთი პოემისა, ლირიკულ ფიქრებსა და ემოციებს რომ აერთიანებს და ისე უნდა ნაიკითხო, ძველ საბერძნეთში მოხეტიალე რაფსოდი რომ აგროვებდა ტექსტებს და ასრულებდა ერთმანეთზე გადაბმულ სიმღერებზე. მთავარი განსხვავება: თუ რაფსოდებს პატივმოყვარეობა და ანგარება (შემოსავლის ინტერესი) ამოძრავებდათ, მკითხველმა მნიშვნელობებში წვდომის უნარი უნდა გამოავლინოს და კითხვის ხელოვნებაში შეიწვიოს მსმენელი. გამოცემის ერთ მთლიანობად განცდას ისიც უწყობს ხელს, რომ სიმღერების კრებულს სარჩევი არ აქვს. ლექსებს კი აქვს ცალკე სათაურები, მაგრამ თუ რომელიმეს ეძებ, მთლიანი მხატვრული კოალიზის ფრაგმენტით უნდა ეძებო. ყოველ ჯერზე თავიდან გექნება გადასაფურცელი და მოსანახი ესა თუ ის ლექსი. წიგნი გვერდებზე არ არის დანობრილი. ეს ყველაფერი ხელს უწყობს კრებულის ერთ მთლიანობად აღქმას.

„ახალი სიმღერები“ პოემად რომ გვაგულისხმებინებს თავს, ეს მარტო ჩემი აზრი არ ყოფილა. გამოცემას ერთვის როსტომ ჩხეიძის წერილი („გამორჩეული ციკლის მხილველნი უნდა გავმხდარიყავით „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე (2023, 3 მარტი), სიმღერებზედაც სახელოვნებისა, გამოკვეთილი კომპოზიციური ქარგით, პოემადაც რომ გვაგულისხმებინებს თავს“.

რაც შეეხება მნიშვნელობებში წვდომას, ეს, ალბათ, ყველაზე საინტერესო პროცესია, რადგანაც გიორგი კეკელიძის ტექსტები მეტწილად პირადად მნიშვნელოვანია. კრებული 34 ლექსისაგან შედგება. აქედან შეიძლება კონვენციური, ხოლო 27 არის ვერლიბრი.

როგორც „ოდები“ (2008 წელი, გამომცემლობა „სიესტა“) არ იყო სახობო ლექსების კრებული, ისე არც ეს ახალი წიგნია ლალი, მხიარული, საზეიმო ინტონაციებით სავსე გამოცემა. პირიქით, ფშავ-ხევსურთა თუ სვანების მიერ გვრინით ნათქვამ ხმით ნატირლებს თუ ზარებს გვახსენებს. გიორგი კეკელიძის ლექსებს ვკითხულობთ და ვაჟას სიტყვები ჩაგვესმის:

*მე რომ ტირილი მენადოს,
თქვენ ვის რა გინდათ, ნეტარა?
ერთი იციანის, სხვა სტირის:
ესეთი არის ქვეყანა.
ვისაც არ მოგწონთ ტირილი,
ის ნუ დასჯდებით ჩემთანა:
მტირალის სტივირის პატრონი
ფეხს როგორ გავსწვდი თქვენთანა!
მაგრამ გაიგებთ ერთხელაც,
ვინ ახლოს ვსდგევართ ღმერთთანა.
ვაჟასებურად თალხმობურული რომ
არის ეს სიმღერები, ესეც ნათქვამია უკვე.*